77

ჯიბეჯრა

7

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის დიდებულ-ვნელოვანი ოთვლენა

მთელი ჩვენი თვალუწვდენი ქვეყანა აღტაცებით შეხვდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმად, მეცნიერულად არის დასაბუთებული ახალი კონსტიტუციის საჭიროება, ყოველმხრივ არის ნაჩვენები გრანდიოზული ცვლილებები, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებასა და მთლიანად მსოფლიოში მოხდა 1936 წლიდან — სსრ კავშირის ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღების დროიდან, გაშუქებულია ახალი კონსტიტუციის მნიშვნელობა ქვეყნის საშინაო ცხოვრებისათვის, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რატომ გახდა საჭირო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნა, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ოთხი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, მთელს ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. საბჭოთა კავშირში აშენდა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სადაც განუყოფლად ბატონობს სოციალისტური საკუთრება. ჩამოყალიბდა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი.

შეიცვალა საზოგადოების სოციალური იერსახეც.

გარდაიქმნა დღევანდელი მუშათა კლასი — ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი. მის რიგებში დღეს ათეულ მილიონობით განათლებული, ტექნიკურად წიგნიერი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანია. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტიურობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. შეიცვალა გლეხობაც. კოლმეურნე შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით, მისი განათლების დონე, ცხოვრების წესი ხშირად მცირედ თუ განსხვავდება ქალაქის მკვიდრთა დონისა და ცხოვრებისაგან. ნამდვილად სახალხო, სოციალისტური გახდა ინტელიგენცია. იზრდება მისი ხვედრითი წონა ჩვენს საზოგადოებაში.

არა მარტო იურიდიული, არამედ ფაქტიური გახდა ჩვენში ერთა თანასწორობა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი. თანდათან ქრება განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის. უფრო მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება. შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ჩვენი სახელმწიფო, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურად წარმოიშვა, საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ამ პროცესს ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომლის როლი თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა.

დაბოლოს, ძლიერ შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. ბოლო მოეღო ჩვენი სამშობლოს კაპიტალისტურ გარემოცვას. სოციალიზმი მსოფლიო სისტემად იქცა. შეიქმნა მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა. არსებითად შესუსტდა მსოფლიო კაპიტალიზმის პოზიციები. ყოფილი კოლონიების ადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე შეიქმნა ათობით ახალგაზრდა სახელმწიფო, რომლებიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებენ. განუზომლად გაიზარდა საბჭოეთის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა. ამის შედეგად სულ სხვაგვარი გახდა ძალთა განლაგება მსოფლიო ასპარეზზე. შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი.

ეყრდნობა რა მიღწეულს, ახლა საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით წყვეტს ახალ ამოცანებს: კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის, კომუნისტურ ურთიერთობად თანდათანობით გარდაქმნის, ადამიანთა კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით აღზრდის ამოცანებს.

ყველა ეს ღრმა ცვლილება აისახა ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც დიდი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. მისი შემუშავება ხორციელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ლ. ი. ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით.

ახალი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძირითადად მოიწონა და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა, მკაფიოდ ჩანს ის მამობრივი მზრუნველობა და შეუნელებელი ყურადღება, რითაც გარემოსილია ნორჩი თაობა, ახალგაზრდობა ჩვენს ძლევამოსილ ქვეყანაში. პროექტი საბჭოთა ადამიანებს ავალდებულებს იზრუნონ ბავშვების აღზრდისათვის, აღზარდონ ისინი სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად.

პროექტის 45-ე მუხლში ნათქვამია:

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და სხვა შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა; პროფესიული ორიენტაციის სისტემის განვითარება...“

ცნობილია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალი ბატონობს, ბევრი მშრომელის შვილი არა მარტო სწავლა-განათლების მიღებას არის მოკლებული, არამედ თავისი ასაკისათვის შეუფერებელ მძიმე შრომასაც ეწევა, განიცდის სრულ უუფლებობას. ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტში კი სახელმწიფო კანონად არის გამოცხადებული „განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის; ბავშვთა შრომის აკრძალვა“, „დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა“; „სახელმწიფო მხარდაჭერას უწევს ოჯახს იმ გზით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს... აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აძლევს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო“.

თუ ახლა მოქმედი კონსტიტუციით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეული შეიძლებოდა ყოფილიყვნენ 23 წელს მიღწეული პირები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში—21 წლის მოქალაქეები, ახლა გათვალისწინებულია ასეთი უფლება მიენიჭოს ყველა საბჭოთა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. ეს სიახლეც ნათლად ადასტურებს ჩვენი საზოგადოების ზრუნვას ახალგაზრდა თაობისათვის, ნდობას ახალგაზრდობისადმი.

პროექტი შეიცავს მუხლს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი არსებობს ხალხისთვის და ემსახურება ხალხს. პროექტში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია კომუნიზმის აშენება. ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ჩვენი სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოა, გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს.

ახალი კონსტიტუციის პროექტში შეტანილ თითოეულ თავში ნათლად არის ჩამოყალიბებული ჩვენი ცხოვრების შესაბამისი პრინციპები და დებულებები.

იმ ახლის მთავარი მიმართულება, რომელსაც პროექტი შეიცავს, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავებაა.

„უეჭველია, ამხანაგებო, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე,—რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის, მშენებარე კომუნიზმის კონსტიტუციის მიღება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული მოვლენა, არამედ უდიდესი საერთაშორისო მოვლენაც იქნება. მისი ხორცშესხმა ღრმა და ხანგრძლივ გავლენას მოახდენს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.“

ჩვენი ახალი კონსტიტუცია დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ გამარჯვებული სოციალიზმის პირველმა სახელმწიფომ თავის დროშაზე სამუდამოდ წააწერა სიტყვა „მშვიდობა“, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და დედამიწაზე მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ, მხურვალედ უჭერენ მხარს ახალი კონსტიტუციის პროექტს, მის საყოველთაო-სახალხო განხილვას აღნიშნავენ ახალ-ახალი შრომითი მიღწევებით.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, ჩვენი ქვეყნის დიადი იუბილის წინადღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია განიხილავს და მიიღებს ახალ საბჭოთა კონსტიტუციას. ეს იქნება ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. იგი ლენინური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის კიდევ ერთი ისტორიული წვლილი იქნება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და ამასთანავე — თავისუფლების, კაცობრიობის პროგრესის, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებისათვის მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის ინტერნაციონალურ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოვეზი, რომ ყოველთვის თჯვალთან ვიყო

ია ჯიჯინაძე თავის რაზმელებს აცნობს კერძის პირველსაწყისებს.

როგორ იწყება მეგობრობა?

ღიმილით, — ირწმუნებიან ბევრნი.

მაინცდამაინც თავს ვერ გამოვიდებ, ყოველთვის ასეა-მეთქი, მაგრამ, მე რომ გიამბობთ, ის მეგობრობა კი მართლა ღიმილით დაიწყო, — ნათელი და, ცოტა არ იყოს, ფიქრიანი ღიმილით. თუმცა მეექვსე რაზმელთა ხელმძღვანელს მაშინ, უბრალოდ, არაფერი ჰქონდა სათქმელი რაზმის წევრებთან, იგი მანამდე მათ არასოდეს შეხვედრია. სხვაგვარად კი რა ფასი ექნებოდა სიტყვებს: ამიერიდან მე თქვენი რაზმის ხელმძღვანელი ვარ და თქვენს მეგობრად მიგულეთო. ლიტონი ნათქვამი გამოვიდოდა და მეტი არაფერი. ამიტომაც იყო, ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა — რა მრჯიდა, რატომ დავთანხმდი რაზმის ხელმძღვანელობაზეო. მაგრამ, სანამ იმის ფიქრში იყო, რა ექნა და რით დაიწყო, უფროს პიონერხელმძღვანელს შესავალი სიტყვა დაემთავრებინა და რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან ქამუშაძე ღიმილით მოეშურებოდა მისკენ. მერე სხვებიც შემოუერთდნენ — სათითაოდ ეცნობოდნენ. სულაც არ დასჭირვებია რაიმე განსაკუთრებულის თქმა, ისე აეწყო საუბარი. ბავშვებს ბევრი რამ ჰქონდათ სათქმელი, ყველაზე უფრო კი ის აინტერესებდათ, რაზმის ხელმძღვანელი ხშირად თუ იქნებოდა მათთან. იმ წუთებში ყველანი ერთად იყვნენ — მთელი რაზმი და რაზმის ახალი ხელმძღვანელი. მარტო სამიოდე ბიჭი გამდგარიყო განზე და ხაზგასმული გულგრილობით ლაპარაკობდნენ რაღაცაზე, ვითომდა სულაც არ აინტერესებდათ თავიანთი რაზმის ახალი ხელმძღვანელის ვინაობა. სინამდვილეში კი გული წყდებოდათ: მეშვიდეკლასელებს, პარალელური კლასის პიონერებსაც რაზმის ხელმძღვანელებად კაცები გამოუყვეს, რაღა ჩვენ შეგვხვდა ქალიო. სამივე ფეხბურთის თავდავიწყებული გულშემატკივარი იყო და იმიტომაც შეშინდნენ, წახდა ჩვენი საქმე, რაზმის ხელმძღვანელთან საერთო ენას ვეღარ გამოვნახავთო. ამაო იყო მათი შიში — რაზმის ახალი ხელმძღვანელი ფიზკულტურისა და სპორტის ქომაგი აღმოჩნდა. მან ბიჭების სპორტული გატაცების ამბავი რომ გაიგო, ფეხბურთის გუნდი ჩამოაყალიბეთო, ურჩია.

მალე „იმედის სტარტებისათვის“ სამზადისს შეუდგა მთელი კლასი და მეექვსერაზმელებმა ყველაზე უფრო ისახელეს თავი სასკოლო შეჯიბრებაში.

ახლა დათო გაჩეჩილაძე, იმ სამ ბიჭთაგან ერთ-ერთი, „ტყავის ბურთის პრიზის“ გათამაშებაში რაიონის ნაკრებ გუნდში გამოდის და თავის პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ ქომაგად ია ხელმძღვანელი ეგულება.

სამხედრო-სპორტულ თამაშში მანამდეც ყოჩაღობდნენ ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის VI²-კლასელები, მაგრამ მას შემდეგ უფრო გამოიჩინეს თავი მარშრუტში „მარდნი, მამაცნი, ძლიერნი“.

პიონერული მარშის სხვა მარშრუტებზეც თანდათან უკეთ აეწყო საქმე.

სწავლა რომ პიონერის მთავარი მოვალეობაა, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი დიდად როდი ეხალისება მას, ვინც ზარმაცობს. ასეთები კი მეექვსე რაზმშიც იყვნენ.

რამდენჯერ უნდოდა ია ხელმძღვანელს, გამოსაუბრებოდა ჩამორჩენილ მოსწავლეებს, რჩევა მიეცა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, მათ წინაშე ჯერ საამისო ავტორიტეტი ჰქონდა თუ არა მოხვეჭილი. ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკაში ყველა პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობს ია ჭიჭინაძეზე. მეექვსეკლასელებს კი, აბა ეს საიდან ეცოდინებოდათ, სანამ თვითონ არ ეწვეოდნენ ფაბრიკას და ყველაფერს საკუთარი თვალით არ ნახავდნენ.

იმ დღეს ია ხელმძღვანელი პირველ ცვლაში მუშაობდა. სწორედ ცვლის დამთავრებისას ესტუმრნენ ფაბრიკას მეექვსერაზმელები. გახარებულმა ია ხელმძღვანელმა ბავშვებს თავისი ვრცელი, ნათელი საამქრო დაათვალიერებინა და ბრიგადის წევრები გააცნო. ამასობაში ლამის მთელმა ფაბრიკამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ პირველი და მეორე ცვლის მუშები, დირექციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბავშვებმა წარმოადგინეს ლიტერატურული მონტაჟი შრომის გმირებზე. მერე ფაბრიკის ერთ-ერთმა მოწინავე მუშამ, ნორა ცერცვაძემ, თქვა: ლექსი და სიმღერა ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ გვინდა სიტყვით გამოვიდეს რაზმის ხელმძღვანელი ია ჭიჭინაძე და რიგიანად გაგვაცნოს ჩვენი სტუმრები — რა ხალხია მეექვსერაზმელები, როგორ ბეჯითობენ სწავლასა და პიონერულ საქმიანობაშიო. იცოცხლეთ, ერთი-ორი პიონერი მაგრად შეაფიქრიანა ამ სიტყვებმა. გუნებაში ამბობდნენ: ახლა რაღა აუცილებელი იყო ასეთი ლაპარაკი, სტუმრად მოვედით საზეიმო შეკრებაზეო. ისინი კი ასე ფიქრობდნენ, მაგრამ, ცხადია, პატივცემულმა ნორამაც იცოდა, რას ამბობდა და ამის თქმის უფლებაც ჰქონდა. სწორედ მან, ნანული ღონღაძესა და ვენერა კაპანაძესთან ერთად, შეასწავლა სკოლის მერხიდან ფაბრიკაში მოსულ ქალიშვილს ია ჭიჭინაძეს მკერავის პროფესია; ეს სამი ადამიანი იყო ია დამრიგებელი და დამოუკიდებელი ცხოვრების გზის პირველმეგზური. ჰოდა, უფლებაც ჰქონდათ ეკითხათ, ახლა ვისთან მეგობრობს ეს ჩვენი აღზრდილიო. ია ხელმძღვანელიც გამოვიდა და ყველაფერი გულწრფელად თქვა — რა ახარებდათ და რა უჭირდათ მეექვსერაზმელებს. თან დასძინა: სწავლაში ჩამორჩენილთა სახელებს არ ვიტყვი, მერწმუნეთ, ისინი შეგნებული ბავშვები არიან და აუცილებლად იბეჯითებენ მომავალშიო.

საამკერვალო ფაბრიკის საკერავზე.

ჰიონერი

7

ივლისი

1977

საქართველოს ა.კ.კ. ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საპატიო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

იას ასეთ გამოსვლას ყველამ როდი დაუჭირა მხარი. ზოგი ამბობდა, ზარმაცებსა და ჩამორჩენილებს ჩვენ ხომ მოურიდებლად ვაკრიტიკებთ კრებებზე, შენც ასე უნდა მოქცეულიყავი. მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი რაზმელებისა რაზმის ხელმძღვანელს უკეთ მოეხსენებოდა.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ რუსუდან ქამუშაძემ თქვა, ჩვენთვის, პიონერებისათვის, ისევე ძვირფასია რუსთაველ მეტალურგთა დევიზი „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენს გვერდით!“ როგორც თქვენთვის, როგორც ყველა მშრომელი ადამიანისათვის, და ამ დევიზს, პირველ [illegible]ში, ბეჯითი სწავლით ვუერთ[illegible] რუსუდანის გამოსვლას მაია ბოგვერაძემაც აუბა მხარი. მაიას ხატვა ეხერხება და სწორედ იმ შეხვედრაზე იყო, რომ თქვა: ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი სახელოვანი მშრომელი ყოფილა და, თუ ნებას მომცემთ, საკუთარი ხელით გავაკეთებ ლამაზ წარწერას: „აქ მუშაობს ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის ია ჭიჭინაძის ბრიგადა“ და კედელზე გავაკრავო. მაიას ამ წინადადებას პირველმა ფაბრიკის დირექტორმა რ. სალაძემ დაუჭირა მხარი, თან დაუმატა: მე რომ მკითხოთ, არც ის იქნება ურიგო, თუ აქვე პიონერულ საამქროსაც შევქმნითო. ის დღე პიონერული საამქროს დაბადების დღედ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან მას შემდეგ აქ სისტემატურად მოდიან პიონერები, საკუთარი ხელით უვლიან ყვავილებს, ასუფთავებენ საამქროს, ეზიარებიან მკერავის პროფესიის პირველსაწყისებს. მას შემდეგ არაერთ კარგ თაოსნობას მოება თავი, რომელთაგან ერთი უმთავრესი, ალბათ, ფაბრიკის ეზოში გაშენებული პიონერული სკვერია. მეექვსერაზმელებმა სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორიის მოვლა-პატრონობა „პიონერმშენის“ დამკვრელურ უბნად გამოაცხადეს.

მეექვსერაზმელები სწავლაშიც ბეჯითობენ და მთელს სკოლას სჯერა, რომ ისინი მოიპოვებენ მარჯვენა-ფლანგელის საპატიო სახელს. ამაშიც ძალზე დიდია რაზმის ხელმძღვანელის ამაგი. თვალსაჩინო რომ გახდეს, როგორ მიაქვს გულთან ია ხელმძღვანელს თავისი რაზმის წარმატებაცა და წარუმატებლობაც, გაგაცნობთ ერთ ბარათს:

„ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

ცოტა კი შემიგვიანდა თქვენთან მოსვლა, მაგრამ არ გეგონოთ, რომ დამავიწყდით. გავიგე, ეკატერინე ბებია მოგიწვევიათ სკოლაში. ისიც კარგად მახსოვს, როგორი მტკიცე პირობა დამიდეთ, როცა თქვენი მომზადებული ალბომი „კორჩაგინი“ გუგული მასწავლებელს მიჰქონდა თბილისში. ქეთინოსა და ოთარს რომ ნიშნები გამოუსწორებიათ, ამან ყველაზე უფრო გამახარა.

ახლა კი უნდა გისაყვედუროთ.

გუშინ სკოლაში გამოვიარე და თქვენი ნახვა მინდოდა. ფაბრიკაში დავყოვნდი და ვეღარ მოგისწარით. ვიფიქრე, საკლასო ჟურნალს მაინც ვნახავ-მეთქი. რომ იცოდეთ, როგორ მეტკინა გული, ერთბაშად დამეკარგა თქვენთან შეხვედრის სურვილი. სულ არ ველოდი ამას. რა მოხდა, რატომ იზარმაცეს თამარმა, ქეთინომ, სიმონმა? ჩვენ ხომ მტკიცე პირობა დავდეთ, რომ არ შევარცხვენდით ერთმანეთს სწავლასა და შრომაში.

...როგორი გამოგვივა მომავალი შეხვედრა, ეს თქვენზეა დამოკიდებული, ჩემო მეგობრებო.

მე მჯერა თქვენი.

ია ხელმძღვანელი“.

ამ წერილს სათუთად ინახავენ მეექვსერაზმელები თავიანთ სამუშაო ალბომში. რაზმის ხელმძღვანელთან მომდევნო შეხვედრაზე მათ სიამაყით უპატაკეს, რომ არ ჰყავთ სწავლაში ჩამორჩენილი არც ერთი პიონერი.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ლეილა მახარაძე ესაუბრება მეექვსე რაზმელებს.

უფროსები ამბობენ: დრო მოგონებებს აფერმკრთალებს ისევე, როგორც ჟამთა სვლაში ყვითლდება ფურცელი.

ალბათ ასეა, დრო რომ გავა, მეექვსერაზმელებსაც იქნებ ბევრი რამ აღარ გაახსენდეთ, ახლა რომ ასე ზედმიწევნით ახსოვთ, მაგრამ ის დღე კი არასოდეს დაავიწყდებათ, როცა სკოლაში ამბავი მოიტანეს, ჩვენს მეზობლად ომში დაღუპული მეომრის დედა, მარტოხელა მოხუცი ქალი ცხოვრობს და ხელი უნდა გავუმართოთო. ეკატერინე ორჯონიკიძეს არც არაფერი უკითხავს და არც არაფერი უთხოვია ამ ყმაწვილებისათვის, სიამაყით რომ გაეცვნენ — თემურელები ვართო; ისე უბრალოდ და თბილად შეეგება, როგორც მასპინძელს ეკადრება. რაკი ერთხელ გაიგეს, რა უჭირდა მოხუცს, თქმა აღარავის სჭირდებოდა — ყველამ თავისი საქმე იცოდა: ვინ ბაღს მოუვლიდა, ვინ შეშას დაჩეხავდა... ეკატერინე ბებია ერთხანს იმასაც კი ფიქრობდა, აბა, ამათ იმდენი რა შეუძლიათ, მოვიდნენ, სამუშაოზე ცოტა ხელს წამიკრავენ, მერე ისევ თავისას ეწევიან, ყოველდღე ჩემთვის სად ეცლებათო. პიონერები კი სხვაგვარად სჯიდნენ. ამ მეგობრობის ამბავი რომ გაიგო, ია ხელმძღვანელმა ურჩია და მათაც მორიგეობა დააწესეს — დღეისაკენ გავიდოდა, შინმოუსვლელს დადაარ მოეკითხათ და გასაკეთებელი არ გაეკეთებინათ. ეკატერინე ბებიაც სულ უფრო მეტი ნდობით ეკიდებოდა პატარა მეგობრებს.

ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის მეექვსერაზმელები მილიონობით თანატოლთან ერთად რწმენით მიდიან წინ პიონერული მარშის მარშრუტებით, ამ რწმენით მიჰქრის მათი სურვილების „ცისფერი ექსპრესი“ და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ პიონერთა დაუსწრებელ მოგზაურობაში ახალ-ახალი გამარჯვების მაცნედ ეგებებიან სადგურები: „ავრორა“, „კორჩაგინი“...

წინ დიდი გზებია ოცნებისა და შრომისა.

ამ გზაზე მრჩეველი და კეთილი მეგზური არ მოაკლდებათ მეექვსერაზმელებს.

ერთი მათგანი ია ხელმძღვანელია — ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელი ია ჭიჭინაძე.

მას, ვისაც ასეთი სიყვარული აკავშირებს პიონერებთან, შეუძლია თქვას: მოვედი, რომ ყოველთვის თქვენთან ერთად ვიყო...

თ. მეტრეველი.

ფოტო
გ. ტორიაშვილისა.

ნარგიზა
მგელაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი
ზ. დეისაძე.

— ჩვენ წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინათ გააკეთეს პირველი მაკრატელი ცხვრის გასაპარსად. მანამდე ცხვრებს მატყლს სწიწკნიდნენ, — აგვიხსნა ბიძაჩემმა. — ის თუ იცით, ვინ და როდის დაამზადა პირველად კონსერვი?

არც ეს ვიცოდით.

— ას სამოცი წლის წინათ პიტერ დიურანმა. 1912 წლიდან ბრიტანეთის ფლოტი რეგულარულად მარაგდებოდა კონსერვით.

— ნაყინი? — ვკითხე მე.

— ევროპაში ნაყინის რეცეპტი მეცამეტე საუკუნეში შემოიტანა მარკო პოლომ. სხვათა შორის, ვინც ნაყინის რეცეპტის საიდუმლოს გაამჟღავნებდა, სიკვდილით დასჯა ელოდა.

თორნიკე ძიას შეკითხვები დავაყარეთ და ბევრი რამ გავიგეთ. მაგალითად, რამდენი წლისაა „მუდმივი კალამი". 1650 წელს პარიზის მატიანეში მოხსენებული ყოფილა უცნაური კალამი, რომელიც რამდენიმე წვეთ მელანს იწოვს და შემდეგ შეიძლება მთელი ფურცელი დაწეროს ჩაუწებლად.

თურმე, რაც კი ჩვენს ირგვლივ ნივთია, უბრალო, ყოველდღიური, რომელზეც ყურადღებას აღარც ვაჩერებთ ხოლმე, ყველას თავისი საინტერესო ისტორია ჰქონია.

გადავწყვიტეთ, თუკი სადმე წავაწყდებით, ჩავიწეროთ ყველაზე ჩვეულებრივი საგნების ისტორია და ერთმანეთს გავეჯიბროთ, ვინ მეტი საგნისა და ნივთის „ბიოგრაფია" იცის.

8 დეკემბერი

ჯუნას საქციელმა ჩვენი კლასი აღაშფოთა. ორი წელიწადია, ჯუნას დედა ლოგინად არის ჩავარდნილი.

მამა ოჯახიდან წავიდა და სხვა ცოლი შეირთო. სასამართლო პროცესამდე ჯუნას მამა რამდენჯერმე მოვიდა სკოლაში, ჯუნა მანქანაში ჩაისვა და წაიყვანა. თურმე, როგორც გამოირკვა, ჯუნას ეუბნებოდა:

— დედაშენს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია. რა უნდა გაგიკეთოს დავრდომილმა. შენ სასამართლოზე ჩემთან ყოფნა არჩიე და, სკოლას რომ დაამთავრებ, მაშინვე მანქანას გიყიდი, ინსტიტუტში მოწყობაზე დაგეხმარები. დედაშენთან კი მზექალა დარჩება.

ჯუნას ჭკუაში დასჯდომია მამის ნათქვამი და, როცა მოსამართლეს უკითხავს, დედასთან გირჩევნია თუ მამასთანო, უყოყმანოდ განუცხადებია: მამასთან მინდაო. მისი და, მზექალა, ატირებულა: დედაჩემი რომ ამას გაიგებს, გული გაუსკდება, ის ხომ ჩვენი იმედით ცოცხლობს; ჯუნა, არა გრცხვენიაო? მაგრამ ჯუნას ისევ გაუმეორებია:

— მე ბავშვი არა ვარ და ვიცი, რასაც ჩავდივარო.

მოსამართლეს თავი ვერ შეუკავებია:

— ბავშვი, მართალია, აღარ ხარ, მაგრამ არა მგონია, შენგან კაცი დადგესო.

კლასში ყველამ ჯუნა გაამტყუნა.

— საზიზღარი! — თქვეს გოგონებმა.

მართალი რომ ვთქვა, მეც ენის წვერზე მადგა ეს სიტყვა, წარმოვიდგინე ჯუნას დედა, როცა ეტყოდნენ, ჯუნამ მამასთან და დედინაცვალთან ცხოვრება ამჯობინა შენთან ყოფნასო.

რა შეიძლება იყოს დედაზე ტკბილი, დედაზე ერთგული, დედაზე საიმედო!

შეიძლება შენს მიმართ ყველას შეეცვალოს გრძნობა, შენზე წინ, შეზზე მაღლა სხვა დააყენოს, დედას კი — არასოდეს.

ქვეყნად არავის არ შეიძლება ისე ეტკინოს შენი ტკივილი, როგორც დედას, და ისე გაიხაროს შენი სიხარულით, როგორც დედამ.

უცრემლოდ ვერ ვკითხულობ ეგზიუპერის უნაზეს წერილს დედისადმი და ვოცნებობ, ოდესმე ჩემი სიტყვებით ასეთივე გრძნობა გავუზიარო საყვარელ დედას.

აი, ეს წერილიც:

„დედიკო, ეს-ეს არის კიდევ გადავიკითხე თქვენი ბოლო წერილი. ის ისეთი ნაზია. როგორ მინდა დავბრუნდე თქვენთან. გაიგებთ, რომ ყოველდღიურად თქვენდამი სულ უფრო და უფრო მეტ სიყვარულს ვსწავლობ.

რას აკეთებთ, დედა? ხატავთ თუ არა? მიპასუხეთ. თქვენი წერილები მეხმარებიან, მამხნევებენ. დედიკო, სად პოულობთ ასეთ მშვენიერ სიტყვებს? მთელი დღე მათი შთაბეჭდილების ქვეშა ვარ. ისევე მჭირდებით ახლა, როგორც ბავშვობის დროს. სამხედრო დისციპლინა, ტაქტიკის გაკვეთილები — რა მოსა-

დასასრული. დასაწყისი იხ. „პიონერი" № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყენია, რა მშრალი. წარმოვიდგენ ხოლმე, რომ თქვენ დადიხართ სასტუმრო ოთახში, უვლით ყვავილებს და მძულს ეს ზემდეგი.

როგორ შემეძლო ოდესმე მეტირებინეთ? ამაზე რომ ვფიქრობ, თავს უბედურად ვგრძნობ. ნუთუ გაიძულებდით ეჭვი შეგეტანათ თქვენდამი ჩემს სიყვარულში? მაგრამ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდით ყოველთვის. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერზე უკეთესი ეს თქვენა ხართ. დღეს ისე ვნაღვლობ სახლზე, როგორც პატარა ბიჭი. თქვენ მანდ დადიხართ, ლაპარაკობთ და ჩვენ შეგვეძლო ერთად ყოფილიყავით, მაგრამ მე მოკლებული ვარ თქვენს სინაზეს და ვერც ის შევძელი, თქვენი დასაყრდენი ვყოფილიყავი.

დღეს მოწყენილი ვარ და, როცა ასეა, ჩემი ერთადერთი ნუგეში თქვენა ხართ. პატარა ბიჭობაში, როცა უზარმაზარი ჩანთით სკოლიდან ვბრუნდებოდი და ვტიროდი იმის გამო, რომ დამსაჯეს, საკმარისი იყო თქვენ გეკოცნათ ჩემთვის, ყველაფერი მავიწყდებოდა. თქვენ იყავით ყოვლისშემძლე მფარველი ინსპექტორებისა და ზედამხედველი ბერებისაგან. თქვენს ხელში ყოველგვარი საფრთხისაგან ვიყავი დაცული და მხოლოდ თქვენ გეკუთვნოდით. ოჰ, რა დიდებული იყო.

აი, ახლაც ასეა. მხოლოდ თქვენა ხართ ჩემი მფარველი. მხოლოდ თქვენ იცით ყოველივე და შეგიძლიათ ჩემი ნუგეშისცემა. ნებსით თუ უნებლიეთ ისევ პატარა ბიჭუნად ვგრძნობ თავს.

ნახვამდის, დედა. სამუშაო თავზესაყრელი მაქვს. აქაც ისევე ყიყინებენ ბაყაყები, როგორც სენ-მორისში, მაგრამ გაცილებით ცუდად. ხვალ 50 კილომეტრზე თქვენკენ, სენ-მორისისაკენ გამოვფრინდები და წარმოვიდგენ, რომ შინ მოვდივარ.

გკოცნით ნაზად, თქვენი ვაჟი ანტუანი".

აი, როგორი შვილი უნდა იყო. რა კარგი იქნებოდა, ყველა დედას ასეთი შვილები ჰყავდეს.

დალილამ თქვა: მოდით, ჯუნას დედასთან მივიდეთო. ამაზე აზრები გაიყო. ერთმა თქვა: ჩვენს დანახვაზე, შესაძლოა, უფრო ეტკინოს გული; ისა სჯობს, თვითონ ჯუნას მოველაპარაკოთ და ვეცადოთ გავაგებინოთ მისი საქციელის მთელი სისასტიკეო.

25 დეკემბერი

ვკითხულობ ყველაფერს თვითმფრინავებზე, მფრინავების ცხოვრებაზე, ავიაციის ისტორიაზე. გადაწყვეტილი მაქვს მომავალ ზაფხულს ჩავეწერო პარაშუტისტთა კლუბში. ზურიკომ მითხრა, მეც წამოვალო, ზურიკოს პარაშუტის მიმართ სპორტული ინტერესი აქვს, მე კი — პროფესიული. ერთხელ თუ მიიღე გადაწყვეტილება, თუნდაც უარესი სხვა შესაძლებელ გადაწყვეტილებათა შორის, ნუ შეცვლი, — ამას ღაღადებს ავიაციის პირველი წესი, რომელიც ძალიან მომწონს.

ერთ-ერთი ავარიის დროს ანოხინმა დაკარგა მხედველობა, მაგრამ დაუჯერებელი რამ მოხდა: მაინც განაგრძო ფრენა. ეს იყო ლეგენდარული ამბავი. დაუძლეველი ბარიერი დააძლევინა საქმის ფანატიკურმა სიყვარულმა და ცოდნამ.

31 დეკემბერი

დღეს დედა დილიდანვე შინ არის. ბებიაც გვესტუმრა. სამზარეულოში ნამცხვრისა და გოზინაყის სუნი ტრიალებს.

საახალწლოდ დედას საჩუქარი მოვუმზადე: ჩემი ხელით გაკეთებულ ჩარჩოში მამაჩემის სურათი ჩავსვი. მამა აფრიან ნავზეა გადაღებული, ჭილის ქუდი ახურავს და იცინის.

ბებიას ლამაზი შანდალი მივართვი წითელი, ყვითელი და მწვანე სანთლებით.

მე კი ნანულისაგან ვაჟა-ფშაველას ორტომეული მივიღე, მინიატურული, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი.

13 იანვარი

არდადეგები დამთავრდა. ვვარჯიშობდი. ბევრს ვკითხულობდი. ბიჭებთან ჭადრაკს ვთამაშობდი. კარგად დავისვენე.

დღეს პირველი გაკვეთილი რუსული გვქონდა. კლასში ყველას უყვარს ჩვენი რუსულის მასწავლებელი. ლიდია ალექსეევნა რუსია, ქართული საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ უსწავლია.

ლიდია ალექსეევნა ტაქტზე გვესაუბრა. საუბარი დაიწყო პაუსტოვსკის ნაწარმოებზე, რომელშიც მოთხრობილია, როგორ ასწავლიდა, მათ, გიმნაზიელებს, მასწავლებელი ზრდილობას, კულტურულ ქცევას საზოგადოებაში.

— ვთქვათ, ოთახში, სადაც ყველა სკამი დაკავებულია, თვალცრემლიანი ქალი შემოვიდა. როგორ მოიქცევა ზრდილობიანი კაცი?

— მაშინვე ადგება და ქალს ადგილს დაუთმობს, — ვუპასუხეთ ჩვენ.

— კეთილი, როგორ მოიქცევა ტაქტიანი ადამიანი?

ამაზე ვერ ვუპასუხეთ.

— ქალს პირით ფანჯრისაკენ დასვამს, რათა სხვებმა ვერ შენიშნონ მისი ცრემლიანი თვალები, — თქვა მასწავლებელმა.

მასწავლებელმა დაფაზე დაგვიწერა ჩეხოვის სიტყვები: „კარგად აღზრდილი ადამიანები პატივსა სცემენ პიროვნებას, ამიტომ ყოველთვის თავაზიანი, ზრდილობიანი, რბილი და დამთმობი არიან". გვთხოვა გადაგვწერა და დაგვმახსოვრებინა ეს სიტყვები. შემდეგ კი გვითხრა, რომ ტაქტი ზომიერების გრძნობაა და მის არსს კარგად გამოხატავს ბერძნული ფორმულა „არაფერი ზედმეტი".

— საზოგადოებაში გაგიჭირდებათ ყოფნა, თუ არ გექნებათ ადამიანებთან კეთილი ურთიერთობის ყველაზე აუცილებელი იარაღი-ტაქტი, — დაგვარიგა მან. — თუ მოქმედების ან ლაპარაკის დაწყებამდე იფიქრებთ არა მარტო იმაზე, თუ რამდენად სწორია თქვენი ქცევა ან სიტყვა, არამედ იმაზეც, თუ როგორ აღიქვამს მას თქვენი თანამოსაუბრე — ორ კურდღელს ერთად დაიჭერთ: სიმართლესაც იტყვით და ტაქტიანიც იქნებით.

თუ ვერ ხვდებით, რამდენად ტაქტიანია თქვენი ქცევა, მოახდინეთ თვითდაკვირვება: გესიამოვნებათ თუ არა ისე მოგექცენ, როგორც თქვენ ექცევით სხვას? ან უბრალოდ დაიხსომეთ ანდაზა „რასაც შენს თავს არ უსურვებ, იმას სხვას ნუ გაუკეთებ".

საამო სანახავია, საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაში ზრდილი, ტაქტიანი ადამიანი. რადგან ტაქტში სხვა ადამიანის დაფასება და პატივისცემა იგულისხმება, ამიტომ იგი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

გახსოვდეთ, გარეგანი კულტურით ხშირად გამოიხატება შინაგანი კულტურა, თავაზიანობით — თავმდაბლობა, ხოლო ზრდილობით — საერთოდ ზნეობა.

ლიდია ალექსეევნა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავმდაბლობას, ვერ იტანს ტრაბახებსა და მკვეხარებს. ივერის „იაკალკას" ეძახის, რადგან ის საუბარში ხშირად ხმარობს ნაცვალსახელს „მე".

— დაიხსომეთ, — გვეუბნება იგი, — „Я" რუსულ ანბანში უკანასკნელი ასოა. რაც შეიძლება ნაკლებად გამოიყენეთ იგი. საქმე ის არის, სხვამ გაქოს, თორემ ქართული ანდაზა ხომ გახსოვთ: „თავის ქება კიტრადა ღირს, კიტრი კაპიკადაო".

მე ძალიან მიყვარს ლიდია ალექსეევნა. განსკუთრებით ის მომწონს, რომ მარტო გაკვეთილს კი არ გვიხსნის, არამედ ჩვენს კარგ ადამიანებად, კულტურულ, თავმდაბალ ადამიანებად აღზრდას ცდილობს, მან გამიღვივა რუსული წიგნების კითხვის სურვილი. რამდენს დავკარგავდი, რომ ისეთი კარგი მასწავლებელი არ მყოლოდა!

15 იანვარი

ჩვენს კლასში „ჩეპეა“.

რა მოხდა?

კარგა ხანია მამუკა და ქეთინო მეგობრობენ. შარშან პიონერთა ბანაკში ერთად იყვნენ. წლეულსაც ერთად მეცადინეობენ. ქეთინოს ხაზვა უჭირს. მამუკა კარგად ხაზავს. იგი ბევრი ეცადა ქეთინო ამ საგანში გაეწაფა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და თვითონ შეუდგა ქეთინოს ნახაზების კეთებას.

ქეთინოს დედას უხაროდა, რომ მისი შვილის ნახაზებს მამუკა აკეთებდა, ფიზიკაშიც ეხმარებოდა. მაგრამ შემდეგ აღარ მოსწონებია მათი მეგობრობა და მოუთხოვია შვილისათვის, მამუკასთან ნუღარ იმეცადინებ და ნურც იამხანაგებო.

ქეთინოს სასტიკად სწყენია, უარი უთქვამს ამ ბრძანების შესრულებაზე. მაშინ ქეთინოს დედა სკოლაში მოვიდა და ელენე მასწავლებელს, ჩვენს დამრიგებელს, სთხოვა „ზომების მიღება“.

დამრიგებელმა უთხრა:

—მე ამ ახალგაზრდების მეგობრობაში ცუდს ვერაფერს ვხედავ და არც მიმაჩნია მართებულად ასეთი ჩარევა.

ამის შემდეგ ქეთინოს დედა დირექტორთან შევიდა და მოსთხოვა: მამუკას ხელწერილი ჩამოართვით, რომ ჩემს შვილს აღარ დაელაპარაკებაო.

ეტყობა ქეთინოს დედამ იმდენი ილაპარაკა, რომ დირექტორი დააჯერა. მან მამუკა დაიბარა და ხელწერილის დაწერა მოსთხოვა.

მამუკამ ამ უცნაურ მოთხოვნაზე, რა თქმა უნდა, უარი თქვა და ისიც დასძინა: — მე თქვენგან მეტ გაგებას მოველოდი.

უნებართვოდ დატოვა დირექტორის კაბინეტი.

მაშინვე დირექტორთან გამოუძახეს ჩვენს დამრიგებელს.

ქეთინოს გოგოები შემოხვეოდნენ.

— სულ წავალ სახლიდან, დეიდაჩემთან გადავალ ქუთაისში და იქ ვისწავლი, — ტიროდა იგი.

მამუკა ჩანთისთვისაც აღარ შემოსულა კლასში. ჩანთა ზურიკომ წაუღო.

მეც მამუკას ადგილზე ასე მოვიქცეოდი, ამგვარი შეურაცხყოფა რომ მოეყენებინათ.

20 იანვარი

შემდეგ ამბავი ასე განვითარდა:

მამუკას დედა მოვიდა სკოლაში და საბუთები სხვა სკოლაში გადაიტანა.

როგორ შეეგუება მამუკა ახალ ამხანაგებს? რა იქნება შემდეგ?

ქეთინო სკოლაში აღარ დადის, თქვეს, ავადააო.

მე ვერც კი წარმომიდგენია, დედაჩემმა მსგავსი რამ ჩაიდინოს, შეურაცხყოფა მომაყენოს. პირიქით, იმიტომ უფრო ძალიან მიყვარს დედა, რომ ბავშვობიდან ვგრძნობ, პატივისცემით მექცევა.

როცა რაიმე საოჯახო საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, დედა ყოველთვის ამბობს, — ჯარჯი რას იტყვისო, ან — ნანულის ვკითხოთო. და ყოველთვის ყურადღებით გვისმენს, რას ვიტყვით.

ჩემი აზრით, ადამიანს, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი, უფლება აქვს მოითხოვოს, მის პიროვნებას პატივისცემით მოექცნენ.

25 იანვარი

სკოლის ფოიეში გამოკრულია ვეებერთელა განცხადება: „30 იანვარს, დღის 2 საათზე, სკოლის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყობა დისპუტი თემაზე: „რა არის ბედნიერება?“

დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ მოწვეული სტუმრები, მწერლები, მეცნიერები.

მსურველებს ვთხოვთ მოემზადონ“.

აუცილებლად ჩავებმები დისპუტში.

30 იანვარი

არ მეგონა, თუ ამდენი ხალხი მოიყრიდა თავს დისპუტზე. უფროსკლასელები თითქმის უკლებლივ მოსულიყვნენ. რამდენიმე მეექვსე-მეშვიდე კლასელიც შემოსულიყო და ორ მეხუთეკლასელ გოგონასაც მოვკარი თვალი.

დისპუტი გახსნა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თამრიკო გედენიძემ, ჩვენი პარალელური IX[1] კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ.

თამრიკომ სიტყვა მოწვეულ მეცნიერს მისცა.

მან ასე დაიწყო:

—თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ ასეთი ფიგურალური გამოთქმა: „მდიდარია, როგორც კრეზი“.

ლიდიის მეფე კრეზი ძველ მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი იყო და მისი სახელი სიმდიდრის სიმბოლოდ იქცა. როცა სპარსეთის მეფემ კიროსმა ლიდია დაიპყრო, კრეზი ტყვედ ჩავარდა. სიკვდილით დასჯის წინ მან თქვა: „ო, სოლონ, სოლონ!“ კიროსი დაინტერესდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვები, რაზეც ტყვემ უპასუხა: სოლონმა მართალი მითხრა — სანამ ადამიანს სიცოცხლე არ დაუსრულებია, ვერ იტყვი, ბედნიერი კაცია თუ უბედურიო.

როცა კრეზი დიდების მწვერვალზე იყო, მას ესტუმრა ათენელი კანონმდებელი სოლონი. მასპინძელმა დიდძალი სიმდიდრე უჩვენა სახელოვან სტუმარს, თან შეეკითხა:

—ვინ არის ყველაზე ბედნიერი კაცი, რომელიც კი ოდესმე გინახავს?

გულში ფიქრობდა, რომ სოლონი თვით მას, კრეზს დაასახელებდა, მაგრამ სტუმარმა უპასუხა:

—ჩემი აზრით, ყველაზე ბედნიერი ადამიანი ათენელი თალესი იყო. ჯერ ერთი, ის ცხოვრობდა ათენის აყვავების დროს, ესე იგი მაშინ, როცა ქვეყანა და ხალხი ბედნიერი იყო; მეორეც, მას ჰყავდა კარგი შვილები და შვილიშვილები; მესამე, არ განიცდიდა მატერიალურ სიღარიბეს; მეოთხე, გმირულად დაეცა თავისი მშობლიური ქალაქის ათენის დაცვისათვის; მეხუთე, მადლიერმა თანამოქალაქეებმა პატივით დაკრძალეს.

— მე თუ შემიძლია თავი ბედნიერად ჩავთვალო? — ჰკითხა სოლონს კრეზმა.

—ადამიანი საშუალოდ 70 წელიწადს ცოცხლობს ანუ 25.550 დღე-ღამეს. არავინ იცის, რას მოიტანენ ეს დღეები. არ შემიძლია ვთქვა, რომ შენ ბედნიერი ხარ, სანამ არ ვნახავ შენი სიცოცხლის ბედნიერ დასასრულს, — უპასუხა ბრძენმა.

ეს ჭკუის სასწავლი ამბავი ბრძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ გვამცნო.

რა არის აქ მთავარი?

საზოგადოების ბედნიერების, მისი კეთილდღეობის გარეშე შეუძლებელია ადამიანის ბედნიერება. მხოლოდ საზოგადოების კეთილდღეობა იწვევს ბედნიერების ნამდვილ განცდას.

პირადი კეთილდღეობა, ყველას ბედნიერება, რომელსაც იცავს თითოეული მოქალაქე, პიროვნების ღირსების საზოგადოებრივი აღიარება — ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერების საფუძველი. ასეთია ჰეროდოტეს ძირითადი დასკვნა. საყურადღებოა, რომ სიმდიდრე და ძალაუფლება მას არ მიაჩნია ბედნიერებისათვის საკმარის საფუძვლად.

ამ თემაზე მსჯელობისას ბევრ სიძნელეს წავაწყდებით, მაგრამ ბედნიერებისა და სიცოცხლის საზრისის პრობლემების განხილვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

არიან ადამიანები, რომლებიც ბედნიერებად თვლიან მას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც სულაც არ არის ჭეშმარიტი ბედნიერება. მაგალითად, სიმდიდრის დაგროვებას, პირად კეთილდღეობას, კომფორტს, და ყოველი დაშვებული თუ დაუშვებელი საშუალებებით ესწრაფვიან ამგვარ „ბედნიერებას“.

ზოგი კიდევ, თუ წაიბორძიკა, მარცხი განიცადა, ან მატერიალური სივიწროვე აწუხებს, საერთოდ კარგავს ბედნიერების რწმენას, იქცევა სკეპტიკოსად ან ცინიკოსად.

ამ უკიდურესობაში რომ არ ჩავვარდეთ, საჭიროა ხშირად ვიფიქროთ ცხოვრების საზრისის, ბედნიერების პრობლემებზე, ვიკამათოთ, რადგან კამათში იბადება ჭეშმარიტება.

მეცნიერის გამოსვლის შემდეგ გაიმართა კამათი. მოსწავლეები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს, მოჰყავდათ ციტატები ბედნიერების შესახებ დიდი ადამიანების გამონათქვამებიდან.

აი რამდენიმე მათგანი, რომელთა ჩაწერა მოვახერხე:

ბეთჰოვენი წერდა: არაფერია იმაზე ძვირფასი და მშვენიერი, ვიდრე ის, რომ მოგქონდეს ბედნიერება ადამიანებისათვის.

პისარევის აზრით, ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ბედნიერი, თუ ის თავის სიცოცხლეს საზოგადოების ბედნიერებას სწირავს.

ტოლსტოის მიაჩნდა, რომ ბედნიერება არის უსინანულო კმაყოფილება. ბედნიერება იმის ხვედრია, ვინც ბევრს შრომობს, ეს აზრი ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის.

იყო გაცხარებული კამათი. ზოგჯერ მასწავლებლებიც ჩაერეოდნენ ჩვენს პაექრობაში.

ივერიმ ცინიკურად განაცხადა, რომ არავინ იცის, რა არის ბედნიერება, და კამათი ამ საკითხზე ადამიანს ბედნიერს ვერ გახდისო.

ზურიკო: ბედნიერებაა, როცა შენი ესმით.



ნათია: მოუტანო სარგებლობა ადამიანებს.

თამრიკო: ცხოვრობდე ბედნიერ ადამიანთა შორის მშვიდობის დროს.

მე: გქონდეს ცხოვრების მიზანი და განახორციელო იგი.

დალილა: გიყვარდეს და იყო სიყვარულის ობიექტი.

ნათელა: შექმნა ბედნიერი ოჯახი, გაზარდო კარგი შვილები.

ნიკა: შეძლო ისეთი რამის გაკეთება, რომ კაცობრიობამ მადლობით მოიხსენიოს შენი სახელი.

შოთა: არა შემთხვევით მოპოვებული, არამედ დამსახურებული ბედნიერება.

ჯუმბერი: სწავლა.

გიგლა: სამშობლოსათვის თავდადება.

ლელა: ტანჯვა შეუმსუბუქო ადამიანს, განკურნო ავადმყოფობისაგან.

ერთი სიტყვით, ყველას თავისი შეხედულება ჰქონდა იმაზე, თუ რა არის ბედნიერება და ჩვენ აღარ გაგვკვირვებია, რომ ძველ რომში ამ შეხედულებათა რიცხვი 278-ს აღწევდა.

დისპუტით ყველა კმაყოფილი დავრჩით.

2 თებერვალი

დღევანდელ დღეს არიან დაბადებული ბებია, დედა და მამა. უცნაურია, მაგრამ ასეა. სანამ მამა ცოცხალი მყავდა, ამ დღეს ჩვენთან დიდი სტუმრობა, მხიარულება და სიცილი იყო. მთელი ნათესაობა, მეზობლები, ამხანაგები ჩვენსას იყრიდნენ თავს. იუბილარები ერთმანეთს საჩუქარ-სიურპრიზებს უმზადებდნენ. ბებია ერთი კვირით ადრე გვესტუმრებოდა. იწყებოდა სამზადისი.

რაც მამა გარდაიცვალა, ამ დღეს ყველანი სასაფლაოზე მივდივართ. ეს დღე მამაჩემის ხსოვნის დღეა. არც ერთ წელიწადს არ დავიწყებიათ ეს დღე იმათ, ვინც მამამ სიკვდილს გადაარჩინა. მოდიან თავიანთი შვილებით და ძნელია აუღელვებლად უყურო, როგორ აწყობენ ბავშვები ყვავილებს მათი მამების მხსნელის საფლავზე.

არ ვიცი, ამ დროს რა გრძნობა ეუფლება დედას. ეს, ალბათ, რთული გრძნობაა.

რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნებოდი, მამა რომ ცოცხალი მყოლოდა, მაგრამ ეს ბედნიერება უბედურებად შემეცვლებოდა, თუ მეცოდინებოდა, რომ მას შეეძლო გადაერჩინა ადამიანი და ეს არ გააკეთა. ჩემმა შვილებმაც რომ შეძლონ იამაყონ ჩემით, უნდა ვიცხოვრო მხოლოდ ვაჟკაცობის, ზნეობრიობის დაუწერელი კანონებით.

5 თებერვალი

ქეთინო მოვიდა, გამხდარი, შეცვლილი. წყნარად ზის, არც არავის ელაპარაკება, არც არაფერში მონაწილეობს.

ეტყობა, ძლიერ არის ტრამვირებული. რატომ, რისთვის? რა ცუდია, რომ დედა და შვილი მეგობრები არ არიან. თუკი ქეთინოსა და მამუკას გრძნობა ნამდვილი სიყვარულია, მაშინ... მათ მიმართ დიდი დანაშაულია ჩადენილი.

რატომ, არის რომ სკოლაში არაფერს გვეუბნებიან სიყვარულზე, თითქოს იგი არც კი არსებობდეს. უფრო სწორად, არსებობდეს მხოლოდ წიგნის გმირებისათვის, ტარიელისათვის, ნესტან-დარეჯანისათვის, ოთარაანთ გიორგისათვის, რომეოსათვის, ნატაშა როსტოვასათვის... ჩვენ ვიცით, რომ ეს გრძნობა ახლაც არსებობს, მასწავლებლებმაც იციან, რომ ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ ორივე მხარე ისე ვიქცევით, თითქოს არაფერი ვიცოდეთ. რატომ ვთამაშობთ ამ კუკუდამალობანას?! ვისთვის მოაქვს ამას სიკეთე? ჩვენთვის? არა მგონია. მასწავლებლისათვის? ალბათ, არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 თებერვალი

ჯუნას, მართალია, მამამისის ნაყიდი ახალი ტყავის ქურთუკი და ფართო ტყავისქამრიანი ნამდვილი ჯინსი ეცვა, მაგრამ ამის გამო დიდი სიხარული არ ეტყობოდა.

ელენე მასწავლებელი იყო ჯუნას დედასთან. იქიდან დაბრუნებული დიდხანს ესაუბრა ჯუნას. მაგრამ რა უთხრა, ეს არ ვიცოდით.

ჯუნა დაბნეული ჩანდა. გაკვეთილებს ვერ ამზადებდა. საშინაო დავალება ხშირად არ ჰქონდა შესრულებული.

თამაშშიც მონაწილეობას არ იღებდა და არც ჩვენ ვეხვეწებოდით მაინცდამაინც.

გაკვეთილების შემდეგ მარტო მიდიოდა შინ, ახლა იგი სკოლიდან ძალზე მოშორებით ცხოვრობდა და თანამგზავრი არავინ ჰყავდა.

დღეს პირველ გაკვეთილს ელენე მასწავლებელი გვიტარებდა. უცებ საკლასო ოთახის კარი მორიდებით შემოაღო ვიღაც თავშალიანმა ქალმა. არ შემოსულა, ელენე მასწავლებელს ანიშნა: გამოდითო.

დამრიგებელი გავიდა. კარგა ხანს გარედან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მერე დამრიგებელი შემოვიდა.

—ჯუნას დედა ძალიან ცუდად გამხდარა, — თქვა დამრიგებელმა და ხმა აუთრთოლდა. — ჯარჯი, ზურიკო და ნათია, გაჰყევით ჯუნას.

ჯუნა დამდუღრულივით წამოვარდა და, სანამ ჩვენ ქურთუკებს და ქუდებს ჩამოვიღებდით, დერეფანში გავარდა.

ნათიამ მის ქურთუკს წამოავლო ხელი და ჩვენ კიბეზე ძლივს წამოვეწიეთ ჯუნას.

სანამ, კიბეზე ჩავდიოდით, კლასს უკვე გაეგო: ჯუნას დედა აღარ ჰყავდა.

23 თებერვალი

ეს ხუთი დღეა, მთელი კლასი გაოგნებულია ჯუნას საცოდაობით. ჯუნა ხმას არ იღებს, ფრჩხილები და ტუჩები დაკვნეტილი აქვს, დღედაღამ არ შორდება დედის ცხედარს. თვალები ჩაუცვივდა, მხრებში მოიხარა.

— ეს შეხვეული - მამაჩემს მიუტანეთ და გადაეცით, აქ არ გამოჩნდეს — ერთადერთი, რაც ჯუნამ გვთხოვა, ეს იყო.

1 მარტი

კალენდრით უკვე გაზაფხული დაიწყო. მაგრამ სწორედ დღეს წამოვიდა თოვლი.

ბაზარში ჩემი წასვლის ჯერი იყო და შინ მისვლამდე ქაღალდის პარკი სულ შემომადნა ხელში.

შინ ბებია დამხვდა მოსული. ძალიან გამეხარდა. როცა ბებია ჩვენთან არის, ირგვლივ მეტი სითბო და სიმყუდროვეა. სადილსა და ჩაის სმასაც უფრო საზეიმო ელფერი დაჰკრავს. საღამოს უთუოდ რომელიმე ნამცხვარი ცხვება. დილით ფაქიზად გახვეულ საუზმეს ბებო დედასაც ატანს სამსახურში. დედას ეცინება და თვალებთან ნაოჭები უქრება. ხოლო როცა ეს ნაოჭები ქრება, დედაჩემი სულ მთლად ახალგაზრდა ხდება.

—ბებო, არ წახვიდე, რა, — ვეხვეწებით მე და ნანული,— ამ საღამოს ლოტო ვითამაშოთ.

ლოტო ბებიას სუსტი ადგილია. და მე და ნანული ისეთ სახეს ვიღებთ, ვითომ ლოტოს თამაშისათვის ვგიჟდებოდეთ.

პატარები რომ ვიყავით, ბებია ლოტოს კოჭებზე რიცხვების კითხვას გვასწავლიდა. მაშინ მართლა გვიყვარდა ლოტო. მერე ამ თამაშის მიმართ გულგრილი გავხდით, მაგრამ ბებიას ამას როგორ ვაგრძნობინებთ. ის მოთმინებით გვიცდის, როდის მოვრჩებით მეცადინეობას, და მაგიდის უჯრიდან იღებს სწორედ იმ ჩვენი პატარაობისდროინდელ ლოტოს, რომელზეც ძლივსღა იკითხება რიცხვები.

—ოცდაცხრა, — აცხადებს ბებია და სათვალეს შუბლზე იწევს.

—ჩემია! — მიხარია მე.

— ბიჭო, — ჩამჩურჩულა ნანულიმ დაწოლისას, — ბებია თურმე შენთვის პენსიას აგროვებს.

—რატომ? — დავიბენი მე.

—ბიჭი სკოლას რომ დაამთავრებს და სასწავლებლად წავა, მაშინ მივცემო.

გულის კოვზთან რაღაცამ მომიცაცუნა...

5 მარტი

დღეს დარბაზში სიგრძეზე ხტომა გვქონდა. ფიზკულტურის მასწავლებელმა შემაქო:

—ყოჩაღ! შენ ძალიან შეიცვალე, შედეგიც საუკეთესო გაქვს და კუნთებსაც ვარჯიშის კვალი ატყვია. თუ ასე განაგრძობ, შორს წახვალ.

რაც მართალია, მართალია, ძალზე გამეხარდა. ჩემი მიზნისაკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯად ჩავთვალე.

29 მარტი

დღიურის საწერად ვერ ვიცლი. ძალიან ბევრი სამეცადინო გვაქვს.

სკოლაში მიმდინარეობს საგაზაფხულო სპარტაკიადა. ჩვენი IX² მეორე ადგილზეა, X¹ კლასის შემდეგ.

22 აპრილი

დღეს ლენინური შაბათობა გვქონდა.

სულ დავაწკრიალეთ სკოლის ყველა კუთხე-კუნჭული, კაბინეტები, დერეფნები, ფანჯრები, კიბეები.

მერე კი ვაკის პარკიდან კუს ტბაზე ავედით. ჰყვავის იელი, ყაყაჩო, ყვითელგულა გვირილა.

ნამდვილი თბილისური გაზაფხულია.

ნავებით ვისეირნეთ.

დღეს ჩვენთან ერთად იყო მამუკაც.

ქეთინო პირველად ვნახეთ გაცინებული.

27 აპრილი

წავიკითხე ცნობილი საბჭოთა მფრინავ-გამომცდელის კოკინაკის მოგონება „მე გამომცდელი ვარ“.

ავიაციაში ხუთი ძმა კოკინაკი მუშაობდა. ოთხი — მფრინავი იყო, ერთი — ბორტინჟინერი.

ყველაზე ცნობილმა მათ შორის თავისი ცხოვრების გზა ნავსადგურში მტვირთაობიდან დაიწყო, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწია.

ჩკალოვი ჩემს თვალწინ დაიღუპაო, წერს კოკინაკი და ჰყვება ბევრ საინტერესო ეპიზოდს.

თვითმფრინავი გამომცდელის ხელში მოხვედრამდე მხოლოდ ლამაზი ლითონის წყობაა. ის ცოცხლდება გამომცდელის ხელში.

რამდენი ათეული თვითმფრინავი „გაუცოცხლებია“ კოკინაკს, რა ბედნიერი კაცია.

29 აპრილი

გამოცდებისათვის მზადება დავიწყეთ.

მე, ჯუნა და ზურიკო ერთად ვმეცადინეობთ. ხან ჩემთან, ხან ზურიკოსთან.

არდადეგებზე ზურიკო ხარკოვში მიდის ხუთჭიდელთა შე-

კრებაზე. მწვრთნელის აზრით, ორ წელიწადში სპორტის ოსტატის ნორმა უნდა შეასრულოს.

15 მაისი

ხმა გავარდა, არდადეგებზე სადმე სამუშაოდ წაგვიყვანენო. თქვეს, მთელი მეცხრე და მეათე კლასები მიდიანო, მერე რაზმები შედგება და შიგ ყველას არ შეიყვანენო.

— მაინც ვინ არ მოხვდება ამ რაზმებში?

—მგონია, გოგოებს უარს ეტყვიან, — გამოთქვა აზრი ნიკამ.

—უკაცრავად. მაგალითად, რატომ? — იწყინეს გოგონებმა.

—იმიტომ, რომ იქ მუშაობაა საჭირო და არა თამაში, გაიგე? — მიუგო ივერიმ.

—შენ რომ მთელ დღეს იმუშავებ იმდენს, ბიჭო, მე ერთ საათში გავაკეთებ! — უპასუხა დალილამ.

— ვისაც ორები გამოყვება, არ მიჰყავთ. ასე თქვა თამრიკო გედენიძემ, — გვითხრა ნადიამ.

—ორები რა შუაშია, —იწყინა ბესიკმა, — მე თუ ინგლისური არ ვიცი, ხილს ვერ დავკრეფ თუ რა?

—რა ვქნა, დედაჩემი ნებას არ დამრთავს, ხომ იცით, კინოშიც არ მიშვებს მარტოს, — შეწუხებული ხმით თქვა ნათელამ.

— მერედა, წამოიყვანე დედაშენი საწოვარით! — გაიცინა ივერიმ.

— შენთვის ადვილია ლაპარაკი, ბიჭი ხარ, — თქვა ნათიამ, ეტყობა თავისთვის ისიც ამაზე ფიქრობდა: გამიშვებს დედაჩემი მარტოს თუ არაო.

ზარი დაირეკა. და მასწავლებელი შემოვიდა.

17 მაისი

ორი დღეა, არ ცხრება კამათი — ვერ გავიგეთ, მივდივართ თუ არა და სად.

დიდი შესვენება რომ დაიწყო, ელენე მასწავლებელმა გამოგვიცხადა:

—სასიხარულო ამბავი მოგიტანეთ: გამოცდების შემდეგ გაემგზავრებით თელავის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში. იქ გაატარებთ თქვენს „შრომით მეოთხედს“.

—ვაშა! — დავიძახეთ და ტაში დავცხეთ.

უცებ ყველა ერთად ალაპარაკდა, აფუსფუსდა, ახმაურდა.

ელენე მასწავლებელი ერთ ხანს ღიმილით გვიცქერდა, მერე ხელით გვანიშნა, დაწყნარდითო.

—ამთავითვე იცოდეთ, ვისაც თუნდაც ერთი ორიანი გამოჰყვება, წასვლაზე ფიქრს თავი უნდა დაანებოს.

—ეს უსამართლობაა! — აღშფოთდა ბესიკი.

—ძალიან კარგია. ვისაც შრომა არ ეზარება, ჯერ აქ, სწავლით დაგვიმტკიცოს. უქნარა და ზარმაცი ყველგან ზედმეტ ტვირთად დააწვება კლასს. — თქვა მასწავლებელმა. —ხვალ ხუთ საათზე მშობელთა კრებაა დანიშნული. ყველა მშობლის დასწრება სავალდებულოა, რადგან მათი ნებართვის გარეშე ვერც ერთ მოსწავლეს ვერ წავიყვანთ.

დამრიგებელმა საორგანიზაციო კომიტეტის არჩევა შემოგვთავაზა.

კომიტეტი ღია კენჭისყრით ავირჩიეთ, რომელმაც გადაწყვიტა გაკვეთილების შემდეგ დარჩენა და სამოქმედო გეგმის შედგენა. მაგრამ გაკვეთილების შემდეგ შინ არავინ წასულა და კომიტეტის სხდომის ნაცვლად მთელი კლასის კრება გაიმართა.

შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა:

—ბაღში უნდა ვიმუშაოთ თუ ვენახში?

—კარვებში ვიცხოვრებთ თუ შენობაში?

—საჭმელს ვინ გაგვიკეთებს?

— რომელი მასწავლებელი გამოგვყვება?

— კვირაობით თბილისში ჩამოსვლა თუ შეიძლება?

—სპორტული ინვენტარი არ წავიღოთ?

—წიგნები?

ბოლოს მასწავლებელმა გაგვაფრთხილა:

—ეს ყოველივე კარგია. მომწონს თქვენი ენთუზიაზმი. საქვეყნო საქმე მუდამ ასე გულმხურვალედ უნდა აკეთოთ, მაგრამ ის კი არ დაგავიწყდეთ, რომ გამოცდები ჩასაბარებელი გაქვთ. კარგი სწავლით უნდა მოიპოვოთ „შრომით მეოთხედში“ მონაწილეობის უფლება.

პირობა მივეცით დამრიგებელს, რომ გამოცდებს კარგად ჩავაბარებდით და ისე წესიერად მოვიქცეოდით, თვით მასაც კი გავაკვირვებდით.

— ზედმეტი არ მოგივიდეთ! — გაგვეხუმრა ელენე მასწავლებელი.

დიდი ხანია ელენე მასწავლებელი ჩვენი დამრიგებელია და ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, რომ ვეღარც კი წარმოგვიდგენია უიმისობა.

ამას წინათ „კომსომოლსკაია პრავდის“ ფურცლებზე დისპუტი გაიმართა: როგორი უნდა იყოს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა.

ზოგი მასწავლებელი მოსწავლეებთან, განსაკუთრებით უფროსკლასელებთან, მეგობრული ურთიერთობის მომხრე იყო, ზოგი კი — სასტიკი წინააღმდეგი და დაახლოებით ისეთ აზრს გამოთქვამდა, როგორც ჩეხოვის ბელიკოვი: თუ მასწავლებელი ველოსიპედით ივლის, მოსწავლეები თავდაყირა გაივლიანო.

ჩემი შეხედულებით, ამ მოსაზრების ავტორები ცდებიან. მე, მაგალითად, თუ მეგობრული დამოკიდებულება იქნება, მასწავლებელს მუდამ მეტ ანგარიშს გავუწევ, ყოველთვის ისე მოვიქცევი, რომ გავახარო.

არ მეგულება არც ერთი ჩემი ამხანაგი, რომელიც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბოროტად გამოიყენებს მასწავლებელთან მეგობრობას, მის ნდობას.

პატარაობისას კარადიდან შაქარყინულს, შოკოლადს ვიპარავდი და ჩუმად ვჭამდი.

ერთხელ მამაჩემმა კარადის გასაღები გამოიღო და დედას ჩემს გასაგონად უთხრა:

— რად გინდა ეს გასაღები? გადააგდე. მე ვიცი რომ ჯარჯი შენს დაუკითხავად შოკოლადს არ გამოიღებს. ჯარჯი პატიოსანი კაცია.

იმის შემდეგ რამდენჯერ მომდომებია შაქარყინული თუ შოკოლადი, მაგრამ კარადის ღია კარებს რომ შევხედავდი, მაშინვე გამახსენდებოდა, რომ მენდნენ და არაფრის გულისათვის ამ ნდობას არ გავუცრუებდი.

ნდობა დიდი რამ არის.

მე სკოლაშიც ნდობის მომხრე ვარ.

25 მაისი

დღეს გაზეთში მიღებას აცხადებენ სამოქალაქო ავიაციის ლენინის ორდენოსანი აკადემიის საშტურმანო ფაკულტეტი და აქტიუბინსკის უმაღლესი საფრენოსნო სასწავლებელი, რომელიც ინჟინერ-მფრინავებს უშვებს.

აკადემიის მსმენელები ჰოლიანად სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან.

ეჰ, ახლა რომ მქონდეს სკოლა დამთავრებული!.. მაგრამ წინ კიდევ მთელი ერთი წელიწადი მიდევს.

ამ წელს უქმად როდი დავკარგავ.

3 ივნისი

გამოცდებს მოვრჩით.

მთელ ჯგუფში არავის მიუღია „ორიანი“.

ყველანი მივდივართ.

ავტობუსზე გასაკრავ ლოზუნგს ვწერთ: „მეხუთე მეოთხედი — ფრიადზე!“

მიგვაქვს ფოტოაპარატი, კინოაპარატი „ეკრანი“, ჭადრაკი, ბურთები, პატარა ბიბლიოთეკა.

ამ წიგნებს შემდეგ სოფლის სკოლას ვაჩუქებთ.

აბა, დასაწერი იქ იქნება, თუ იქნება: ახალი გარემო, შთაბეჭდილებები, ადამიანები, შრომა და, რაც მთავარია, ჩვენ თვითონ.

•

აქ მთავრდება უცნობი ბიჭის დღიური.

ძალიან მაინტერესებდა გამეგო, როგორ იშრომეს „მეხუთე მეოთხედში“ მეცხრემეორე კლასელებმა.

რა აღმოაჩინეს ახალი ამხანაგებში, საკუთარ სულში, მიეცათ თუ არა შემთხვევა დაფიქრებულიყვნენ და კიდევ ეკამათათ ბედნიერებაზე, სინდისზე, მოვალეობაზე, ნდობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, სიცოცხლის საზრისზე, თავგანწირვაზე...

მიაღწევს თუ არა ჯარჯი თავის სანუკვარ მიზანს? მჯერა, რომ მიაღწევს. ათიოდე წლის შემდეგ, როცა სადმე ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავის გამოცდაზე წავიკითხავ, გულში გამიელვებს, რომ მის შტურვალთან ჩემი ნაცნობი ბიჭი — ჯარჯი ზის. კაბინის მკრთალ სინათლეში სხვადასხვაფრად ანთებულ ტაბლოებს აკვირდება, მექანიზმების გუგუნს ყურს უგდებს და ფიქრობს დედამიწაზე, სადაც ღამის სიბნელეში ორ ალვის ხეს შორის სინათლის ზოლი ჩანს.

ეს სინათლე ჯარჯის დაბრუნებას ელის. თვითმფრინავის გუგუნზე მე ჯარჯის დედაც გამახსენდება, რომელიც სხვებზე ხანიოდ იხედება ცისკენ და შვილზე ფიქრობს.

და ბოლოს, გამოგიტყდებით, რომ იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს, რამდენიმე წლის შემდეგ ამ მოთხრობის დაბეჭდვიდან, ჩემს საფოსტო ყუთში აღმოვაჩენ ავიაფოსტით გამოგზავნილ ბანდეროლს უცნობი მისამართით.

ბანდეროლში მუშამბისყდიანი რვეული იქნება. მე ბუნდოვნად გამახსენდება, რომ ასეთი ნაწერი სადღაც, დიდი ხნის წინათ მინახავს... სულმოუთქმელად წავიკითხავ და მივხვდები, რომ ეს ჯარჯის დღიურია, ანუ ამბავი ოცნების ახდენაზე, მიზნის მიღწევაზე, რომლებიც გადაულახავი ჩანდნენ, სასოწარკვეთაზე, ეჭვსა და ყოყმანზე და ისევ გამარჯვებაზე.

ძალიან მინდა ეს ოცნება ამიხდეს.

ზნეობის ანბანი

იდეური წარმართულობა ნიშნავს ადამიანის თავდადებულებას გარკვეული იდეებისადმი, რომლებსაც იგი უძვემდებარებს მთელ თავის საქმიანობას, რომელთა სამსახურსაც, თუ საჭირო იქნა სწირავს სიცოცხლეს.

იმათ მოგონებებში, ვინც მას ბავშვობაში იცნობდა და ვინც სტუდენტობის წლებში გაეცნო, ბევრია დამახასიათებელი დამთხვევა — ყველანი აღნიშნავენ მისი ხასიათის გასაოცარ მთლიანობას, მაღალი იდეებისადმი ერთგულებას და თავგანწირვას.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო მისი მაგალითისა და ზემოქმედების ძალა ოჯახზე — წერს ანა ილიას ასული და მხდეველობაში ჰყავს საკუთარი თავიც (იგი უფროსი და იყო) და მომდევნო ძმაც — ვლადიმერ ილიას ძე.

ალექსანდრე ულიანოვის ხანმოკლე სიცოცხლე დასტურია იმისა, თუ როგორი წმინდა, მშვენიერი, ბობოქარია სიყმაწვილის სამყარო, როგორი ადვილია მაღალი იდეების გულისათვის თავის გაწირვა...

ალექსანდრე ილიას ძის სასკოლო თხზულებას, რომელიც მას 15-16 წლისას დაუწერია, ასეთი სათაური აქვს: „რა არის საჭირო იმისათვის, რომ გამოადგე საზოგადოებას და სახელმწიფოს“. მასში ჩამოთვლილია საამისოდ აუცილებელი პირობები — პატიოსნება, შრომის სიყვარული, ხასიათის სიმტკიცე. თავის მსჯელობას ალექსანდრე ულიანოვი აგვირგვინებს ცოდნისა და გონების მადიდებელი ქადაგებით. „გონებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ ადამიანს არ შესწევს უნარი ნათლად გაერკვეს, თუ რა არის სასარგებლო საზოგადოებისათვის და, ამდენად, არც შეუძლია ქმედითი სარგებლობის მოტანა. გონებრივი განვითარება ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ზნეობრივი, ამის გარეშე ადამიანის ქმედობა შეიძლება არასწორი მიმართულებით წარიმართოს...“

ამ პატარა ნაწყვეტიდანაც ჩანს, როგორი კეება შინაგანი მუშაობა მიმდინარეობდა წყნარ, შავთვალა მოზარდში, რომელიც თავაზიანად უთმობდა გზას უფროსებს და სხაპასხუპით პასუხობდა სახარების გაკვეთილებზე.

საშას, როგორც ახლობლები ამბობდნენ, განცალკევება უყვარდა. იგი მცირე ასაკიდან აყენებდა ცდებს ფიზიკასა და ქიმიაში, რის გამოც მამამ ხუმრობით — „ცარიელი სამზარეულოს ფილოსოფოსი“ შეარქვა. დადგა მომენტი მის ცხოვრებაში, როდესაც მან შესწყვიტა თავისი გიმნაზიის მასწავლებლების მოწაფეობა. დარჩა მხოლოდ გარეგნული მხარე, რომელსაც ასე ხშირად შეცდომაში შეჰყავს თვით გამოცდილი პედაგოგებიც კი. მისი ნამდვილი აღმზრდელი და მასწავლებლები იყვნენ მშობლები, წიგნები, ცხოვრება, რომელსაც ალექსანდრე ილიას ძე, მისთვის დამახასიათებელი, მდუმარე დაკვირვებულობით განუწყვეტლივ და გატაცებით სწავლობდა.

მოგვიანებით გამოირკვა, რომ ყველა მეცნიერებას — ჰუმანიტარულსაცა და ზუსტსაც გიმნაზისტი და შემდგომში სტუდენტი ულიანოვი აღიქვამდა სულ სხვა კუთხით, ვითარდებოდა არა იმგვარად, როგორც ეს ხელისუფალთ სურდათ. ისეთი ადრეული გატაცებაც კი, როგორიც ქიმია იყო, მას გამოადგა როგორც რევოლუციონერს, როდესაც ჯგუფს, რომელიც მეფეზე თავდასხმას ამზადებდა დინამიტი დასჭირდა, ალექსანდრე ილიას ძემ იგი მოკლე დროში დაამზადა, მაგრამ გამოძიებასა და სასამართლოს რომ არ ჰგონებოდა, ვითომდა მას ჯგუფში მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური დავალებები ჰქონდა დაკისრებული, დაკითხვაზე ასე განაცხადა: „რაც შეეხება ჩემს ზნეობრივ და ინტელექტუალურ მონაწილეობას ამ საქმეში, იგი გახლდათ სრული, ე. ი. ყოველივე ის, რის შესაძლებლობასაც მაძლევდა ჩემი ნიჭი და ჩემი ცოდნისა და რწმენის ძალა“ (ალექსანდრე III-მ რომელმაც ყურადღებით შეისწავლა ძიების მთელი მასალები, ულიანოვის ჩვენების ეს ადგილი მოხაზა და გვერდზე გაუკეთა მინაწერი: „ეს გულახდილობა ამაღელვებელიც კი არის!!!“)

სასამართლოზე ალექსანდრე ილიას ძემ განაცხადა: „ჩემი ადრეული სიჭაბუკის წლებს შემძლია მივაწერო საერთო წყობილებით გამოწვეული უკმაყოფილების ის ბუნდოვანი გრძნობა, რომელიც თანდათან დაეუფლა ჩემს გონებას და მიმიყვანა ამ რწმენამდე, რომლითაც ვხელმძღვანელობდი ახლა... მე მივხვდი, რომ საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა არა თუ შესაძლებელია, არამედ გარდაუვალიც...“ ამ გამოსვლაში იგი პოლიტიკური და ფილოსოფიური განზოგადების ისეთ სიმწვავეს აღწევს, რომ მოსამართლეები და მეფე გარკვევით ხედავენ — ეს ოცი წლის ჭაბუკი უკვე აღარ შეიძლება დარჩეს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომად, თუნდაც სამუდამო კატორღელად; იგი უნდა მოკვდეს...

ჭაბუკობიდან მისი სიცოცხლე ექვემდებარებოდა ამ ერთადერთ მიზანს, ერთადერთ იდეას — თვითმპყრობელობასთან ბრძოლას.

ალექსანდრე ილიას ძე ჯგუფის იმ წევრთა რიცხვს ეკუთვნოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებსაც მიაჩნდათ, რომ თავდასხმა, თუ მას სერიოზულად მივუდგებით, რამდენიმე თვის მანძილზე უნდა მზადდებოდეს. ჯგუფის ხელმძღვანელი პ. შევირევი კი, გამუდმებით როგორღაც აღგზნებული იყო და დაბეჯითებით მოითხოვდა მზადების გაცილებით მოკლე ვადას. თვითონ კი მალე ყირიმში სამკურნალოდ გაემგზავრა. (სასამართლოზე მას ყოვლად უცნაურად ეჭირა თავი. სრულიად უარყოფდა თავის მონაწილეობას შეთქმულებაში.).

„მიუხედავად იმისა, რომ ამჩნევდა, საქმე ვერ იყო სათანადოდ მოგვარებული, საშამ თავი არ მიანება მას, — წერს ანა ილიას ასული, — რადგან დაწყებული საქმის მიტოვება და მთელი პასუხისმგებლობის ამხანაგებისათვის დაკისრება მისი ბუნებისათვის პირდაპირ ფიზიკურად შეუძლებელი იყო...“ უფრო მეტიც, გახდა რა შექმნილი ვითარების ვამო ჯგუფის ხელმძღვანელი, ალექსანდრე ილიას ძემ, როგორც თავის თანამოაზრეთ შორის პოლიტიკურად და ფილოსოფიურად ყველაზე მეტად განათლებულმა, ხელი მოკიდა ჯგუფის რევოლუციური პროგრამის შემუშავებას; სწორედ ამას, და არა დინამიტის დამზადებას, ჩაუთვლიან მას პირველ რიგში სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას.

თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე, ჯგუფის წევრმა სტუდენტმა ანდრეი უშკინმა ამხანაგს გაუგზავნა მგზნებარე, საოცრად გაუფრთხილებელი წერილი, რომელიც ხელში ჩაუვარდა პოლიციას. თავდასხმის ვადად დანიშნული იყო 1 მარტი. რატომ? იმიტომ, რომ ექვსი წლის წინ სწორედ ამ დღეს მოკლეს ალექსანდრე II.

.. ჯგუფის წევრები უბეებში ჩაწყობილი ყუმბარებით მიმოდიან ანიჩკოვის სასახლესთან, ელიან მეფის გამოჩენას. მათ ადრევე შეადგინეს პროკლამაცია ალექსანდრე III-ის მოკვლის თაობაზე. ყოველივე ამაში გამოსჭვივის არა იმდენად გამოცდილება და სიმწიფე, რამდენადაც მოუთმენლობა...

მაგრამ, როდესაც ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, ზოგი გამონაკლისის გარდა, ყველამ უარყო დამცველთა ვერსია, თითქოს თავდასხმა აფექტის მდგომარეობაში მომზადდა, ალექსანდრე ილიას ძემ საერთოდ უარი განაცხადა დაცვაზე, რათა თვითონ ჰქონოდა საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და სასამართლოზე ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „რუს ხალხში ყოველთვის მოიძებნება ათობით ადამიანი, რომლებიც იმდენად ერთგულნი არიან თავიანთი იდეებისა, იმდენად მხურვალედ გრძნობენ სამშობლოს უბედურებას, რომ მსხვერპლად არ მიიჩნევენ ამ საქმისათვის სიკვდილს. ასეთ ადამიანებს ვერაფრით ვერ შეაშინებ...“

საშა ულიანოვი ბეჯითად იძენდა ცოდნას, მეცნიერებისადმი თითქმის რელიგიურ მოწიწებას განიცდიდა. მას მაშინაც კი არ მიუტოვებია მეცნიერება, როცა გამალებულად ემზადებოდნენ თავდასხმისათვის.

ალექსანდრე ულიანოვის ხანმოკლე სიცოცხლე წააგავს იმ ვარსკვლავს, რომელიც ერთბაშად თვალისმომჭრელად გაკაშკაშდება კოსმოსის სიღრმეში და ასეთად დარჩება მრავალ ათასობით წელს. (ასტრონომები, შეამჩნევენ თუ არა, ამ ჯერ კიდევ მრავალმხრივ იდუმალ მოვლენას, აღნიშნული ვარსკვლავი პირველი რიგის მნათობთა რიცხვში გადაჰყავთ. აქვე უნდა ითქვას, რომ ვარსკვლავის სიდიდე მისი მოცულობით ანდა სხვა რაიმე ნიშნით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი სიკაშკაშის ხარისხით. ეს მთავარია სამყაროშიც და ადამიანშიც.

ალექსანდრე ულიანოვი რუსეთის ისტორიის უდიდეს ვარსკვლავთა რიცხვს განეკუთვნება. განჭვრეტის ძალითა და მორალური თვისებებით იგი გაცილებით მაღლა იდგა მისი დროის ადამიანებზე. სოციალური ჩაგვრა, პოლიტიკური თვითნებობა, ადამიანთა საიღატაკე და სიბეჩავე — ცხოვრების ყველა ეს უკუღმართობა მისთვის უფრო მტკივნეული და აუტანელი იყო, ვიდრე სხვებისათვის... აი, სწორედ ამიტომ ცარიზმის პირობებში ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ადრე კვდებოდნენ.

უკანასკნელ დღემდე ალესანდრე ილიას ძე უარს ამბობდა ეთხოვა მეფისათვის სასიკვდილო განაჩენის რაიმე სხვა სასჯელით შეცვლა. როდესაც დედას უხსნიდა, რატომ არჩევდა სიკვდილს მუდმივ კატორღას, ალექსანდრე ილიას ძემ თქვა: „იქ ხომ მხოლოდ რელიგიურ წიგნებს აძლევენ, ასე სრულ იდიოტობამდე მიხვალ. ნუთუ შენ შეგიძლია ასეთი რამ ინდომო ჩემთვის, დედიკო?“ შემდგომში ერთი გარეშე ნათესავის დაჟინებული შეგონებით, შენი სიკვდილი დედაშენს მოკლავსო, მან ბოლოსდაბოლოს დაწერა მშრალი, ღირსებით აღსავსე თხოვნა, რომელშიც [illegible] გთხოვთ არა ჩემთვის, არამედ დედაჩემისთვის.

შედეგი ცნობილია.

ალექსანდრე ილიას ძემ უკვე იცოდა, რომ ჩამოხრჩობით სიკვდილი ელოდა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ღირსებას. სიკვდილის პირისპირ იგი ისევე იქცეოდა, როგორც ცხოვრებაში. იყო საქმიანი და თავშეკავებული. დედას თხოვა გადაეხადა მისი ვალი ერთი სტუდენტისათვის. ციხეში კითხულობდა ჰაინეს ლექსებს, რომელიც აგრე რიგად უყვარდა. „შენზე უკეთესი, შენზე კეთილშობილი ადამიანი არ არის დედამიწაზე. ამას მარტო მე კი არ ვამბობ, როგორც შენი და; ამას იტყვის, ვინც შენ გიცნობდა, ჩემო თვალისჩინო!“ — მისწერა მას დასჯის წინ ანა ილიას ასულმა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ალექსანდრე ილიას ძე ცოცხალი აღარ იყო, გადასცეს ძმის წერილი დას.

აქ არაფერს ვამბობთ იმ გავლენაზე, რაც უფროსი ძმის სიკვდილმა მოახდინა ვლადიმერ ულიანოვზე. ეს ყველასათვის ცნობილია. თუმცა ტერორის გზა, რომელსაც ადგა ალექსანდრე ულიანოვი, კომუნისტებისათვის მიუღებელია, მისი ზრახვების სიწმინდე და კეთილშობილება, მგზნებარე იდეურობა, რამაც განსაზღვრა ულიანოვის მთელი ცხოვრების გზა, ნათელ მაგალითად დარჩა შემდგომი თაობებისათვის.

ი. ზიუზიუკინი.

სინდისი

ლავრენტი ჭიჭინაძე

მოთხრობა

მხატვარი
რევაზ ცუცქირიძე

გივი داროშვილი კაპიკს კაპიკზე ადებდა, დიდხანს აგროვებდა ფულს, მანქანა უნდა ვიყიდოო, ეუბნებოდა ახლობლებს, ნათესავებს, ნაცნობებს. მეზობლებმა ხომ იცოდნენ და იცოდნენ მისი განზრახვა, მაგრამ ამ სიტყვებს ისე შეაჩვიეს ყური, რომ ტყუილი ლაპარაკი ეგონათ და მეტი არაფერი.

კარგა დიდი ხანი გავიდა.

ერთ დღეს იმ სახლის წინ, რომელშიც გივი ცხოვრობს, ავტომანქანა „ჟიგული“ გაჩერდა. გაიღო კარი და გივი გადმოვიდა. სიხარულს არა მარტო მისი გაბადრული სახე, არამედ მთელი სხეულის რაღაც თავისებური, მსუბუქი მოძრაობა ამჟღავნებდა.

გივი რომ მანქანით მოვიდა, ეს ამბავი უცებ გაიგეს (მეზობლებმა. ზოგმა ფანჯარაში გადმოყო თავი, ზოგი აიკანზე გამოვიდა. ახალგაზრდებმა ძირს ჩამოირბინეს, ახალ მანქანას შემოეხვივნენ. ყველა ულოცავდა: ბედნიერებაში, ბედნიერებაშიო. გივიც გაიძახოდა: გმადლობთ და გმადლობთო.

მანქანამ ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია.

ახლა ცხოვრება სულ სხვანაირად აეწყო, თუ რამ მოსატანი იყო, სულ მანქანით მოჰქონდათ, წასაღებიც მანქანით მიჰქონდათ. გასეირნებასაც დაეჩვივნენ.

მეზობლებმაც იგემეს ამ მანქანის სიკეთე. აქაოდა, გივის მანქანა აქვსო, ყველაფერს მას ავალებენ: რა უჭირს თვითონ ხომ არ აიკიდებსო, ჩადოს მანქანაში და მოიტანოსო. გივისაც არასოდეს უთქვამს უარი.

აბა, მანქანა რად მინდა, თუ ოჯახი არ გამოიყენებსო, — ამბობს ხოლმე იგი. ამიტომ, საღამოობით რომ დაიწყება დავალებების მიცემა, მეორე დღეს სამსახურში წასვლამდე გრძელდება.

დედას თავისი დავალება აქვს, მამას — თავისი, მეუღლეს კიდევ — ყველაზე მეტი.

ახლა შვილები?

ბიჭს სათამაშო მანქანები აინტერესებს, გოგოს თოჯინებით გართობა უყვარს.

ჰოდა, ამათაც აქვთ დავალებები.

დილით კი გაისტუმრებენ ასე, მაგრამ ახლა საღამოს ამბავია საკითხავი. ყველაფერს ხომ ვერ მოიტანს!

ამიტომ, ვინ იცის, ვინ გაიხარებს და ვინ დაღონდება.

აი თუნდაც ერთი ჩვეულებრივი საღამო.

გივი სამსახურიდან დაბრუნდა. ყველა ეკითხება: მე რაც მინდოდა თუ მომიტანეო?

მან ზოგიერთს შეუსრულა დავალება. ზოგს გული დაწყვიტა, ვერ მოუტანა, რაც დააბარეს.

— მამა „კონსტრუქტორი“ არ მიყიდე? — ეკითხება ბიჭი.

—გიყიდი, აუცილებლად გიყიდი.

ახლა გოგონამ წამოჰყო თავი.

—მოცეკვავე თოჯინა მიყიდე?

—უჰ, თოჯინა... ეგ როგორ დამავიწყდა. ხვალ შენც გაგახარებ.

მეორე დღეს გივიმ პირველად გოგონას უყიდა თოჯინა, მერე „კონსტრუქტორის“ საყიდლად გაეშურა „ნორჩი ტექნიკოსის“ მაღაზიაში. იქ მანქანის დაყენება არ შეიძლებოდა, ამიტომ იქვე მახლობლად, ოთხი ქუჩის შესაყარში, პატარა მოედანზე დატოვა. მერე სწრაფად გასწია მაღაზიისაკენ.

შევიდა თუ არა მაღაზიაში, იკითხა:

—„კონსტრუქტორი“ თუ არის?

—არის, — უპასუხა გამყიდველმა.

—მომეცით.

გამყიდველმა ერთი მოზრდილი მუყაოს ყუთი გადმოიღო. გივიმ მისცა ფული და ყუთი ამოიღლიავა, ხურდის მიღება კინაღამ დაავიწყდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე მისულიყო მოედანზე დატოვებულ მანქანასთან.

თვითონ რომ დააყენა, მაშინ იქ სხვა მანქანა არ იდგა, მერე კი უცებ მარჯვნივ და მარცხნივ ორივე მხარეზე ჩაეყენებინათ. მათ პატრონები არა ჩანდნენ. ფრთხილად გააღო კარი, რომ გვერდით დაყენებულ მანქანას არ შეხებოდა. ყუთი სავარძელზე დადო, თვითონ კი საჭეს მიუჯდა და უკანსვლით გამოიყვანა მანქანა, შემდეგ რაღაცნაირად შემოაბრუნა. ის იყო გეზი უნდა აეღო, რომ უცებ ჯახანი გაისმა, გვერდით მდგომ მანქანას დაეტაკა.

გივის ელდა ეცა, მანქანა ცოტათი წასწია წინ და გააჩერა. თავის მანქანას კი არ დახედა, პირველად სხვის მანქანასთან მიირბინა. უკანა მარჯვენა ფრთა იყო ჩაჭეჭყილი კარგა შესამჩნევად. დააშტერდა. დაზიანებულ ადგილზე ისე უსვამდა ხელს, თითქოს სისხლია გამოსული და იმას სწმენდსო. მერე მანქანას ირგვლივ შემოუარა. გულდასმით დაათვალიერა. სარკესავით იყო გაკრიალებული. საკუთარ თავზე გაბრაზებულმა გივიმ ჩაილაპარაკა: აი სწორედ ამაზეა ნათქვამი: რასაც ერიდებოდე, ის გეძალებოდესო.

ამის შემდეგ შეათვალიერა საკუთარი მანქანა. კარგ დღეში არც ის აღმოჩნდა, მაგრამ ამაზე სულ არ დარდობდა, სხვისი მანქანის ჯავრი ჩაჰყვა გულში. წასვლა ეჩქარებოდა, მაგრამ არ მიდიოდა, ეს ხომ გაპარვა იქნებაო, — ფიქრობდა თავისთვის. იცადა და იცადა. დიდხანს ელოდა მანქანის პატრონს, მაგრამ ის არ იქნა და არ გამოჩნდა.

ბოლოს, ლოდინით გულგაწყალებული ჩაჯდა მანქანაში. ერთ ხანს კიდევ იცადა, მერე კი დასძრა, გააქანა შინისაკენ. თავში მხოლოდ ერთი აზრი, ერთი მტანჯველი ფიქრი უტრიალებდა: ეს რა მომივიდაო, პატრონი თავის დაზიანებულ მანქანას რომ ნახავს, ვინ იცის, როგორ დამიწყებს ლანძღვასო.

შინ შესვლისთანავე მუყაოს ყუთი სკამზე დააგდო, თოჯინაც გვერდზე მიაგდო, ფანჯარა გააღო და თვალი ქუჩაში გაუშტერა რაღაცას.

აქამდე შინ შემოსვლისთანავე ბავშვებთან იწყებდა ხოლმე თამაშს, ახლა კი არც შეხედა მათ.

ბავშვებმა რომ წარბშეკრული მამა დაინახეს, ახალ სათამაშოებს ხელიც არ ახლეს. ბოლოს რეზომ გაბედა:

—მამიკო, რატომ ხარ ცუდ გუნებაზე?

— ყველაფერი შენი „კონსტრუქტორის“ ბრალია.

—რა დააშავა ჩემმა „კონსტრუქტორმა“?

—ეგ რომ არ მქონოდა საყიდელი, მაშინ არც ჩემ მანქანას დავაყენებდი მოედანზე და არც იმ ვიღაცის მანქანას დავჯახებდი.

ეს ამბავი რეზომ ძალზე შეიცხადა:

—მერე, რა თქვა იმ მანქანის პატრონმა?

— არ იყო იქ, მას არც გაუგია.

რეზოს უცებ გაუბრწყინდა სახე და მამა ანუგეშა:

—გადარჩენილხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—არა, არა ვარ გადარჩენილი.

—არ დაუნახიხარ! გათავდა. ის ვერაფერს გაიგებს.

—შვილო, მე ხომ ვიცი, რაც დავაშავე. აბა დაფიქრდი! წარმოიდგინე, რომ იმ კაცს დაეზიანებინა ჩვენი მანქანა და ჩემსავით წასულიყო, კარგი იქნებოდა? რას უწოდებდი ასეთ კაცს?

ბიჭი ჩაფიქრდა, მერე უპასუხა:

—ცუდ კაცს.

—ჰოდა, ახლა მე ცუდი კაცი ვარ. ამას ხომ შენც იტყვი!

—მე არ ვიტყვი.

—არ იტყვი, რადგანაც შენი მამა ვარ, მაგრამ მე ვიტყვი. ვინც გაიგებს ამ ამბავს, ისიც იტყვის. გამოდის, რომ მე გამოვიპარე... არა, კი არ გამოვპარულვარ, მაგრამ მან ხომ ვერ მნახა. მისთვის გამოპარული ვარ. რად მინდა, ცუდი კაცის სახელი მერქვას. შენი სირცხვილი არ იქნება, როცა მამაშენზე იტყვიან, ცუდი კაციაო?

რეზო დუმდა. ამ დუმილში გამოიხატა მისი სათქმელი: მამაჩემი მართალს ამბობსო. ბავშვი იმაზე წუხდა, დაუფიქრებლად რომ წამოიძახა, გადარჩენილხარო. როდის-როდის იკითხა:

— მამა ახლა როგორღა ნახავ იმ კაცს?

—ვნახავ.

—მერე, მისამართი?

—ავტოინსპექციის სამმართველოში მეტყვიან. იქ ყველა მანქანის პატრონის მისამართი იციან. წავალ იქ და გავიგებ.

—მეც წამიყვანე!

გივის სადილზე არც უფიქრია. რეზო ჩაისვა მანქანაში და წავიდა.

იქ ყველაფერი მალე გაიგო. ჩაიწერა მისამართი და მანქანაში რომ ჩაჯდა, რეზოს უთხრა:

—არ ვყოფილვართ შორიშორს. ჩვენ ვაკეში ვცხოვრობთ, ის საბურთალოში ყოფილა.

ახლა ისე დამშვიდდა, თითქოს საწყენი რამ არასოდეს შეხვედრიაო.

რეზომ, მამა კარგ გუნებაზე რომ ნახა, საუბარი თვითონ წამოიწყო.

—როგორ გაუხარდება თვითონ რომ გამოეცხადები.

—ასე სჯობს. სხვისი გამხარებელი თვითონაც გაიხარებს.

—პირველად რომ გავიგონე, — თქვა რეზომ, — მანქანა სხვის მანქანას დავაჯახეო, უცებ სულ ამერია გონება. ვიფიქრე: რაღა გვეშველება-მეთქი. ჰოდა, როგორც კი შემომესმა: იმ მანქანის პატრონს არ გაუგიაო, უნებლიეთ წამომცდა: გადარჩენილხარ-მეთქი.

ამ საუბარში ის სახლიც გამოჩნდა... იქვე იდგა ჩაჭეჭყილი მანქანა. გივიმ თავისი „ჟიგული“ გვერდზე მიაყენა და გადმოვიდა, მას რეზოც გამოჰყვა. ბიჭი უკითხავად მიხვდა, რომ ეს მანქანა იყო, მამამისმა რომ დააზიანა. ახლოს მივიდა, თვალიერება დაუწყო. მახლობლად მოთამაშე ბავშვები მასთან მოგროვდნენ, ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ მოსულებს.

—ბავშვებო, დიმიტრი კვალიაშვილი ამ სახლში ცხოვრობს? — იკითხა გივიმ.

—დიახ, ამ სახლში ცხოვრობს, მამაჩემია. — წამოიძახა ერთმა ბიჭმა.

—აბა, აირბინე! უთხარი, გეძახიანთქო.

ბიჭი გაიქცა.

ორიოდ წუთში დიმიტრიც ჩამოვიდა. პირველი გივი მიესალმა:

—დიმიტრის გაუმარჯოს!

დიმიტრი შეცბუნდა: ვინ არის ნეტავ ეს უცნობი, კარგი ნაცნობივით რომ მომესალმაო?

— გაგიმარჯოს, მაგრამ მე რომ ვერ გიცანი?!

—მე ის კაცი ვარ, ვინც შენი მანქანა დააზიანა, — უთხრა გივიმ.

დიმიტრი უცებ ვეღარ გაერკვა, ასეთ რამეს სულ არ მოელოდა, მაგრამ მალე მოეგო გონს.

—აი, მართლაც მოულოდნელი სტუმარი. შე კაცო, ეგ შემთხვევა ვერავინ გაიგო, ხომ გადარჩი და მაინც მოხვედი?

გივიმ რეზოს გადახედა, გაიღიმა და დიმიტრის უპასუხა:

—სწორედ ეგ მითხრა ამ ჩემმა ვაჟ-

ᲥᲝᲜᲬᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲐᲫᲐ

ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲚᲐ

რომ გაიგიზდები,
გაკმდები დიდი —
გამოვდგები საშობლოს, ეიცი;
ჯერ პატარა ვარ და უკვე ბევრი
ნერგი შეემატე —
ნაძვის და ფიჭვის.
ყველამ ამდენი ნერგი რომ დარგოს
(დედასაშობლოس ნამდვილად ელის),
მთა, გორაკები,
მეირე კორდიც კი
არ დარჩებოდა არსად შიშველი.
ტკბე ინშიალებს ჩვენით
შეპმნილი,
ტკბე ინშიალებს ჩვენი გუნების,
აქ ეოცქნა ბუდეს დაიდებს ჩიტი,
ფეხს აიდგამენ ნაკადულები.
მარადისობას შეეწყვიტება
ტკბ ტანმაღალი ნაძვის თუ ფიჭვის,
დიდი ხნის მერე აქ გაკაღდება
ასიათასი გოგო და ბიჭი.

კაცმაც, მაგრამ მე კი ვიტყვი: გადარჩენილი ახლა ვარ.

დიმიტრი გაკეკრდებულია, იმას კი არ ეუბნება: ამა შენ იცი, შენს გაფუქმებულ საქმეს როგორ გაკეკეთებ. არა, ამაზე ერთი სიტყვაც არ წამოსულიყენია. ის სულ სხვა რამით დაინტერესდა.

—მაინც ვინ გაიძულა, რომ ჩემთან თვითონ მოსულიყავი?

—შენ როგორ მოიქცეოდი? — იქით შეეკითხა გიგი.

დიმიტრის სახეზე სიწითლემ გადაკრა.

—ალბათ ვიღაცამ დაგინახა, თორემ...

—არავის... ორი შვილი მყავს, ერთი აგერ არის, მეორე შინ დარჩა, ამათ გეფიცები, არავისაკენ არ დაუნახვიარ.

გიგის ნათქვამმა დიმიტრის სულ გადაავიწყა, მაჩქანა რომ შესაკეთებელი იყო.

—მაინც, ვინ ჩაგაგონა ჩემთან მოსვლა?

ბაგშვები გიგის მიაშტატდნენ, ამა ვის დაასმენლებსო.

—მმოლოდ ჩემმა სინდისმა, სინდისმა არ მომასვენა.

ბაგშვები ჭუმად იდგნენ.

დიმიტრიმ კი რაღაც დიდი შთაგონებით წარმოთქვა:

— ოო, სინდისი! სინდისი! ეს მარადიული ძეირფასი განძია ადამიანისათვის. ათასჯერ, უთვალავჯერ უფრო ძეირფასი, ვიდრე ჩვენი მანქანები!

ᲬᲔᲠᲬᲧᲘᲡ ᲔᲜᲘᲗ

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲜᲘᲫᲔ

ᲠᲝᲪᲐ მოზარდი სიმწყიფის მიჯნას მიაღწევს, მის წინაშე თითქოს ახალი სამყარო ეადაიშლება მოელი თავფისი მრავალფეროვნებით, თავისი ზუქითა და ჩრდილებით. უფრო მკაფი ფორმებს იძენენ სიკეთე და ბოროტება, ისტორიული მოვლენები, რეალური სინამდვილე... ეს ასაკი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული ადამიანის სიცოცხლის გზაზე. სწორედ ამიტომ, ბავშვთა ხელოვნების რესპუბლიკურ მუზეუმში ამას წინათ მოწყობილმა გამოფენამ, რომელსაც „სიმწყიფის მიჯნასთან“ ერქვა, დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოფენაზე შეიდი თბილისელი მოსწავლის ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

თუ შეგიმჩნეიფიათ, რაოდენი სილამაზე იმალება მინაში? დადგით გვერდიგვერდ რამდენიმე ბრილის ჭიქა და დააკვირდით, მათს ოლიე გვერდებში როგორ თამაშობს ზუქი. შეიდფერი ციისრკეტელა დაატყვევებს თვალს მზრუს. სანამ „ბრილის“ ნატურმორტს შემოგთავაზებდა, 1-ელი საშუალო სკოლის მოსწავლეს ნინო სპასრიძმს ალბათ ბევრი იფიქრა ნატურის შერჩევაზე. ბრილის ჭიქა რამდენიც ეჩვენათო, იმდენი, მაგრამ საჭირო იყო მათ შორის ისეთების შერჩევა, რომლებიც უფრო კარგად გამოკვეთადნენ ნორჩი მხატვრის იფეას — ჭურჭლის ფერსა და ფორმას უნდა შეექმნა მთლიანობა, სურათის პარმონია, ფერადოვანი მუსიკა. და ნინომ ამას მიაღწია.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მოწმობს, რომ ამ გოგოს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მშვიდი ბგანა, რაც მიღწეულია თბილი ტონების სიჭარბით. ასეა მეორეულები ბეჭის პორტრეტი, მამლების ჩხუბი. სწორედ ეს თბილი ტონები ეხმარება. ნინოს, თავის ნახატებში წინ წამოიწოლის მოაგარი — სიკეთე ძეირფასი ადამიანის სასიათში, გამოამჟღავნოს მინისა და ბრილის ნატურმორტთა მომიხმლობა.

თბილ ფერებს იყენებს თხუთმეტ წლის ᲒᲘᲐ ᲛᲘᲠᲩᲣᲚᲘᲫᲔ. გიას, ეტყობა, საკმარისველური ყაიდის სასახლეც, ჭადრის ფოთოლიც, უნდად რომ შეეწოვია შემოდგომის მზის მეწამული გამა.

ᲒᲘᲒᲘ ᲩᲘᲙᲐᲕᲘᲫᲔ ერგიფაა ინტაციებს. და თუმცა იგი მინიმალურად იყენებს თფარი და ზავი ფერების ურთიერთშეზამთვის, თავისი ემოციების ასამტყვევებლად ესეც ეყოფნის.

ᲒᲘᲒᲘ ᲩᲘᲙᲐᲕᲘᲫᲔ

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲙᲐᲫᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

...ერთი ზამიც და, ორ ვაეკაცოთგან ერთ-ერთი სოფლის ფალავანი გახდება; სანამ მოგიდგეენი ეოცხალი ზრის ზეაში ერთმანეთს ერკინებიან, თანასოფლელები მათ შეძახილებით ამხნევებენ, ჩრეკას აძლევენ, რა ფანდები იხმარონ...

...ამიმავალი ზზის ფინზზე მზვერავია აღმართული. მზვერავლზე კაცი დგას. მთამსვლელის მოელი ფიგურა, ზზისკენ გაშვერილი ხელები გამარჯვების სიხარულზე, დიდი სიძლიელ გადალახვით გამიმკვეულ სიამაკეზე დაღადებენ...

ძირითადად გრაფიკულ ნამუშეგრებით ეტქვეს ჩვენს ყურადღებას ᲒᲘᲒᲘ ᲩᲘᲙᲐᲕᲘᲫᲔ. თავისი,როგორც შემოქმედის, „ზეა“ მკვეთრი საშუალებებით გამოსახვასთან ერთად, იგი ეძებს პასუხს კითხვებზე: რა არის მზვნიერება? რატომ იმარჯვებს ზოგჯერ ბორტება? რის გამო ჩნდება ხოლმე სულში ეჭვის ჭია?. მუზეუმის იმ სტენდებზე, სადაც ეგსპონირებულია ᲗᲣᲛᲘᲜᲐ ფონდში შესული ნამუშევრები, მოთავსებულია რვა წლის გიგი ნინაკაშვილის ნახატები — მოელი ზოიპარკი ეაადამიანურებული მზეცენებისა. აქვე თვალს ძლივს მოსწყვეტთ ადფორილ, საჩხუბარად გამზადებულ ჭკის ბახალას. რაოდენ მარტივი, ეასაკები იყო

ᲒᲘᲒᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ

ᲒᲘᲐ ᲛᲘᲠᲩᲣᲚᲘᲫᲔ

ყოველივე ხუთი წლის წინათ, რვა წლის ასაკში, და რაოდენ რთული ჩანს სამყარო ახლა... ᲛᲝᲛᲝ, ნორჩი ავტორი ცდილობს, თავისებურად გამოთქვას საკუთარი ფიქრები, შეეფდეულებანი.

ᲜᲘᲜᲝᲛᲪᲐ ᲙᲘᲜᲩᲐᲫᲔ თექვსმეტი წლისაა. ფერწერულ ნახატებთან ერთად, მან ორი ᲭᲔᲠᲔᲚᲘ და ორი კერამიკული ნამუშევარი წარმოადგინა, რითაც ერთგვარი ᲫᲐᲠᲜᲐᲠᲘᲐ მრავალფეროვნება შეიტანა გამოფენის საერთო სურათში. ᲭᲔᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ კერამიკულ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲗ ნათლად ჩანს ნათელას გამოვენება და ოსტატობა.

თხუთმეტი წლის ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲒᲜᲐᲫᲔ უკვე საკმაოდ პოპულარული ნორჩი მხატვარია — მისი შემოქმედება მხოლოდ თბილისელთათვის კი არა, მოსკოველებისთვისაც ცნობილია. ნინო პატარობიდანვე ხატავს. თავის უნარს თამამად ცდილ მხატვრობის სხვადასხვა განრში — პორტრეტულშიც, დაზეკრშიც...

გამოფენა — „სიმწყიფის მიჯნასთან“ ჩვენს რესპუბლიკაში პირველად მოეწყო, ამიერიდან კი ყოველწლიურად მოეწყობა „მხატვრის კვირეულის“ დღეებში. ᲗᲣᲠᲥᲘᲗᲘ ᲛᲐᲜ, ვისაც გადაეწყვეტა ფერებინი ენით ელაპარაკოს ადამიანებს, ღირსი ყოფილიყენენ ასეთ გამოფენაში მონაწილეობისა.

13.442

ჩვენთან სტუმრად არის აზერბაიჯანის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი“

საბჭოთა ჯავშანი ჩემი საბჭოგლოა

აზერბაიჯანი! ჩემი წინაპრების კერა, ჩემი მისწრაფება, ჩემი ბედნიერება და სალოცავი ხატი. საუკუნო აღფრთოვანება, სამუდამო სიხარული და სადარდებელი!

ამ აპრილის დღეს, როცა შენ თავისუფლება მოიპოვე, მინდა განგიცხადო ჩემი სიყვარული, გაგრძნობინო ჩემი გულის სითბო. შენ ჩემი ყველაზე ხმამაღალი ამოძახილი, ძველთაძველი სიტყვა, მარადიული სიმღერა ხარ, ჩემო აზერბაიჯანო!

მე ერთი იმ მილიონთაგანი ვარ, ვისაც შენ სული შთაბერე, მიეცი პური არსობისა, ვინც შენ ასაზრდოვე და მზის ნათელს აზიარე. რა ბედნიერი ვარ, რომ შენს წიაღში გავახილე თვალი, შენს მკერდზე მიყურადებულმა შევიცანი სამყარო, გავინავარდე შენს მთებსა და ველებზე, გავიგონე შენი სიმღერები და ბაიათები...

მე შენს ერთ პატარა სოფელში დავიბადე, პირველი ჩემი დაწერილი სიტყვა „აზერბაიჯანი“ იყო. და ამ სიტყვამ, ამ ამოძახილმა სამარადჟამოდ დაივანა ჩემს ძარღვებში, მე იგი კი არ გამიზუთხავს, კი არ დამიზეპირებია, არა, „აზერბაიჯანი“ ბუნებრივად გახდა ჩემი სულის და ხორცის, ჩემი არსობის ნაწილი, მაგრამ ეგ ხომ თავისთავად ძალიან ცოტას ნიშნავს. ახლა მე მმართებს შენი დიდი ვალი — კაცობის, მამულიშვილობის უმაღლესი ვალი. მე უნდა გავამართლო შენი შვილობა, რათა ალალი იყოს ყოველივე შენგნით გამომეტებული ჩემი არსებობისათვის.

„გამახსენდება სანატრელი სოფელი, ეზო,
აქტისფერი მწვერვალებით შემოჯარული,
სალამი, მთანო, წყაროებო, მდინარეებო,
იალაღებზე ცხენთა მარულავ...
ჭაღაროსანო ბრძენკაცებო აულისანო,
პატიოსნებას ჩემს სულში რომ
აქანდაკებდით“

შენ მე იმისათვის მასწავლე სიმღერა, რათა შენთვის მეგალობა, მასწავლე მშობლიური ენა, რათა ჩემი სიყვარული გამემხილა, მომეცი გონება, რათა შენს სიღრმეებს ჩავწვდომოდი, შემასხი ფრთები, რათა შენს ლაჟვარდოვან სივრცეებში მენავარდა. შთამაგონე სიძულვილი ჩვენი მტრებისა.

მე არ მინახავს სხვა მხარე შენზე უფრო მშობლიური და საყვარელი, ნათელი და ვრცელი. სად არ ვიარე და სად არ მოვხვდი, უკიდეგანო ტრამალები შევაჯერე, ძველთაძველი ქვეყნები მოვინახულე, ღამეები გამითენებია სამეფო დარბაზებში, ხვავითა

და ბარაქით გავსებულ სუფრებთან. ყველას და ყველაფერს მე ვიხსენებ და ვიგონებ მადლიერების გრძნობით აღსავსე, შორიდან ვეთაყვანები განცდილს და ნახულს; მაგრამ ვერც ერთი და არც ერთი მათგანი ვერ შეგედრება შენ, ჩემო უსაყვარლესო მეგობარო. შენ განუმეორებელი სურნელითა ხარ გაჟღენთილი, განუმეორებელი გემო გახლავს, შენი პურის თავთავებიც სხვა სურნელს აფრქვევენ ყანაში, წყაროები სასიამოვნოდ მოჩუხჩუხებენ ფერდობებზე, ცაც განუმეორებელია და მომხიბვლელი. ამიტომაც გქვია შენ აზერბაიჯანი, მსგავსი მხოლოდ საკუთარი თავისა, ერთადერთი აზერბაიჯანი მთელს მსოფლიოში.

„ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე,
ლამის მსოფლიო შემოვიარე,
მე ბაღდადური დღეებიც მახსოვს,
პრაღაც თვალწინ მიდგას ოქროსფერი,
სირიას თავზე გადვუფრინე დარახტულ
რაშით,
ლონდონის ქუჩებს მივაგებე
თბილი სალამი
იქაც და იქაც გული ყოველს
განეკრძალვოდა
და მეწეოდა მშობლიური იალაღებისკენ.“

ასე იყო სინამდვილეში — უცხოეთში ჩემს სიცილს მუდამ აკლდა მგზნებარება. უცხოეთის უნაპირო სივრცეები გულს მიკუმშავდნენ ყოველთვის. უფართოესი ველები ორწოხებად მეჩვენებოდა. ყველაზე ბედნიერ დღეებში ჭმუნვარება მეუფლებოდა. ლხინის სუფრაზე, როცა ყველა მღეროდა და სადღეგრძელოებს ამბობდა, მე ვმდუმარებდი... შენზე ვფიქრობდი, შენ მენატრებოდი, ჩემი სული შენს სიახლოვეს ესწრაფოდა.

ყველგან შემაყებოდი—სამშობლო ნიზამისა, ბაბეკისა, ფიზულისა, ნასიმისა, ნაბისა, და ქეროღლუსი, ნარიმანოვისა და მეხტი ჰუსეინზადესი, ჯაბარლისა და ვურღუნისა. ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებსაც ვუამბობდი და ასევე მტრებსაც და არაკეთილმოსურნეთაც იმ მონაპოვრებზე, რასაც შენ მიაღწიე საბჭოთა წყობილების წლებში, მომყავდა შენი სიდიადის მადასტურებელი ფაქტები, ციფრები, დასკვნები. ზოგს სჯეროდა ამ ციფრებისა, ზოგსაც ეჭვი ეპარებოდა მათს უტყუარობაში.

შენ ხომ ძველთაძველი ქვეყანა ხარ, დიდებული წარსულის მქონე. შენი

ისტორია საუკუნეთა წიაღიდან მოედინება. აქ ყოველი ქვა, ყოველი ნივთი, სოფელი და ქალაქი იმ წარსულით სუნთქავს; აქ ყველაფერზე შენი ისტორიაა აღბეჭდილი. აქ შენი აწმყო ხმაურობს და მომავალია ჩაბუდებული.

რამდენმა საავდრო ღრუბელმა გადაიარა შენს თავზე, რამდენი უბედურება, მტერთან შერკინებანი გადაიტანე, რამდენმა ჯალათმა და სისხლისმსმელმა მოგიღერა ბინძური მახვილი, რამდენმა მოღალატემ მოიწადინა შენი გაყიდვა, რამდენი ვინმე შეეცადა შენი სიმღერის ჩახშობას, შენი ბაიათების განადგურებას, ენის წართმევას, ტყეთა და მდინარეთა, მთათა და მინდორთა, ყოველთა სიმდიდრეთა მითვისებას, ცხვრის ფარების გალალვას...

როგორ გიკრაჭუნებდნენ მტარვალები გაუმაძღარ კბილებს, მაგრამ შენ გაუძელი ყოველივეს, შენ გაიმარჯვე. გიჭირდა, ხანდახან სისხლისგან დაცლილი, ნაწამები გრძნობას კარგავდი, მაგრამ ისევ წამოიმართებოდი და საბრძოლოდ შეჰმართავდი მახვილს.

ასე მოხვედი 1917 წლამდე. მერმე ყველაფერი ახლებურად დაიწყო. და შენ შეიცვალე, ოქტომბერმა თავისი ძლევამოსილი სული შთაგბერა, ახლებურად შეგმოსა, მახვილის ნაცვლად ნამგალი მოგცა ხელში. და, აი, ამ ხნის მანძილზე ამ ნამგლითა და ურითი ჩვენ გავაკეთეთ იმხელა საქმეები, ასწლეულები, ათასწლეულები რომ დასჭირდებოდა. ოქტომბერმა ნათელ სამყაროში გადაგახედა, ბედნიერებისა და ოცნებათა სამყაროში და საუკუნოდ მოგანიჭა ნანატრი თავისუფლება. ოქტომბერმა აღგითქვა — შენი ეროვნული თვითმყოფობა და სულისკვეთება ხელშეუვალია, ამიერიდან ვერავინ შეეცდება ხელყოს იგი, მოსრას და გაანადგუროს შენი ხალხის საუკუნოვანი მონაპოვრები, ვერავინ შეეცდება შეგიცვალოს ენა.

ასეთი ხარ შენ — დიდი საბჭოთა ქვეყნის ერთი ღირსეული წარმომადგენელთაგანი — ამ ერთიანობისათვის ომის უამს საკუთარი სისხლი გაიღე სხვათა მხარდამხარ. კბილებამდე შეიარაღებული მტრის ურდოების წინააღმდეგ შენ იბრძოდი არა მარტო ფმირი ადამიანებით, — ვაუკაცებითა და ქალიშვილებით, არამედ შავი ოქროთიც. ბაქოს ნავთობი უერთგულესი მეკავშირე აღმოჩნდა ჩვენი ჯარისკაცებისა. ტყუილად კი არ ცდილობდა ჰიტლერი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, როგორმე ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთობი.

დღეს ყველამ, მთელმა მსოფლიომ იცის, როგორ ჩაუვარდა მტარვალს კოვზი ნაცარში.

და, აი, გიყურებ შენ, და სული ჩემი ზეიმობს სიხარულისაგან აღტკინებული. ამ ბოლო წლებში ხომ გამარჯვებას გამარჯვება მოსდევს, შრომითი ჯილდოები მდინარესავით მოედინება ჩვენი რესპუბლიკისაკენ.

იარე მუდამ სადღესასწაულო დროშების გვერდით. იარე ასე ძლევამოსილმა და გალაღებულმა, კავკასიონის მწვერვალებამდე ამაღლებულმა, ამ ქათაქათა მწვერვალებივით განსპეტაკებულმა და გაბრწყინებულმა.

ჯაბირ ნოვრუზი,
აზერბაიჯანის ლენინური კომკავშირის
პრემიის ლაურეატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მამედოვი, 14 წლის.

გაქოს ი. გაგარინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

ნარიმან სულეიმანოვი

მოთხრობა

ბებიაჩემის თოხები

ბაბუას ტკბილად ჩასძინებოდა. ოთახში რომ შევცვივდით, მან თვალები გაახილა და დაკვირვებით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა, ნამძინარევმა უცბად ვერ გვიცნო, გვიანღა შეგვეხმიანა:

— ჰა, რას გაჩერდით, შემოდით და ჩამოსხედით, ბებიათქვენი რაიმეთი გაგიმასპინძლდებათ.

ბებიამ მაშინვე ფლავი მოხარშა, თეფშებზე გადმოგვიღო, მერე ხის კოვზით ტკბილი ბექმეზი და ერბო ჩაგვიმატა სათითაოდ. ჩვენ ხარბად შევექეცით გემრიელ საჭმელს, ეგრევე თითებით ვიტენიდით პირში; ბებიაჩვენი ნეტარებით აღსავსე მოგვჩერებოდა, მის თვალებში კმაყოფილების სითბო ჩამდგარიყო. დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა, შიმშილი სუფევდა ყოველგნით. განშორებანი, ვინ უწყის, სამუდამო თუ დროებითი! იშვიათად შეხვედრებიც. წუხილი და სევდა! ყველას ჰყოფნიდა თავისი სადარდებელი. მაგრამ, თანასოფლელები მაინც ხშირად აკითხავდნენ ხოლმე, არ ივიწყებდნენ ავადმყოფ ბაბუას.

სტუმარი ჯერ შემოსულიც არ იყო სახლში, რომ მწოლარე ბაბუა თავს წამოსწევდა ხოლმე ბალიშიდან და ხმამაღლა დაიძახებდა:

— ეჰეი, ბებრუხანავ, მოიტანე რამე საჭმელი!

როგორც არ უნდა ეუარათ სტუმრებს — ამ წუთას გეახელითო, ამბის გასაგებად შემოგირბინეთ, გვეჩქარებაო, — მაინც არაფერი ჭრიდა მოხუცთან. ბაბუა არაფრისდიდებით არ დაწყნარდებოდა, ვიდრე სტუმარი მაგიდას არ მიუჯდებოდა. მერეც კი, სტუმარს რომ გავისტუმრებდით, მოხუცი იმაზე დარდობდა, ვაითუ ჯეროვანი პატივი ვერ ვეცით, მშიერი გავისტუმრეთო.

მარტოობის ჟამს, ბაბუას მოწყენილობა ეუფლებოდა. ხანდახან, საღამოობით, იგი ეზოში გამოვიდოდა, ღობეს გადაეყრდნობოდა და გამვლელ-გამომვლელთან გააბამდა მასლაათს.

— ეჰეი, ღვთისნიერო, ამ საღამოის ჟამს საითკენ გაგიწევია? ვითომ რა საჩქარო საქმე გაქვს ასეთი, ჰა? შეისვენე, სული მოითქვი ჩვენთან. იქნებ ურიგო მასპინძლები არ გამოვდგეთ, რა იცი! — სთავაზობდა იგი საკვებით უცხო ადამიანებს.

...დღესაც ეწვივნენ ბაბუას სტუმრები. ხოლო როცა დაემშვიდობნენ და ჩვენ მარტონი დავრჩით, მოხუცმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ჩაიბუზღუნა:

— ეჰ, ჩემო ბებრუხანავ, ფეტვის ხმელ-ხმელა კვერებს განა საჭმელი ეთქმის? აი, ცომი რომ მოგეზილა და გემრიელი პური გამოგეცხო, მესმის კიდევ.

ბებია ყოველთვის აუღელვებლად ისმენდა ხოლმე მოხუცის საყვედურებს, მაგრამ ამჯერად ვეღარ მოითმინა:

— კი, ჩემო ბატონო, მაგრამ, რომ გაიძახი, ესაო და ისაო... იქნებ ისიც მიმასწავლო, რომელი კიდობანიდან გავხარჯოთ ფქვილი?

ბაბუა მიხვდა, რომ ბებია მართალი იყო და არაფერი უპასუხა, მხოლოდ მეორე გვერდზე გადაბრუნდა და თან საბანში ჩაითბუნა. კარგა ხანს ფიქრებში ჩაძირული ხმას არ იღებდა, მერე კი თქვა:

— მართლა, ფეხსაწმენდები ხომ მაქვს სადღაც შემონახული?! იმდენი კიდევ შემწევს, ბაზარში წავჩანჩალდე და საქონელი გავყიდო.

— შენც იტყვი რაღაცას. თურმე რა დიდი რამე შემოგვრჩენია. რაღა გვიჭირს... — გაეპასუხა ბებია...

— ბოლოსდაბოლოს შიმშილით ხომ არ გვძვრება სული ცოტაც მოვითმინოთ. მართლა და მართლა რა მოხდა ასეთი, აი, ნახავ, ყველაფერი მოგვარდება, — ახლა ბაბუამ იქით დაუწყო დამშვიდება ბებიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ხნის მერე, საღამო ჟამს, ჩვენს სახლში ერთი აურზაური ატყდა. ის იყო, დავწექით და საძილედ გავემზადეთ, რომ ბებიას ხმა ჩამესმა:

— ბიჭო, ადექი, ჩქარა, შვილო, ჩქარა! — სასოწარკვეთილი გაიძახოდა იგი — ბაბუაშენი წასულა სადღაც, ცარიელია მისი საწოლი.

ჩვენ წამოვხტით, ლამპა ავანთეთ, გარეთ გამოვცვივდით. ირგვლივ წყვდიადი სუფევს, რომ იტყვიან, თვალში თითს ვერ მიიტანო, ისეთი კუნაპეტი ღამეა. შეშინებული წიწილასავით მივეკარი დედის კალთას.

— რა ვიცი მე, იქნება ეზოში გავიდა, იქ რამეს წამოედო, წაიქცა და ფეხზე ვეღარა დგება, რა ვიცი... — შეშინებული ბუტბუტებდა ბებია.

მე ძალა მოვიკრიბე და ეზოში გავიხედე. უცბად თვალი მოვკარი, ლაფაროში, იქ სადაც ჩვენ თონე გვქონდა ჩადგმული, რაღაცამ თეთრად გაიელვა.

— შეხედე, დედი, რა არის ეს? — კალთა ჩამოვქაჩე დედაჩემს.

დედამაც გაიხედა და დაიძახა:

— ვინ არის მანდა?...

ცოტა ხნის მერე ვიღაცის უცნაური, ჩახლეჩილი ხმა გაგვეპასუხა:

— რა მოხდა?

— მამი, შენა ხარ? — სიხარულით აღმოხდა დედაჩემს და სათონისაკენ გაქანდა, მალე კი ბაბუასთან ერთად დაბრუნდა უკან.

ბებიამ გულით გაიხარა მოხუცი რომ მოვნახეთ. მერე ერთი ამრეზით შეათვალიერა ეზოში საცვლების ამარა გასული, სიცივისაგან აკანკალებული ბაბუა და ნაწყენი კილოთი წარმოთქვა:

— კარგია, ღმერთმანი! ჩვენ აქ ლამის დარდისგან დავილიენით, ეს კი ეზოში დასეირნობს... მაინც რას აკეთებდი ამ შუაღამისას გარეთ?

— არაფერს... — ენის ბორძიკით, ოდნავ დარცხვენით გაეპასუხა ბაბუაჩემი, — მინდოდა გამეგო, შეშა თუ იყო დაჩეხილი.

— შეშა? რაში გედარდებოდა ვითომ ეგ ამბავი?

— როგორ თუ რაში! თონე უშეშოდ რიღასი მაქნისია, ერთი მითხარი!

— კი, მაგრამ... — შეეპასუხა ბებია.

მოხუცმა არ დააცალა:

— უშეშოდ ცეცხლი არ იქნება, უცეცხლოდ თონე არ გახურდება, პური არ გამოიცხობა.

ბებიამ შეშფოთებული სახით გადმოხედა დედაჩემს, ხელები თავზე წაივლო. მერე დედაჩემი გვერდზე გაიხმო და ბაბუას რომ არ გაეგო, ისე წასჩურჩულა:

— შენ რას იტყვი, ეგ კაცი მგონი შეიშალა, ჰა?

დედაჩემმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ თავი გადააქნია.

— ნამდვილად ეგრეა. ისეთ აბდაუბდას გაიძახის, თვითონაც არაფერი გაეგება.

და მართლაც, მეორე დილით, როცა ბაბუას შეახსენეს მისი წუხანდელი თავგადასავალი, როგორ არ ეცადა, მაგრამ გახსენებით ვეღარაფერი გაიხსენა. მხოლოდ ეგა თქვა: ეგეთი რამე არ შეიძლებოდა მომხდარიყოო.

ორი-სამი დღის შემდეგ, სკოლიდან რომ დავბრუნდი, მოხუცმა თავისთან მიმიხმო, მომეალერსა და მკითხა:

— კარგად წაიმუშავეთ, შვილო? თავთავები ხომ არ დაგრჩათ მინდორში?

— თავთავები? — ვერაფერი გავიგე — მე ხომ სკოლაში ვიყავი, ბაბუ...

— ხო...ოოო — უცბად გამოერკვა იგი და შეცბუნებული თავისთვის ჩაფიქრდა.

რაც დრო გადიოდა, მოხუცის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ჭამასაც უკლო, თითქმის არაფერს არ ჭამდა. უფრო დარდიანი გახდა. ხანდახან საბანს გადიძრობდა ხოლმე და წამოდგომას ლამობდა.

ბებია წამით არ სცილდებოდა მის საწოლს. წამოდგომის ნებას, რა თქმა უნდა, არ აძლევდა.

— შენ რა დარაჯივით მადგიხარ თავს? — გაუბრაზდა ერთხელ ბაბუა.

— ავად ხარ კაცო, ვერ გაიგე? ავად! რა დროს შენი სიარულია.

ბაბუა დიდხანს უხმოდ მისჩერებოდა ბებიას, მერე ჰკითხა:

— სტუმრები არ მოვიდნენ?

ამ სიტყვებზე, შევამჩნიე, ბებიას ელდა ეცა, სასოწარკვეთილებამ მოიცვა მისი არსება.

— არ გეყურება, ქალო, ჰა? — კვლავ ჩაეკითხა მოხუცი ბებიაჩემს და თან წამოდგომა დააპირა.

— მაინც საით გაგიწევია? —მივარდა ბებია.

— სტუმრებს უნდა შევხვდე...

აქ კი ბებიამ ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა დაუყვირა:

— რა გააწყალე გული მაგ შენი სტუმრებით, ვიღას სჭირდები ნეტავი, ვის რაღაში ედარდები, — და საწოლისაკენ წაუბიძგა ბაბუას.

ბაბუა ხვნეშითა და ბურდღუნით დაემორჩილა, საწოლზე წამოწვა და რამდენჯერმე მძიმედ ამოიოხრა, თითქოს შორი გზის მერე დაღლილ-დაქანცულმა ერთი თავისუფლად ამოისუნთქაო. ჭაღარა თმის ღერები შუბლზე ჩამოეშალა. ცოტა ხნის მერე ძალა მოიკრიბა და კვლავ მიმართა ბებიას:

— ქალო, ცომი არ აფუვდა?

ბებიამ არაფერი უპასუხა. მერე მიხვდა, რომ ეს ჯიუტი მოხუცი ეგრე იოლად არ შეეშვებოდა და ნებით თუ უნებლიედ, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მოხუცს.

ბაბუას თვალებმა სიხარულისაგან კაჟივით გაჰკვესეს. ახლა იგი მე მომიბრუნდა:

— წადი, შვილო, და დედაშენს უთხარი, ცომი დააგუხდაოს, შენ კიდევ თონეს შეშა ჩაუკეთე და გაახურე...

მე ადგილიდან წამოვხტი. ბაბუამ ისე სერიოზულად მომმართა, რომ მე მართლაც წარმოვიდგინე, თითქოს ესესაა სტუმრები უნდა მოსულიყვნენ და აუცილებლად უნდა დაგვეჭირა თადარიგი მათ დასახვედრად.

მე რა ვიცოდი, წყაროდან მობრუნებულმა დედამაც თუ გაიგონა ბაბუას სიტყვები. როცა წამოვხტი და მის დასაძახებლად წასვლა დავაპირე, დავინახე, რომ მან იატაკზე დადგა თუნგულა და კაბის კალთით ცრემლიანი თვალები შეიწმინდა.

— ბიბი! — გასძახა მან ბებიას.

ბებია რომ მოვიდა დედაჩემმა ყურში ჩასჩურჩულა:

— იქნებ მართლა მოვზილოთ ცომი, ჰა?

— შვილო, ფქვილი რომ ვერ გვეყოს? — ათრთოლებული ხმით მიუგო ბებიამ, — კიდობანს რა ხანია ძირი დაუჩნდა... ეხ, მიემგზავრება იმ ქვეყნად ჩვენი მოხუცი.

— ერთი მივაკითხავ კოლმეურნეობის კანტორას. ვთხოვ, იქნებ შრომადღეების ხარჯზე ცოტაოდენი ფქვილი მოგვცენ, — თქვა დედაჩემმა.

— უხერხულია, შვილო, რას იტყვიან, — უარზე დადგა ბებია — რა მაგისი დროა ახლა.

დედაჩემი მაინც წავიდა. მე მხოლოდ ჭიშკრამდე გამიყოლა, მერე უკან გამომაბრუნა, მითხრა, ბაბუასთან დარჩიო.

შინ რომ შევედი, იგი ყვიროდა:

— ეი, ვინ არის მანდ, ხომ არ დაგავიწყდათ თონის დანთება?

ბებია გვერდით ეჯდა მოხუცს, კიდევ უფრო გამხდარი და დალეული მომეჩვენა ამ წუთში იგი.

ბაბუა ვერც კი ამჩნევდა მას.

გული დამეთუთქა. აივანზე გავედი.

ბაბუას ხმა აქაც აღწევდა. „თონე... თონე... თონე... „—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

შენ, აფხაზეთო,
მწვანე ზღაპარო,
ვით მეგობართან
შეხვედრის წამი,
მემახსოვრები უკუნისამდე!
უსპეტაკეს ქედთა ზემორე
რიალებს ზეცის
ლურჯი ლამპარი,
ხოლო ქვემორე ცისფერს
თოვლის სითეთრე გასდევს.
აქ ჩემი გრძნობის
განსა და სიღრმეს,
ვითარცა შავ ზღვას
ფერხთით გაწოლილს,
დაეპატრონე უმალ,
შენი თეთრონი მწვერვალები,
ცადაჭრილები
ჩემს სულში სდუმან.
იზმორებიან მინდორ-ველები
მოშრიალენი ლაღად,
მოსძალებიათ ოქროს ფერები
ნარინჯოვანთა ბაღებს.
გოგონებს ბლებივით უღვივით ლოყები,
ცეცხლმა გათანგოს ლამის.
გზას შინაური კაცივით მოვყვები
წამებს მიჰყვება წამი.
...ხოლო შინ ოდეს
ვბრუნდებოდი გალაღებული
და ყოვლისშემძლე,
ვითარცა ღმერთი,
ვგრძნობდი —
სხეულში მიგიზგიზებდა
მზე აფხაზეთის!

თარგმნა მ. ხერგიანმა.

ზ ღ ვ ი ს მ ი ნ დ ო რ ი

ზღვა მზესთან მუდამ ახლოა,
მზე ზღვას ვერავინ გაჰყარა...
კასპია, ლოყაგრილია,
მზესავით ტუჩებთაკარა.
ჩემი ცის ფერი, კაშკაშა,
ზღვის მკერდში ვერ ჩაეტია,
ზღვის თავზე ქარი ეძლევა
ლეგა ღრუბლების ხეტიალს.
აქ ცისკენ ილტვის სილურჯე,
სილურჯე — იის ფერები,
ზღვასთან ოცნებით დავდივარ,
დავდივარ და ვეფერები.
აინთებიან ტალღები —
ქარი აავსებს იალქნებს...
სილურჯე ჰყვავის ვარდებად,
ვარდებს მზე ცისკენ მიარხევს.
ცხადში სულ ზღვასთან დავდივარ,
ზღვას ვეფერები მძინარიც...
ჩემი ზღვა ლურჯი ბაღია,
მუდამჟამ მოუწყინარი.

თარგმნა ბრ. ჯულუხიძემ.

წამდაუწუმ გაიძახოდა იგი. და უცბად, არც კი მიფიქრია, ისე აღმოვჩნდი ლაფაროში, თონის გვედრით. რამდენი ხანია, არავის დაუნთია იგი. იქაურობას ბალახი მოსდებოდა, განსაკუთრებით ჭინჭარი და ეკალი ლაღობდა. თონეს შესაბრალისად დაეფჩინა პირი, სიცივე და სიცარიელე დაპატრონებოდა, აგურები მტვერს დაეფარა.

„თონე გააგუზგუზეთ, ბლომად ჩააყარეთ ფიჩხი," — თითქოს კვლავ ჩამესმოდა ყურში ბაბუაჩემის ხმა. მალე, ჩემდაუნებურად, შინ შევვარდი, ღუმელიდან ერთი ატკრეცილებული ნახეჩი გამოვიღე, ფაცხა-ფუცხით, ხელიდან-ხელში გადახაცვლებით გამოვარბენინე ეზოში და თონეში ჩავუძახე. მერე ფიჩხი და ნაფოტი დავაყარე და გაღვივებას შევუდექი.

თონე, თითქოს მართლაც მოენატრაო ცეცხლი, რამდენიმე წუთში ჯერ ბოლით გაიტენა, მერე განათდა და გაბდღვიალდა, მალე კი აგუგუნდა და გაფიცხდა. მე ფალეებზე ხელი ავიფარე და გვერდზე გავიწიე, რომ თმები არ შემტრუსოდა.

უცბად მივხვდი, რომ მარტო არ ვიყავი. თონის გარშემო მეზობლის ბავშვები ირეოდნენ. ხმას არ იღებდნენ, თითქოს ერცხვინებოდათ, დაუპატიჟებლად რომ შემოცუნცულდნენ ჩვენსას.

კარგი ხნის მერე რომელიღაცამ დაარღვია გამეფებული მდუმარება.

—პურს გამოაცხობთ? — იკითხა მან და პირზე მომდგარი ნერწყვი გადაყლაპა.

მე თავი ჩამოვქინდრე:

— არა! — ვთქვი მოგუდული ხმით.

— აბა რაღაზე გაახურეთ თონე?

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა. როგორ ამეხსნა მათთვის, რაც მოხდა?

—ბაბუ... ჩემი ბაბუ კვდება... — ყელში თითქოს ბურთი გამეჩარაო, ისე გამიჭირდა თქმა, — იმან მთხოვა. თონე... თონე დამინთეო...

ბავშვები გაისუსნენ. მხოლოდ იმათი სუნთქვა და ცეცხლის ტკაცანიღა ისმოდა. ბოლოს ვიღაცამ კვლავ დაარღვია მდუმარება:

— ეგ თონე რას უშველის მომაკვდავს თორემ კი...

მე მხრები ავიჩეჩე.

— რა თქმა უნდა, უშველის... — გაეპასუხა იმ პირველს ერთ-ერთი ბიჭუნა, — ადამიანები სიცივისგანაც კვდებიან...

მან ხელები გაიშვირა ცეცხლისაკენ, თითქოს ამით იმის თქმა ეწადა, — აი, ცეცხლი ადამიანებს ძალასა და მხნეობას გვმატებსო.

ბავშვებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და მალე დაიშალნენ. მარტო დავრჩი ლაფაროში. საშინელმა მოწყენილობამ და ნაღველმა მოიცვა ჩემი არსება.

მაგრამ, აი, უეცრად თვალი მეზობლის ეზოსკენ გამექცა და, საღამოს ბინდ-ბუნდში დავინახე, როგორ აბრიალდა იმათ ლაფაროში თონე, მერე მეორე ეზოშიც დაენთო, მესამეშიც, და მე უეცრად აღმოვაჩინე, რამდენი მეზობელი გვყოლია თურმე.

ამ დროს აივანზე ბებია გადმოდგა. როგორც კი დამინახა, დამიყვირა:

— ეჰეი, მუხლკვდარო, ცეცხლი რატომ დაანთე?

ვიღაცამ დაამშვიდა:

— დაანთო, დიდი რამე ახლა... რა მოხდა ისეთი, აი, ჩვენმა ბავშვებმაც გააგუზგუზეს, ხედავ?

ბებიამ მიმოიხედა. ახლომახლოში ყველგან მოჩანდა, როგორ რიალებდნენ ბინდბუნდში თონის ხახიდან ამოსვეტილი ცეცხლის ენები. მალე იგი კარებში გაუჩინარდა, მეც გადავწყვიტე შევყოლოდი, ბაბუას ამბავი გამეგო, მაგრამ, უცბად, იგი აივანზე გამოსული დავინახე. ბებია გვერდში ედგა, ხელი ჩაეკიდა და სიარულში ეხმარებოდა.

— აი, ხომ ხედავ, გაიხარე ახლა... დავანთეთ შენი მოწონებული თონე, ჰოდა პურსაც...

ბაბუამ ცნობისმოყვარე მზერა მოავლო არემარეს, როგორც კი დაინახა მთელ სოფელში აგუზგუზებული თონეები, სახე გაუნათდა. ახალგაზრდულად გაიმართა წელში. მერე სიამოვნებისაგან აღტკინებულმა ჩაიცინა და ჩუმად თქვა:

— დიდებულია, ღმერთმანი, დიდებული... მართლაც რა შეედრება ამას, ხედავ ჩემო კარგო, მთელ სოფელში გუზგუზებენ თონეები...

თარგმნა მ. ხერგიანმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოფიკ მუთალიბოვი

გაშამი

პატარა გაშამი მივიდა დედასთან
ყვავილთა კონა მიართვა სასოებით
და სხაპასხუპით ეუბნება აღტკინებული—
სკოლის ბაღშია დაკრეფილი
საგულდაგულოდ,
გაყვავებულან ვარდები და
ქრიზანთემები,
შიგ ჩავიმალე
და მებაღე რას დამლანდავდა!
დედა გაფითრდა —
ეს რა თქვაო
პირმშომან ჩემმან,
მყის დაუბრუნა თაიგული
თავის ბიჭუნას,
ყურში ჩაავლო გულნატკენმა
პატარას ხელი
ეგრე ჩასძახა:
სახელივით გახსოვდეს, გაშამ! —
საძრახისია კაცისათვის ქურდბაცაცობა.
ჭეშმარიტება გახლავს ბრძნული
და ძველთა-ძველი
დასცემსო უფრო სახელს ვიდრე
განადიადებს,
ქონებ-დიდებას გვარტომისას
ამოსვრილს ლაფში
ნაარმალი და ნაქურდალი
ოქრო და ვერცხლი!

პატარა ვარ ჯერაც...

ტიკ... ტიკ... ტიკ...
ტუკ... ტუკ... ტუკ...
მღერის კედლის საათი —
საოჯახო საათი,
ძველისძველი საათი
ბაბოჩემის ხნისა.
მიყვარს მისი ცქერა და
უფრო კიდევ მოსმენა
ხელს როგორ მივაკარებ
მამიკონას ვფიცავ!
ტიკ... ტიკ... ტიკ...
ტუკ... ტუკ... ტუკ...
მღერის საამურად
ისარი კი წრეხაზში
ბრუნავს, ბრუნავს, ბრუნავს.
დროში ჯერ ვერ ვერ ვერკვევი
პატარა ვარ-მეთქი
ციფრებიდან ექვსიანი
ვიცი ერთადერთი:
ექვს საათზე მუდამდღე,
სამსახურის შემდეგ
საჩუქრებით სავსეს,
იმედებით სავსეს
მე და ჩემი დედიკო
და უმცროსი ძამიკო,
ჩვენი სახლის ჭიშკართან
ვეგებებით მა...მი...კოს!

თარგმნა მ. ხერგიანმა.

ბამბის
მკრეფავი
გოგონები.

ა. ნაჯაფოვი,
14 წლის.
ბაქოს
ი. გაგარინის
სახელობის
პიონერთა
და
მოსწავლეთა
სასახლე

ჩემი სამშობლო საბჭოეთია

საბჭოეთია ძმობის კავშირი,
ჩემი სამშობლოც სწორედ ის არის, —
სასიყვარულო ფრთებით გაშლილი,
მოპოვებული ხმლით და ისარით.
სულში რომელიც ნათელს მათოვდა
და დედასავით მზრდიდა რომელიც,
მხრებზე შემასხა ფრთები სათნო და
ჩემი აფრენის წუთებს მოელის.
ჩემი სამშობლო ძმობის ხიდია,
და ესმის ჩემი ყველა სათქმელი...
მისი წარსული დიდზე დიდია.
და მომავალი უდგას ნათელი.
საბჭოეთია ძმობის კავშირი,
ჩემი სამშობლოც სწორედ ის არის, —
სასიყვარულო ფრთებით გაშლილი,
მოპოვებული ხმლით და ისარით.

ზემფირა ახმედოვა,
ბაქოს 52-ე საშ. სკოლის მოსწავლე.
თარგმნა ბრ. ჯულუხიძემ.

ოქტომბრელის ნიშანი

მუზეუმი,
ტილოები,
ფერთა ჩუმი ხმაური!
ჩვენს გულებში აღტაცების
იდგა დღესასწაული.
ელვარებდა, როგორც ჩვენი
საოცნებო მიზანი,
მუზეუმში ნაჩუქარი
ოქტომბრელის ნიშანი.
იმ ნიშნიდან
ქვეყნად მზიურ
სინათლედ მოვლენილი,
ბავშვებს თბილად გვეღიმოდა
საყვარელი ლენინი.

ჯეიხუნ ნასიბოვი,
ბაქოს 172-ე საშ. სკოლის მოსწავლე.
თარგმნა ტ. ლომბიძემ.

რა ეჭნა ჩემი სათვალე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა პაპაჩემი ხმამაღლა იკითხავს — რა იქნა ჩემი სათვალე? ვიცი, რაც უნდა. მივალ ხოლმე მასთან და ვეკითხები:

—პაპილო, მაინც რა გინდა რომ წაიკითხო?

ის ეშმაკურად იღიმება და გაზეთს უხმოდ მიწვდის.

ვუკითხავ საინტერესო სტატიას,ის კი ამბობს:

—თვალის ჩინი აგერა მყევხარ და სათვალე რაღაში მჭირდებაო.

ტუნზელე ველიევა,

ევლახის საშუალო სკოლის მოსწავლე.

ერთ ოთახში...

— ორშაბათია. მასწავლებელი კლასში შედის და ჟურნალს შლის.

— ახუნდოვი აკიფ!

— ვარ!

— ბაბაევი ტოფიკ!

— ვარ!

— ჯაფაროვი ლეილა!

— ვარ!

— გამბაროვი ჰუსეინ!

— არ მოსულა! — წამოიყვირა აზერმა, — ალბათ ავადაა.

— იმას ავად რა გახდიდა, ყველაზე ჯანმრთელია! — შეეწინააღმდეგა ელმანი, — იქნებ დედა გაუხდა ავად და მისახედად დარჩა შინ.

— არა, შეუძლებელია, — არ დაეთანხმა ადელია, — ჰუსეინის დედა დედაჩემთან ერთად მუშაობს ფაბრიკაში, ავად რომ გამხდარიყო, დედაჩემს ეცოდინებოდა.

— იქნებ მამამისს დაემართა რამე? — დაიწყო მარჩიელობა ტოფიკმა.

— არა, — თქვა აკიფმა, — ჰუსეინის მამა მენავთობეა, მამაჩემთან ერთად მუშაობს ჭაბურღილებზე. ოთხი დღის წინ ერთად წავიდნენ „ნავთობის ქვებზე *“. იქ რომ რამე მომხდარიყო, გავიგებდით.

— იქნებ ის ჩვენი ჰუსეინი სულაც დასეირნობს სადმე? — იქედნურად იკითხა ილიასმა.

— მორჩით მარჩიელობას, — თქვა მასწავლებელმა, — დავიწყოთ გაკვეთილი.

სამშაბათი. მასწავლებელი კლასში შედის და სიის ამოკითხვას იწყებს.

გამბაროვის გვარი რომ ამოიკითხა, კლასში გაისმა:

— არ არის, ალბათ ავადაა.

— ავად რა გახდიდა, ყველაზე ჯანმრთელი ის არის! იქნებ ბებიამისი გახდა ავად? ჰუსეინის დედა რომ ავად გამხდარიყო, ადელიას ეცოდინებოდა, მამამისს რომ რამე მოსვლოდა, აკიფს ეცოდინებოდა. ბებიას ამბავი კი...

— იქნებ ის ჩვენი ჰუსეინი სულაც კინოშია წასული, — წამოიყვირა ვიღაცამ.

მასწავლებელი წამოდგა და დაფაზე მსხვილი ასოებით დაწერა:

მთისპირის ქუჩა № 21. სართული 8.

კლასმა ერთხმად წამოიძახა:

—ეს ხომ ჰუსეინის მისამართია!

—ორი დღეა, მარჩიელობთ, რა მოუვიდა ჰუსეინსო, არადა, სხვათა შორის, მთისპირის ქუჩა ათი წუთის სავალზეც კი არ არის აქედან.

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა.

---

* ნავთობის ქვები — ბაქოს მახლობლად კასპიის ზღვაში გამართულ ნავთის სარეწს ეწოდება.

ნავთობის ქვები

ბ. კასიმოვი, 14 წლის. ბაქოს ი. ბაბარინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

რაფიკ ჰაშიმოვი

ჭიჭა წყალი

„წყალი უმცროსისაა“ — იტყვიან აღმოსავლეთში და ჩვეულებაც ასეთია, რაც უნდა მოწყურებულები იყვნენ უფროსები, წყაროსთან პირველად პატარას მიუშვებენ. მაგრამ ისეც ხდება, რომ თავაზიანი ბავშვები, თავის მხრივ, უფროსებს სთავაზობენ ხოლმე ჭიქა წყალს.

საერთოდ წყალზე უამრავი ლეგენდაა შექმნილი. ეს არც გასაკვირია. წყალი ხომ სიცოცხლის საწყისია. ამიტომაც ადამიანები, უძველესი დროიდან მოკიდებული, ქალაქებსა და სოფლებს იქ აშენებდნენ, სადაც ბევრი წყალი იყო. მაგრამ თუ ქალაქები სწრაფად იზრდებიან, ამ დროს, ხალხი, ზოგჯერ წყლის ნაკლებობას განიცდის ხოლმე. მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა ამ ბოლო წლებში ბაქოშიაც. მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში ქალაქის შემოგარენში აშენდა დიდი საცხოვრებელი მასივები — მუსაბეკოვისა და გუბკინის სახელობისა და კიდევ სხვა მიკრორაიონები. ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მათ უწოდებენ ქალაქებს ქალაქში.

როცა ბაქოს მოსახლეობამ ერთნახევარ მილიონს გადააჭარბა, წლების წინ გაყვანილმა ძველმა წყალსადენებმა ვეღარ „იტვირთეს“ ქალაქის წყლით მომარაგების უზრუნველყოფა. რა ექნათ? საიდან გაეჩინათ ყველასათვის სამყოფი წყალი? გადაწყვიტეს წყალუხვი მდინარე მტკვარი დაეგუბებინათ, მისთვის გეზი ეცვალათ და რკინის მილებში მოექციათ.

მტკვარი მოუთვინიერებელი მდინარეა. მის „ათვისებაში“ აზერბაიჯანელ წყალგამყვანებს შოსკოველი სპეციალისტები დაეხმარნენ. მოკლე დროში დამუშავდა ტრასის პროექტი.

მშენებლობა სახალხო საქმედ გამოცხადდა.

ტრასაზე ათასობით ადამიანი გამოვიდა სამუშაოდ, ასობით ექსკავატორი, ტრაქტორი და ბულდოზერი აგუგუნდა. 130 კილომეტრის მანძილზე, უმოკლეს დროში, ჩაიწყო თითქმის კაცის სიმაღლე მილები, აღიმართა წყალგამწმენდი მოწყობილობები, დამონტაჟდა მძლავრი წყალსაქაჩი ტურბინები, მაგრამ ყველა დიდ მშენებლობაზე ყოველთვის თავზე საყრელია ხოლმე წვრილმანი საქმეები, რომელთა მოგვარებაც მხოლოდ ადამიანთა ხელებს თუ ძალუძს.

ჰოდა, იცოდნენ ეს ამბავი აფშერონის რაიონის პიონერ მოსწავლეებმა, იცოდნენ და გაეშურნენ კიდეც უფროსების დასახმარებლად. მშენებლობაზე ხუთიათასამდე მოსწავლემ მოიყარა თავი. სულ ორი დღე — შაბათი და კვირა მოანდომეს ბავშვებმა სამშენებლო მოედნის გაწმენდას. ხურდალანის საშუალო სკოლის რაზმს ილგამ ბაბაევი ხელმძღვანელობდა. ამ რაზმმა ტრასის ბოლო ნაწილი ნაგვის, ქვა-ღორღისა და სამშენებლო ნარჩენებისაგან გაასუფთავა.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და მილებში წყალი წამოჩუხჩუხდა. ილგამის დედამ, სინემმა პირთამდე აავსო ჭიქა და გახარებულმა შვილს გაუწოდა:

— გამომართვი, შვილო, დალიე; ჩვენი ჩვეულებით პირველი ჭიქა ყოველთვის უმცროსისაა.

ილგამმა გამოართვა ჭიქა, მან ახლა თავის მხრივ ოჯახში ყველაზე უფროსს, მამამისს შესთავაზა წყალი.

მამამისმა მადლობა უძღვნა ილგამს თავაზიანობისათვის, ჭიქა უკანვე დაუბრუნა და თან უთხრა:

— პირველმა შენ დალიე, შვილო, იმიტომ კი არა, რომ უმცროსი ხარ, უბრალოდ იმიტომ, რომ ამისი უფლება შენ მუყაითი შრომით დაიმსახურე.

პირველი ცხენი

გაზაფხულზე ბავშვებმა მინდვრად უპატრონოდ გაშვებული ცხენი დაინახეს. ცხენი მუხლამდე ბალახში ჩამდგარიყო და მშვიდად ძოვდა.

— მოდი დავიჭიროთ და ვაჭენოთ, — თქვა ვიღაცამ.

თქვეს და შეასრულეს. მაგრამ უნაგირზე პირველად მოქცეული ბახიში ცხენმა კისრით გადმოუშვა ძირს.

— იჰ, შე ლაყე! — იქედნურად გაიცინა ილიასმა, — თქვენი გვარის ხალხი — სეიდოვები, — საქვეყნოდ სახელგანთქმული მოჯირითეები იყვნენ. შენ კი წამსვე გადმოგაგდო ცხენმა.

ბახიშს სახეზე ალმური მოედო.

ერთი თვის შემდეგ მეხუთე კლასი დაამთავრა. მამის შეკითხვაზე, სად გინდა ზაფხული გაატაროო, — ბიჭმა უპასუხა:

— არსად. შენთან მინდა დარჩენა. ცხვარში მოგეხმარები, ოღონდ იცოდე, ცხენზე ჯდომა უნდა მასწავლო.

რა იცოდა ბახიშმა, რომ მწყემსობა მარტო ცხენით ჯირითი როდი იყო. მიდი და, თუ ბიჭი ხარ, თვალი ადევნე ცხვრის ორიათასიან ფარას. ცხვარი კლდე-ღრეში არ უნდა გადაიჩეხოს, ნადირიც არ უნდა მოგიხტეს; თანაც მუდამ უნდა გახსოვდეს, რომ აქედან ორ ნაბიჯზე საზღვარია.

ამას წინათ ასეთი ამბავი მოხდა: მწყემსებმა საზღვართან ახლოს უცნობი შენიშნეს. პირველი მასთან პაპა აშრაფ-კიში მივიდა. ტურისტი ვარ, ჩემიანებს ჩამოკრჩი და ძალზე დავიღალე, — თქვა უცნობმა, — ცოტას დავისვენებ, საღამოთი კი ჩვენების საძებნელად გავწევო, — დაუმატა.

უცნაურად იქცეოდა. სულმოუთქმელად ლაპარაკობდა. რაღაცნაირად უხერხული იყო პირისპირ მოლაპარაკე კაცის მიტოვება, ჰოდა, ვერც პაპა აშრაფ-კიში და ვერც ახმედ ჯაფაროვი — მეცხოველეთა ბრიგადირი, ვეღარ მოსცილდნენ იმ უცნობს.

მაშ როგორღა უნდა ეცნობებინათ მესაზღვრეებისათვის ეს ამბავი? ერთადერთი იმედი ბახიში იყო. სტუმარი სულაც არ აქცევდა ყურადღებას ბავშვს. მამამ „ტურისტი“ ფერმაში წაიყვანა. შემდეგ, ჩაის მოვიტანო, მოიმიზეზა, და გარეთ გავიდა.

— აბა, ბახიშ, ჩემს ცხენს მოახტი და სოფელში. გაჰქუსლე! ჩასჩურჩულა მამამ ბიჭს.

ბიჭებმა რომ ბახიში გაჭენებულ ცხენზე ამხედრებული დაინახეს, თვალს არ დაუჯერეს. ბახიშმა ისე ჩაუქროლა ამხანაგებს, ზედაც არ შეუხედავს მათთვის. უცნობი დააკავეს. ის საზღვრის დამრღვევი გამოდგა.

როცა კოლმეურნეობის სამმაროველოსთან მესაზღვრეთა „გაზიკი“ მოგრიალდა, მაშინღა მიხვდნენ სოფლელები, რაც მომხდარიყო. ყველა ულოცავდა ბახიშს, მეგობარს ილიასმაც გაუწოდა ხელი.

— ნახე, ოა გაჩვენო, — უთხრა ბახიშმა ილიასს და მაჯა წამოიკლავა.

ილიასმა მეგობრის მაჯაზე სასაზღვრე ნაწილის უფროსის მიერ ნაჩუქარი საათი დაინახა.

თარგმნა ზ. ლეშკაშელმა.

ანეკდოტური ანდაზები

ასი მეგობარი ცოტაა, ერთი ორგული ბევრია.

უფროსი ძმა იგივე მამაა უმცროსთათვისო.

კალამი ენაზე თამამიაო.

ბავშვის პირით სიმართლე ლაპარაკობსო.

წყალში ჩავარდნილს წვიმისა არ ეშინიაო.

დათვმა ცხრა სიმღერა იცის და ცხრაშივე თაფლს უმღერისო.

ვისაც დედიკო ჰყავს, იმას თავი ყოველთვის დავარცხნილი აქვსო.

ავადმყოფს ოქროს საწოლი ვერ მოარჩენსო.

ტყეში შეშას არ ეზიდებიან, ჭაში წყალს არ ასხამენო.

ბავშვობაში თუ იტყუებოდი, უფროსობაშიაც არ დაგიჯერებენო.

გველი ტყავს იცვლის, მაგრამ გველადვე რჩებაო.

ფანქრები

გალიას ახალი ფერადი ფანქრების ყუთი დაეკარგა და ხმამაღლა ატირდა. თანაკლასელებმა დამშვიდება დაუწყეს:

—მეგობარს რომ კარგავენ მაშინ ტირიან ხოლმე, — დინჯად შენიშნა აფიკმა, რომელიც გალიასთან ერთად იჯდა მერხზე, — ამ საქმეს კი როგორმე ეშველება.

უშველეს კიდეც. აიდინმა ჩანთიდან ლურჯი ფანქარი ამოიღო, ზაინალმა— წითელი, ლიატიფამ — ყვითელი, ტაირმა — ყავისფერი. ყველაზე ძუნწმა ასლანმაც კი ახალი ცარიელი ყუთი დაუთმო გალიას.

— ჰა, შენი იყოს, — უთხრეს ბავშვებმა და ფანქრებით სავსე ყუთი მისცეს.

გალიამ აიღო ყუთი, გადათვალა ფანქრები და უფრო ხმამაღლა აბღავლდა.

—რაშია საქმე? — გაუკვირდათ ბავშვებს.

გალიამ შეათვალიერა მის გარშემო შემოკრებილი ამხანაგები და თქვა:

—ნუთუ ვერ ხვდებით? მე რომ ჩემი ფანქრები არ დამეკარგა, ახლა უკვე ორი ყუთი მექნებოდა.

ნარგიზა შაბანოვა,
ქ. კიროვაბადის მე-16 საშუალო სკოლის მოსწავლე.

ხელთ გვიჭყრია საჰაერო ბურთები
დღესასწაულს მხიარულად ვატარებთ
დავალებებს შევასრულებთ ხუთებზე
(ტყუილის თქმა არ სჩვევიათ პატარებს).

ჯეიხუნ ნასიბოვი,
ბაქოს 172-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

დ ე დ ა

დედა! — ამ სიტყვას წარმოვთქვამდეთ
უნდა
სათუთად
მირიადია ამ სიტყვის აზრი —
უპირველესად არსობას ნიშნავს,
შემდგომად უვრცეს სამყაროს ჩვენსას
მზესა და მთვარეს,
მთებსა და ველებს,
ცასა და ჰაერს,
ზღვასა და ხმელეთს,
დედამ სიცოცხლე გაანამწესა!

დედაა — დარდი,
დედაა — სევდა,
დედა ტკბილი და ღიმილისმჩენი
ხნავდა,
თესავდა
თუ მახვილს ჭედდა
არ შეუშვია აკვნისთვის ხელი.
უუწმინდესი დროშების ტევრში
ცხოვრების გზაზე გამოგვიყვანა
კვლავ თავს გვევლება ბებრული ხვნეშით
მას შემოევლოს მთელი ქვეყანა!

სულეიმან მუსტაფაევი,
ყაზახის რაიონის სოფ. ფოილოს საშუალო სკოლის მოსწავლე.

თარგმნა მ. ხერგიანმა.

1941 წლის შემოდგომა

ვამხეცებული ფაშისტური ურდოები მოსკოვს უტევენ.

საბჭოთა მეომრები გმირულ წინააღმდეგობას უწევენ მათ. მტერმა „ელვისებური განადგურების“ გეგმა შეიმუშავა და მის განხორციელებას შეუდგა.

ამ დროს კი შორეულ აღმოსავლეთში სიწყნარეა. იაპონიის მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა ქვეყნის მიმართ გაურკვეველია. დიდი საიდუმლოებითაა მოცული, რომელი მიმართულებით აპირებს შეტევას კვანტუნის არმია. ეჭვია ჩრდილო მანჯურიაზე, მაგრამ ცარიელი ეჭვი ბევრს არაფერს ნიშნავს.

საბჭოთა მთავარსარდლობა იძულებულია შორეულ აღმოსავლეთში დატოვოს რამდენიმე დივიზია იაპონელი მილიტარისტების შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად.

და, აი ამ დროს მთავარსარდლობის ბანაკი, ტოკიოში მყოფი მამაცი საბჭოთა მზვერავის, რიჰარდ ზორგესაგან, იღებს მეტად მნიშვნელოვან და ძვირფას ცნობას — „იაპონელები სამხედრო მოქმედებას იწყებენ წყნარ ოკეანეში ამერიკელების წინააღმდეგ, და არა შორეულ აღმოსავლეთში“.

ამ ცნობის მიღების შემდეგ რამდენიმე დივიზია სასწრაფოდ იქნა გადმოსროლილი შორეული აღმოსავლეთიდან მოსკოვის დასაცავად. ამან უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი დედაქალაქის მისადგომებთან ჰიტლერელი ჯალათების განადგურების საქმეში. მალე მტერი 100 კილომეტრზე იქნა განდევნილი მოსკოვის საზღვრებიდან.

...გერმანიის ელჩი იაპონიაში ოტო უკანასკნელ წუთამდე კარგ გუნებაზე იყო. ფიურერმა თავხედურად დაიკვეხა — 7 ნოემბრისათვის ჩემი არმია მოსკოვს აიღებსო.

რიჰარდ ზორგეს დახმარებით შეადგინეს მორიგი ანგარიში ბერლინში გასაგზავნად. ოტო ზორგეს დიდი ხანია „სანდო კაცად“ თვლის და საიდუმლო დოკუმენტებში ახედებს ხოლმე. ამ ნდობის მოპოვება ზორგესთვის არც ისე იოლი იყო. მრავალი წლის თავდაუზოგავი შრომა, ნიჭიერება დასჭირდა, რომ თავი წმინდა სისხლის არიელად გაესაღებინა და გერმანელი ელჩის სიყვარული დაემსახურებინა.

აი, ახლაც, ოტო ეუბნება რიჰარდს:

— იცი, რა დიდი ინტერესით ვკითხულობ ხოლმე შენს სტატიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი თანამემამულე — რიჰარდ ზორგე

მხიბლვას შენი ჟურნალისტური ხელოვნება. შენს წერილებში იგრძნობა კიდევ ერთი რამ — ცეცხლოვანება. ეს ტემპერამენტი შენს მოძრაობაშიც კი ჩანს, რაღაცით თითქოს კავკასიელს ჰგავხარ...

რიჰარდ ზორგემ მადლობა უძღვნა სასიამოვნო სიტყვებისათვის და ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გაიხედა. წამით თვალები დახუჭა და ფიქრებს მიეცა.

როგორც სიზმარში, აცურდნენ მის თვალწინ ქარავანივით გაშლილი ნავთობის კოშკურები. ოცნებები, ოცნებები...

რამდენიმე წლის წინ ზორგე ოცნებობდა მოენახულებინა ის ადგილები, სადაც დაიბადა, გაცნობოდა საბუნჩის მუშათა უბანს, სადაც მისი ცხოვრების პირველმა სამმა წელმა განვლო. თითქოს ტკბილი სიზმრიდან გამოერკვა რიჰარდი. რაზე ჩაფიქრდა? არა, არა, თუ ბოლომდე ვერ აღმოფხვრა თავისი ბუნების ნიშნები და სტატიებში მაინც გაამჟღავნა თავისთავი — მაშასადამე, რაღაც შეცდომას უშვებს. დღეს ზორგე „ნამდვილი გერმანელია“ და მისმა ყოველმა მოძრაობამ უნდა დაამტკიცოს ეს. რაც შეეხება „კავკასიელისათვის დამახასიათებელ ტემპერამენტს“, ელჩი არ შეცდარა. რიჰარდ ზორგე კავკასიელია, კერძოდ კი — აზერბაიჯანელი.

მოსკოვთან გერმანელების განადგურების ამბავმა მთელი მსოფლიო შესძრა. იაპონიაში გერმნაიის საელჩოდან სრულიად საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების საქმეს იკვლევდნენ იაპონელი მაძებრები. ყველაზე სამარცხვინო და უკადრისი მეთოდებითა და გზებით შეიკრა მარყუჟი, რომლის ბოლომ „რამზაის“ ჯგუფთან მიიყვანა ისინი.

მიუხედავად არაადამიანური წამებისა, ზორგემ მთელი ბრალდება თავის თავზე აიღო, რომ ამხანაგები მძიმე სასჯელისაგან ეხსნა. უკანასკნელ მომენტშიც კი, როცა დასასჯელად მიჰყავდათ, მას თავისი მრწამსი არ შეუცვლია: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს წითელ არმიას!“ — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები სიკვდილამდე წინ.

60-იანი წლების დასაწყისში ყველას ყურადღება მიიქციეს ცენტრალური გაზეთების გვერდებზე გამოქვეყნებულმა სტატიებმა ზორგეზე. ეს გაზეთები ხელიდან ხელში გადადიოდა ბაქოს დასახლება „ახალი რამანის“ 90-ე სკოლაში. გაზეთებში ეწერა, რომ რიჰარდ ზორგე დაიბადა და ადრეული ბავშვობის წლები გაატარა საბუნჩარის დასახლებაში, რომელიც ახალი რამანიდან სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯზე მდებარეობდა. ბავშვებმა გადაწყვიტეს ეპოვათ სახლი, რომელშიც დაიბადა და ცხოვრობდა ეს ლეგენდარული გმირი, შეეკრიბათ მის ირგვლივ რაც შეიძლება მეტი მასალა. ბავშვებმა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში და საზღვარგარეთაც გაავზავნეს წერილები თხოვნით — მიეწოდებინათ ცნობები რიჰარდ ზორგეზე. პატარა კვალმაძიებელთა თხოვნას გამოეხმაურნენ. ძვირფასი მასალა მოგროვდა. სკოლის პირველ სართულზე გაიხსნა უზარმაზარი გალერეა — „ჩვენი თანამემამულე — რიჰარდ ზორგე“, აქ ბევრი საინტერესო ექსპონატია წარმოდგენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი წერილი, სადაც წერია: „ჩვენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებლებს, საბჭოთა ადამიანებთან მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებს. მეამაყება, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვიყავი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური წევრი“. ამ სტრიქონების ავტორია ზორგეს ომისდროინდელი თანამშრომელი ტოკიოში მაქს კლაუზენი, იგი რიგორც რადისტი, მოსკოვს გადასცემდა ასობით ძვირფას ინფორმაციას, რომელსაც ზორგე და მისი ჯგუფი აწვდიდნენ.

ამჟამად, სკოლის „ნორჩ ზორგელებს “აქვთ მიწერ-მოწერა ჩვენი ქვეყნის 38 სკოლასთან, სადაც მათი თანამოსაქმეები აგროვებენ მასალებს ამ უშიშარი გმირის შესახებ.

ამ დღეებში სკოლის პიონერები დიდ მზადებაში არიან. ისინი მიიწვიეს ზორგელთა საკავშირო შეკრებაზე, რომელიც დონის როსტოვში ჩატარდება. შეკრებისათვის ბავშვები ადგენენ სპეციალურ ალბომს ზორგეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

რ. ჰაშიმოვი.
თარგმნა მ. ხერგიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

ეს რა მეგობრობაა

თემური წერს: მე და ნოდარი საბავშვო ბაღიდან მეექვსე კლასამდე ვმეგობრობდით, უერთმანეთოდ არსებობა ვერ წარმოგვედგინაო. მაგრამ, ჩანს, ეს მეგობრობა მყარი არ ყოფილა. ვერ წარმომიდგენია მეგობრის ასე ადვილად მიტოვება. ნოდარს მხოლოდ თავისი თავი ჰყვარებია, თავკერძა კი მეგობრად ვერ ივარგებს.

ნოდარს, რასაკვირველია ვამტყუნებ, მაგრამ არც კლასის პასიურობა მომწონს.

რუსუდან მურღულია,
გალის რაიონის საბერიოს საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ის ხომ პიონერია...

ჩემი ფიქრით, თანაკლასელები არ არიან გასამტყუნარნი, ნოდარი რომ არ დაუბეზღებიათ, მაგრამ თვითონ ნოდარი უნდა ამდგარიყო და მასწავლებლისათვის სიმართლე ეთქვა, ის ხომ პიონერია!

მზია ქავთარაძე,
დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა, VII კლასი.

მოყვარეს პირში უძრახე

თემური და ნოდარი წლების მანძილზე სამაგალითო მეგობრები ყოფილან, მაგრამ ერთმა ინციდენტმა გამოავლინა, რომ ნოდარს არ სცოდნია, როგორი უნდა იყოს ნაღდი მეგობარი. „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო", — ამბობს ხალხური ანდაზა. მაგონდება პლუტარქეს ნათქვამიც: „მე არ მინდა ისეთი მეგობარი, რომელიც... ყოველ ჩემს თავის დაკანტურებას იმეორებს. ამ საქმეს ხომ ჩემი ჩრდილიც კარგად ასრულებს". ვინმემ თუ რაიმე ნაკლზე მიგითითა, მადლობელი უნდა იყო, რადგან ეცდები ამ ნაკლის გამოსწორებას.

იმედი მაქვს, ნოდარი მიხვდება, რომ ტყუილად იწყინა თემურის შენიშვნა და ძველ მეგობრობას აღადგენს.

მარინე ლომუაშვილი,
ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

ვიწონებთ თემურის საქციელს

„აისის" მე-4 ნომერში გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც თემურ გ. აწერს ხელს, განვიხილეთ ჩვენს რაზმში. ყველანი ვიწონებთ თემურის საქციელს. თემურმა ხომ სიმართლის თქმისაკენ მოუწოდა მეგობარს, ამიტომ მისი მოქმედება მისაბაძია. ნოდარმა უნდა შეიგნოს თავისი დანაშაული და დამდურების ნაცვლად, მადლობა უთხრას თავის ნამდვილ მეგობარს. გვინდა ვუსაყვედუროთ თემურის თანაკლასელებს — რატომ არ ჩაერივნენ საქმეში, რატომ არ სცადეს ნოდარის დარწმუნება მის უსაქციელობაში?

ვანის რაიონის ყუმურის საშუალო სკოლის V კლასის პიონერები.

ჩემი პასუხი

თემურ! ნოდარი ტყუის შენსა და კლასის წინაშე. ოღონდ, შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, რაზმის შეკრებაზე მთელი კლასის თვალწინ გავკიცხავდი, რადგან მან ყველა თანაკლასელი ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. თუ ამას შედეგი არ მოჰყვებოდა, მასწავლებელთან ვამხილებდი.

ნინო დევდარიანი,
ორჯონიკიძის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი.

თემურიც დამნაშავეა

ნოდარი, ცხადია, ცუდად მოიქცა, როცა ამხანაგები აიძულა, დაეფარათ მისი დანაშაული. ამხანაგები მაინც არ უნდა შეეშინებინა სიტყვებს: ვინც მასწავლებელს რამეს ეტყვის, მშიშარა და ამხანაგის მოღალატე იქნებაო. ამ მხრივ თემურიც დამნაშავეა, — მასწავლებელის წინაშე იმანაც დაფარა მეგობარი.

დენიზა ქათამაძე,
ტყიბულის რაიონის ორპირის საშუალო სკოლა.

გაკვეთილი ფერმაში

16 მარტს ჩვენმა მასწავლებელმა კამარი ხუსკივაძემ ბუნებისმცოდნეობის გაკვეთილი კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში ჩაგვიტარა.

გაკვეთილად „შინაური ცხოველები" გვქონდა. ფერმაში წინამძღოლობა გაგვიწია ზოოტექნიკოსმა ნანული ქლიბაძემ, იგი გვესაუბრა პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე, გვაჩვენა საკვების დასაჭრელი და წყლის მიმწოდებელი მანქანები. ბევრი სხვა მოწყობილობაც დაგვათვალიერებინა.

გავიცანით ლენინის ორდენოსანი მწველავი მარუსა სილაქაძე, იგი გვესაუბრა შრომის სიკეთეზე და იმაზე, თუ როგორ ფასდება შრომა ჩვენს ქვეყანაში.

ეს გაკვეთილი მეორეკლასელებს არასოდეს არ დაგვავიწყდება.

მამუკა ფერაძე.
ზესტაფონის რაიონის ქვედა კვალითის დაწყებითი სკოლის II კლასის მოსწავლე.

კაცი, რომელსაც გველებისა არ ეშინია

ამერიკელ ბილ ჰაასტს რომ იმუნიტეტი აქვს, იმისი მსგავსი აქამდე არც ერთ კაცს არ ჰქონია დედამიწის ზურგზე — გველის შხამი მასზე სრულებით არ მოქმედებს. ეს იმუნიტეტი ჰაასტმა გველებთან ოცდაათი წლის მუშაობით შეიძინა. იგი პროფესიით გველების მომოვინიერებელია და ხშირად გამოდის ესტრადაზე თავის გაწვრთნილებთან ერთად, ბილ ჰაასტი ამ თავისებურ იმუნიტეტს ადამიანთა სასარგებლოდ იყენებს. მან საკუთარი სისხლის გადასხმით გველისაგან დაკბენილ ოც კაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ახალსახლობას გილოცავთ, გელურებო!

შვეიცარიაში დაიწყეს ამ ქვეყნის ორნითოლოგიის ინსტიტუტის მიერ ბელურებისათვის კონსტრუირებული ბუდეების წარმოება. სპეციალისტების აზრით, ეს ხელოვნური საბუდარები ბელურების გადარჩენის უკანასკნელი შანსია, რამდენადაც ბუნებრივი მასალები, რომლებითაც ეს ფრინველები ბუდეს იშენებენ, ძალზე ცოტაა.

ქრონიკები დღესაც იწერება

ქრონიკები როდია მხოლოდ ძველი წიგნები, რომლებშიც მემატიანეთა მიერ ნანახი ამბებია ჩაწერილი. ჩეხოსლოვაკიაში დღესაც იწერება ქრონიკები. თითქმის ყოველ ქალაქში არის კლუბი ენთუზიასტებისა, რომლებიც ყოველდღიურად აღწერენ თავიანთი მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის ისტორიას. ტარდება რესპუბლიკური კონკურსები საუკეთესო ქრონიკიორის გამოსავლინებლად, ეწყობა ადგილობრივი გამოფენები.

ძროხა-მეტეოროლოგი

„ძროხა, რომელიც ქარის მიმართულებით იშვერს კუდს, ან დორი, რომელიც ტლაპოში წვება, უკეთ გამოიცნობს ხოლმე ამინდს, ვიდრე მეცნიერული ხელსაწყოები“,—განაცხადა ამერიკის ქალაქ ჰანსტვედის მკვიდრმა ჯონ ადამსმა. მეტეოროლოგმა ირვინგ ბოლბრეჰტმა მიიღო მისი გამოწვევა და გაიმართა შეჯიბრება. ადამსმა სამჯერ მიიყვანა თავისი ძროხა დანიშნულ ადგილას, ბოლბრეჰტს კი იქ მეტეოროლოგიური ხელსაწყოები მოჰქონდა. ძროხამ სამჯერვე გაიმარჯვა — უკეთ გამოიცნო, რა ამინდი იყო მოსალოდნელი, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხებული გამოვიდა, რადგან არავითარი რეაგირება არ გამოუმჟღავნებია ხანგრძლივ კოკისპირულ წვიმაზე.

კურიოზული პროფესიები

რა პროფესია არ არსებობს ამ ქვეყანაზე! აი, თუნდაც კატების მიშველება. ნიუ-იორკის ცხოველთა დაცვის კომუნალური სამმართველოს მოსამსახურე ეინსენტ პეტერსონი ყოველწლიურად ორიათასამდე კატას იხსნის დაღუპვისაგან, რისთვისაც ხშირად ქვეშ უვარდება მანქანას, ჩადის საკანალიზაციო ხვრელში... არსებობს „ტკბილი“ პროფესიებიც. ამერიკის ერთ-ერთ შოკოლადის ფაბრიკაში მომუშავე ჰარი სმიტის მოვალეობაა დააჭაშნიკოს ფაბრიკის ყოველი ნაწარმი. მის აზრზეა დამოკიდებული, წავა თუ არა წარმოებაში ესა თუ ის პროდუქტი. მინესოტის შტატის საპნის ქარხანაში მუშაობს კაცი, რომელიც ვალდებულია დაღეჭოს ყოველგვარი ხარისხის საპონი, რათა დაადგინოს მასში ტუტის შემცველობა. ლონდონში ცხოვრობს „მეჭაშნიკე“ რომელსაც შეუძლია ერთმანეთისაგან გაარჩიოს ჩვიდმეტი სხვადასხვა სახის წყალი, მინერალური კი არა, ჩვეულებრივი წყალი.

ყველაზე ორიგინალური მაინც შვედი ელფრიდა კარლსონის სამუშაოა. ამ ქალმა ოცამდე ჯიშის ძაღლის ყეფა ისწავლა, რისთვისაც სტოკჰოლმის საფინანსო სამმართველო კარგ გასამრჯელოს აძლევს. რატომ? თურმე ამ ქალაქში ძაღლის ყოლისათვის გადასახადია დაწესებული და ბევრი მალავს თავის ოთხფეხა მეგობარს. კარლსონი შედის ნებისმიერ სახლში და იწყებს ყეფას. იმწამსვე, კარს უკან, თუ იქ ძაღლია, საპასუხო ყეფა გაიხმის. კარლსონი იწერს სახლის მისამართს და ძაღლის ჯიშს. სახლის მეპატრონეს მეორე დღეხვე მოსდის უწყება გადასახადის შესახებ.

ვარდისფერი სპილოები

ვარდისფერი სპილო?! — ალბათ გაოცდებით და, ცხადია, ვერც ერთი თქვენგანი ვერ დაიკვეხნის, ასეთი ფერის სპილო მინახავსო. მაგრამ აი, კენიაში, ქალაქ ტსავის მახლობლად 24-ათასამდე ასეთი სპილო ბინადრობს. თუმცა ვარდისფერი მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ვუწოდოთ მათ. ამ ცხოველთა კანის ფერი განსაკუთრებული პიგმენტაციით კი არ არის გამოწვეული, არამედ იქაური ნიადაგის შეფერილობით. სპილოს ხომ ძალზე უყვარს ტალახის აბაზანის მიღება.

მთვარის კრატერი...

დედამიწაზე

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში ანტარქტიდის ყინულის ჯავშნის ქვეშ აღმოაჩინეს 250 კილომეტრი დიამეტრისა და 300 მეტრი სიღრმის ღრმული. მას კილომეტრნახევარი სისქის ყინული ფარავდა.

ღრმულის გეოლოგიურ თავისებურებათა შესწავლამ, მთვარისა და მარსის კრატერებთან შედარებამ მკვლევარები შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: იგი წარმოიქმნა ასტეროიდის ჩამოვარდნის შედეგად. ასტეროიდის განივი სიგრძე 4-6 ათასი მეტრი იქნებოდა, წონა — 10 მილიარდი ტონა. ასე რომ, ჩვენს პლანეტაზე დაცემულ დღემდე ცნობილ ციურ სხეულთა შორის იგი ყველაზე დიდია. კატასტროფა, როგორც ჩანს, 600-700 ათასი წლის წინათ მოხდა. არსებობს მოსაზრება, რომ ასტეროიდის ვარდნისა და აფეთქების შედეგად წარმოქმნილ მტვრის ნაწილაკებს შეეძლოთ გამოეწვიათ ატმოსფეროს ძლიერი გამუქება და დიდი მასშტაბით გამყინვარება, ანტარქტიდაში უნიკალური წარმონაქმნის კვლევა გრძელდება.

კაცი, რომელსაც გველებისა არ ეშინია

ამერიკელ ბილ ჰაასტს რომ იმუნიტეტი აქვს, იმისი მსგავსი აქამდე არც ერთ კაცს არ ჰქონია დედამიწის ზურგზე — გველის შხამი მასზე სრულებით არ მოქმედებს. ეს იმუნიტეტი ჰაასტმა გველებთან ოცდაათი წლის მუშაობით შეიძინა. იგი პროფესიით გველების მომოვინიერებელია და ხშირად გამოდის ესტრადაზე თავის გაწვრთნილებთან ერთად, ბილ ჰაასტი ამ თავისებურ იმუნიტეტს ადამიანთა სასარგებლოდ იყენებს. მან საკუთარი სისხლის გადასხმით გველისაგან დაკბენილ ოც კაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ახალსახლობას გილოცავთ, გელურებო!

შვეიცარიაში დაიწყეს ამ ქვეყნის ორნითოლოგიის ინსტიტუტის მიერ ბელურებისათვის კონსტრუირებული ბუდეების წარმოება. სპეციალისტების აზრით, ეს ხელოვნური საბუდარები ბელურების გადარჩენის უკანასკნელი შანსია, რამდენადაც ბუნებრივი მასალები, რომლებითაც ეს ფრინველები ბუდეს იშენებენ, ძალზე ცოტაა.

ქრონიკები დღესაც იწერება

ქრონიკები როდია მხოლოდ ძველი წიგნები, რომლებშიც მემატიანეთა მიერ ნანახი ამბებია ჩაწერილი. ჩეხოსლოვაკიაში დღესაც იწერება ქრონიკები. თითქმის ყოველ ქალაქში არის კლუბი ენთუზიასტებისა, რომლებიც ყოველდღიურად აღწერენ თავიანთი მშობლიური ქალაქისა თუ სოფლის ისტორიას. ტარდება რესპუბლიკური კონკურსები საუკეთესო ქრონიკიორის გამოსავლინებლად, ეწყობა ადგილობრივი გამოფენები.

ძროხა-მეტეოროლოგი

„ძროხა, რომელიც ქარის მიმართულებით იშვერს კუდს, ან ღორი, რომელიც ტლაპოში წვება, უკეთ გამოიცნობს ხოლმე ამინდს, ვიდრე მეცნიერული ხელსაწყოები“,—განაცხადა ამერიკის ქალაქ ჰანსტვედის მკვიდრმა ჯონ ადამსმა. მეტეოროლოგმა ირვინგ ბოლბრეჰტმა მიიღო მისი გამოწვევა და გაიმართა შეჯიბრება. ადამსმა სამჯერ მიიყვანა თავისი ძროხა დანიშნულ ადგილას, ბოლბრეჰტს კი იქ მეტეოროლოგიური ხელსაწყოები მოჰქონდა. ძროხამ სამჯერვე გაიმარჯვა — უკეთ გამოიცნო, რა ამინდი იყო მოსალოდნელი, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხებული გამოვიდა, რადგან არავითარი რეაგირება არ გამოუმჟღავნებია ხანგრძლივ კოკისპირულ წვიმაზე.

კურიოზული პროფესიები

რა პროფესია არ არსებობს ამ ქვეყანაზე! აი, თუნდაც კატების მიშველება. ნიუ-იორკის ცხოველთა დაცვის კომუნალური სამმართველოს მოსამახურე ეინსენტ პეტერსონი ყოველწლიურად ორიათასამდე კატას იხსნის დაღუპვისაგან, რისთვისაც ხშირად ქვეშ უვარდება მანქანას, ჩადის საკანალიზაციო ხვრელში... არსებობს „ტკბილი“ პროფესიებიც. ამერიკის ერთ-ერთ შოკოლადის ფაბრიკაში მომუშავე ჰარი სმიტის მოვალეობაა დაეჭაშნიკოს ფაბრიკის ყოველი ნაწარმი. მის აზრზეა დამოკიდებული, წავა თუ არა წარმოებაში ესა თუ ის პროდუქტი. მინესოტის შტატის საპნის ქარხანაში მუშაობს კაცი, რომელიც ვალდებულია დაღეჭოს ყოველგვარი ხარისხის საპონი, რათა დაადგინოს მასში ტუტის შემცველობა. ლონდონში ცხოვრობს „მეეშნიკე“ რომელსაც შეუძლია ერთმანეთისაგან გაარჩიოს ჩვიდმეტი სხვადასხვა სახის წყალი, მინერალური კი არა, ჩვეულებრივი წყალი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ყველაზე ორიგინალური მაინც შვედი ელფრიდა კარლსონის სამუშაოა. ამ ქალმა ოცამდე ჯიშის ძაღლის ყეფა ისწავლა, რისთვისაც სტოკჰოლმის საფინანსო სამმართველო კარგ გასამრჯელოს აძლევს. რატომ? თურმე ამ ქალაქში ძაღლის ყოლისათვის გადასახადია დაწესებული და ბევრი მალავს თავის ოთხფეხა მეგობარს. კარლსონი შედის ნებისმიერ სახლში და იწყებს ყეფას. იმწამსვე, კარს უკან, თუ იქ ძაღლია, საპასუხო ყეფა გაისმის. კარლსონი იწერს სახლის მესამართს და ძაღლის ჯიშს. სახლის მეპატრონეს მეორე დღეხვე მოსდის უწყება გადასახადის შესახებ.

ვარდისფერი სპილოები

ვარდისფერი სპილო?! — ალბათ გაოცდებით და, ცხადია, ვერც ერთი თქვენგანი ვერ დაიკვეხნის, ასეთი ფერის სპილო მინახავსო. მაგრამ აი, კენიაში, ქალაქ ტსავის მახლობლად 24-ათასამდე ასეთი სპილო ბინადრობს. თუმცა ვარდისფერი მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ვუწოდოთ მათ. ამ ცხოველთა კანის ფერი განსაკუთრებული პიგმენტაციით კი არ არის გამოწვეული, არამედ იქაური ნიადაგის შეფერილობით. სპილოს ხომ ძალზე უყვარს ტალახის აბაზანის მიღება.

მთვარის კრატერი... დედამიწაზე

ჩვენი საუკუნის სამოციან წლებში ანტარქტიდის ყინულის ჯავშნის ქვეშ აღმოაჩინეს 250 კილომეტრი დიამეტრისა და 300 მეტრი სიღრმის ღრმული. მას კილომეტრნახევარი სისქის ყინული ფარავდა.

ღრმულის გეოლოგიურ თავისებურებათა შესწავლამ, მთვარისა და მარსის კრატერებთან შედარებამ მკვლევარები შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: იგი წარმოიქმნა ასტეროიდის ჩამოვარდნის შედეგად. ასტეროიდის განივი სიგრძე 4-6 ათასი მეტრი იქნებოდა, წონა — 10 მილიარდი ტონა. ასე რომ, ჩვენს პლანეტაზე დაცემულ დღემდე ცნობილ ციურ სხეულთა შორის იგი ყველაზე დიდია. კატასტროფა, როგორც ჩანს, 600-700 ათასი წლის წინათ მოხდა. არსებობს მოსაზრება, რომ ასტეროიდის ვარდნისა და აფეთქების შედეგად წარმოქმნილ მტვრის ნაწილაკებს შეეძლოთ გამოეწვიათ ატმოსფეროს ძლიერი გამუქება და დიდი მასშტაბით გამყინვარება, ანტარქტიდაში უნიკალური წარმონაქმნის კვლევა გრძელდება.

ზვავი

გიორგი გიგაური

მხატვარი ჯ. ზარაფიშვილი.

პოემა

1

ნისლი ნაბადად მოფსია
ტანტატველა ზეთა,
არსად კარი არ ჩანს ღია,
სად წვიდნენ, ნეტა?

რად იდუმს სოფლის კარ-მიდამო,
ვით ჭიუხის ლოდი,
როდის უნდა გადიდაროს,
მზე გაბრწყინდეს როდის.

თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
ბარდნის,
ბარდნის,
ბარდნის,
თოვლს მიარღვევს
გულს ირთოლვით
გამეფული ბაღრი.
ჩამოქცეს ღამის ზეცა,
ფიქრი აქვეს შარაგ,
ქმეა,
ქმეა,
ვერ დაეცეა
ეერთი ბეერი შარა
ო, რადემდე თითის სიგრძე

ნაბიჯები თოვლოს,
ის სკოლიდან მიბიჯებს,
ეჩკინება ტარიხს.
ხან მეგერდალებს გადაუვლის
ნოყიერებარ რაშით,
ხან ლულამდე ჩაეფლობა
ნამქერების ზღვაში.
თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
თოვლი,
ოთერი,
მაგრამ მაცარი,
ასლეში ნიდის
გულის ირთოლვით
ბაზეწინა კაცი.

2

შვარხია ზვავ გრავენგამ,
მხეკანად მეზოა ტეხის,
ვერხვიანმა დაიგბინა,
მთამ აიდგა ფეხი.

ზვავის ავად აგორება,
ელდის მიმეული დაწვი
ხიბრმად ნანახს აკორებდა
გაოგნებულ ყმაწვილს.
მოფრინავდა თეთრი ტალღა
ქარაფების მხრიდან...
და მიდამოც დაითალსა
ამაზრეზენი ხმითა.
არც ხეები ფიქვის,
ხახეი სერზე აღარ იდგა,
მაგრამ მაინც არ დაიბნა
ბაბეფული ბიჭი.
მოემატა მუხლში ძალა,
მიხდობილმა ბუმბან
მოიარა კარი-კარად
მთის სოფელი უმალ
და მუდარით მოუმბობდა
ყველას,
ყველას,
ყველას:
— დაანერეა ზვავმა ოდა,
ოჯახს უდგა ზეფლ!
ითმალენ ვაეკაცები,
შემრთულნი მუდამ,
აი, მკლავის გაკაქეა,
აჯანეგა ბეკლა:
დაეკლაობს ბარ-ნიჩაი
ფიდ-ბაგრის ხელში,
ფრეკრეზნი,
ეერთ და
ეერთი,
ბეკრდეზე ოფლის თქვნით, —
ალე სიეიცხლე ეგეულიბათ
ექ ფატრაეენ ნამქერს,
ალს, მართლაც,
ეროგეულებას,
ძაეგდიდებან ეარქმეგ.
ბაღრი გორიზ ზვავს ჩაბღაეავს
და მეზობლებს ეხმობს,
ოკეეიბა ეეა ზვავი
ეეუბნოდ და ეეხმლოდ.
ბიჭის ნაბი თითეზედან
ცხელი სისხლი ეეეთავს,
ხმა მოეკმის:
„იყავ მშვიდად“...
რომელია, ნეტა?..
ო, სამივე ცოცხალია —
შვილი,
მამა,
დედა.

3.

მეორეკერ დაბადება,
იქნებ მეტიც ეფრო,
ეულლიდობს და
ეულში სეეფება
ეაცრრისსა და ეფრრსს.
მაგრამ იქვე ნასახლარი,
ავბედობის ეკალი,
დიდ სისარეულს ანაბეკრებს.
დაშრეტილი თვალეთ.
არის ერემლი და ღამილი
იმედი და დარდი,
ეპარება ხვედის ჩრდილი.
ტკბილი ედიის მანდილს...
ვაზაფხეულდა,
ზამრის ხეხილეა
ეავატანეთ ქარეს,
მთაე არ არის ახლა გულქეა,
მკლავზე ეეწეეს მთაარე
დაიწრეტა ყვეთად ზვავი
მზის თე მიწის ძალითა,
თე არ ქმრნდა მეტის თავი,
რას ეეიმტკვრია კარი...
ყველაფერი,
ყველაფერი
დრიებითი არის!
ნასახლარზე მზენტლები
ამაღლეტენ ბურკვებს,
სისხამ დილას ქანეით ხვდება,
აქ რა დაგამეხეგებს.
ვიბარია,
რომ ბუხრიდან
ავარდება ეკამელი,
რომ სიკეთით ეაბიდება
ავბედობის ეკალი,
რომ სიეიცხლე
ეკოეავდ ლაღად —
მოქნეეული ფრთეებით —
ინავარდებს ბაღი-ბაღად
უმაღლესი ნებით...

ᲭᲘᲚᲔᲠᲘᲝᲜᲘ

ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲠᲔᲑᲣᲚᲘ
ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲚᲘ
ᲖᲝᲗᲐ ᲘᲝᲜᲐᲨᲘᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲮᲔᲚᲝᲜᲝᲑᲐ?

ᲩᲕᲔᲜ რამდენიმე წერილი მივუძღვენით ᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲣᲠᲘ და ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲔᲠᲝᲑᲘᲗᲘᲗᲐᲜ, ᲐᲛᲯᲐᲜᲘᲗᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲡᲘᲗᲐᲜ ᲜᲐᲣᲠᲑᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲡᲔᲠᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐᲨᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲘᲝᲠᲘᲒᲐᲪᲘᲐ.

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲜᲓᲐᲡ ᲐᲮᲚᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲘᲝᲠᲘᲒᲐᲪᲘᲐ.

ᲐᲮᲚᲐᲢᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲒᲠᲔᲑᲐᲕᲡ, ᲛᲝᲛᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲓᲘᲜᲝᲢᲝᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲡᲘᲗᲐᲜ ᲜᲐᲣᲠᲑᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲐᲛᲔᲡᲘᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ. ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. მc3 კg7 6. კe3 მf6 7. f3 0—0 8. ლd2 ეe8.

ამ სვლას, რომლის მიზანია ფიანკეტირებული (გვერდითი განვითარებული) კუს (g7) შემონახვა, სტანდარტულობისა თუ ტიპიურობის იერი დაჰკრავს. იკარგება დრო!

9. 0—0—0 d6 10. კc4 a6 11. h4 მ:d4 12. კ:d4 b5 13. კb3 კd7 14. h5 a5 15. hg hg.

მიუხედავად მდარე სვლების მთელი სერიისა, ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შავები ინიციატივას დაეუფლნენ (მეტ-ნაკლებად დაბალი რანგის ტურნირებში ადგილი აქვს მსგავსი „ინიციატივის“ რეალიზებას), სინამდვილეში მათ უკვე მძიმე პოზიცია აქვთ, თუმცა თეთრების მდგომარეობა არც ისეთია, რომ ყველა გზას რომში მივყავდეთ. მხოლოდ 16. e5! ან 16. მd5! სვლებით შეეძლოთ თეთრებს ძნელი პრობლემების წინაშე დაეყენებიათ შავები. მაგ., 16. e5! de 17. კ:e5 (მუქარაა 18. კ:f6 და 19. ლ:d7) I 17. ... ეa7 (17 ... კc6 18. ლg5 და ლ:g6) 18. მ:b5 ეb7 19. კ:f6 კ:f6 20. ლd5+ II 17. ... a4 18. კ:f6! ab 19. კ:g7 ba 20. ლh6! a1ლ + 21. მb1 ± ახლა ვნახოთ 16. მd5! a4 17. მ:f6+ ეf 18. კd5 და თეთრებს, როგორც მეფეზე, ისე სუსტ პაიკებზე შეტევის შესაძლებლობა აქვთ. ვნახოთ შესაძლებელი გაგრძელებები: I. 18. ... a3 (შავები სწირავენ ხარისხს კონტრთამაშისათვის დროს მოსაგებად) 19. კ:a8 ლ:a8 20. ლf4 (20. b3) კe6 21. ლ:f6! კ:f6 22. კ:f6 ab+ 23. მფd2! ლa5+ 24. c3 b1ლ 25. ე:b1 ლ:a2 26. მფe3 ლa7 27. მფf4+ ან 19. ეh6 მფf8 20. ეd — h1 ab+ 21. მფ b1 ლa5 22. კc3 ლa6 23. ეh7! კe6 24. ე:g7 კ:d5 25. ეh8+ მფe7 26. ლ:d5± II. 18. ... კe6 19. კ:a8 ლ:a8 20. ლf4 ან ჯერ a3. III. 18. ... ეc8 19. ეh6! კc6 20. კ:e6 ე:e6 21. ეd — h1 d5 22. ეh7! (22. g4 de 23. ლh2 მფf8!) ლf8 (იმუქრებოდა 23. ე:g7+!) 23. g4 და ლh2±. სილამაზის მოყვარულთათვის: 16. მd5! მ:d5 17. კ:d5 ეS (ნებისმიერი სვლა) 18. ეh8+!! კ:h8 (მფ:h8 ლh6+) 19. ლh6 და იგებენ. მაგ. 19. კ:d4 20. ლ:g6+ კg7 21. ლ:f7+ და ეh1+ ან 16. ... მh5 17. კ:g7 მფ:g7 18. ე:h5 (g4) 19. ლg5+ მფf8 20. ლh6+ მფg8 21. მf6+! ef 22. ლg6+ მფh8 23. კ:f7 და ლh6×. სხვათა შორის, ლაზიერითა და კუთი ანალოგიური შამათი გვხვდება გენიალური მორფის ერთ-ერთ პარტიაში.

ცხადია, ეს ანალიზი ამომწურავი არ არის, მაგრამ საკმაო დასტურია იმისა, რომ 16.e5! ან 16. მd5! მოგების რეალურ შანსებს იძლეოდა.

16. g4.

თავის მხრივ, თეთრებიც სტანდარტულობისა და ტიპიურობის ტყვეობაში არიან, აქ პოზიციის სწორი შეფასებაგაგება საკითხის კონკრეტულ (16. e5!, 16. მd5!) გადაწყვეტაში მდგომარეობს.

ცნობილია, რომ ოსტატობის უპირველესი ნიშანია პოზიციის გაგება, რაც ჩვენი აზრით, გამოიხატება ზოგადი პრინციპებისა და კონკრეტულობის შერწყმაში.

16. ... a4 17. კd5 b4!

შავები ინიციატივას ეუფლებიან.

18. მb1 ეb8 19. ლh2.

საყურადღებოა ჯერ ეh3.

19. ... ლc7 20. კ:f6 ef.

ჭადრაკის შესწავლით დაინტერესებულთ ვურჩევთ გაეცნონ გ. ხომერიკი (თბილისი) ხ. ვანიშვილის (გორი) პარტიას (იხ. „პიონერი“, 1974 წ. № 8) და გაავლონ პარალელი — შეადარონ ერთმანეთს ეს პარტიები. ანატომიურად ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. აღვნიშნავთ, რომ ამ პარტიაში თეთრებმა ბრწყინვალე შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვეს.

21. მd2 ეe — c8 22. მc4 b3! 23. ab ab 24. c3.

b3 პაიკი სოლივით შეჭრილი რჩება თეთრი მეფის განლაგებაში და ქმნის შეწირვებით შეტევის შესაძლებლობებს „24. ეd2 ლa7 25. მa3 f5! (ჯანეზაშვილი).

24. ... ლa7 25. ლ:d6 კb5 26. ლa3 ლf2 27. მd2 კd3! 28. ლa5 ეc5 29. კ:f7+ მფf8 30. ლa3 ეb — b5 (მუქარაა 31. ... ეa5 და ეa1+) 31. ლa8+ მფ:f7 32. ლa7+ მფe6 33. ლa6+ მფd7.

თუ 33. ...მფe5, მაშინ ანალიზის მოყვარულთ ვთავაზობთ ერთ-ერთ შესაძლებელ გაგრძელებას: 34. მb4+ !! მფt4! 35. ეd2! ლ:f3 36. ლd6+ მფg5 37. ლh2! კ:c4 38. ლh4+ მფf4 39. ეf2 ლ:f2 40. ლ:f2+

სარჩევი

ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა . გარეკ. 1 გვ.
გ. მეტრეველი — მოვედი, რომ ყოველთვის თქვენთან ვიყო (ნარკვევი) 2
ნ. მგელაძე — უცნობი ბიჭის დღიური (მოთხრობა, დასასრული) 5
ი. ზიუზიუკინი — ზნეობის ანბანი (წერილი) . . 12
ლ. ჰიჰინაძე — სინდისი (მოთხრობა) 14
ჟ. მიქაძე — ტყე იშრიალებს (ლექსი) 16
დ. წულაძე — ფერებს ენით (წერილი) 16
ჩვენთან სტუმრად არის აზერბაიჯანის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერი“ 18
„ა ი ს ი“ 28
ჯადოსნური სარკე 29
ბ. გიგაური — ზვავი (პოემა) 30
მ ხ ე დ რ ი ო ნ ი 31
ს ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . გარეკ 3 გვ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა დიმიტრი ზარაფიშვილისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბიორბი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 24/V-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VII-77 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 1799. ტირ. 146.350. უე 08651.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

 © „პიონერი“, 1977 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფe5 41. ლd4+ მფe6 42. g5! მფf7! 43. ლd7+ მფf8 44. ლd8+ მფh7 45. ეh7! ეb7 46. gt!±

34. ლa7+ ეc7!!

ბრწყინვალეა!

35. ლ:f2 ე:c3+!

თეთრები დანებდნენ, 36. bc b2 ×-ის გამო. შეწირვების მოყვარულთათვის: 35. ლa3 ¿f8 (ეa7) 36. ლa1 ე:c3+! 37. bc b2+ 38. ლ:b2 ¿a3!! 39. ლ:a3 ეb1+! 40. მ:b1 ლc2×.

ნორჩმა მოჭადრაკემ რამდენადაც პარტიის პირველი ნახევარი ზედაპირულად ჩაატარა, იმდენად მეორე ნახევარში უჩვენა ეფექტური და შინაარსიანი თამაში.

პირველად 1975 წელს („პიონერის“ № 5) დავბეჭდეთ ცხაკაიელი მოსწავლის გოჩა ტყეებუჩავას ნაწარმოები, რომელსაც დავუართეთ კრიტიკული შენიშვნები და საუბარი კომპოზიციაზე. მას შემდეგ (ამის შესახებ თვით გოჩაც გვწერდა) დამწყები კომპოზიტორის ნაწარმოებების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა. გამოვაქვეყნეთ აგრეთვე მისი 4-სვლიანი ამოცანა, მიძღვნილი „პიონერის“ 50 წლისთავისადმი. ახლა გთავაზობთ 2-სვლიან ამოცანას.

გ. ტყეებუჩავა (ცხაკაია)



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს პასუხს.

№ 2 „პიონერში“ გამოქვეყნებულ ბაგიროვ (თეთრები) — გუფელდის (შავები) პარტიაში შავები შამათს ასე აკეთებენ: 33. მფc2 ლe2+ 34. მფb3 (ეd2 ლ:d2+) ლb2+ 35. მფc4 ლb5×.

სტურუამ 1. ეg8+! დარტყმით ოსტატი კოზლოვი დანებებულიყო (სსრკ-ს მასობრივი ტურნირი. ჩელიაბინსკი, 1975 წ.).

შემსწავლელებისა და ახალბედა მწვრთნელების ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმას, რომ 1. ეg8+! სვლაში შერწყმულია სამი ტაქტიკური იდეა: ჩათრევა 1. ... მფ:g8 2. ლg3+, გატყუება: 1. ... ე:g8 2. ლ:c1 და უკრის განთავისუფლება (g8-ს ლაზიერისათვის).

სწორი პასუხები გამოგზავნეს: ზ. და თ. წურწუმიებმა (ცხაკაია), ტ. ჯანელიძემ (ცაგერის რ. ზუბი), მ. მახარაშვილმა ვ. ხოშტარიამ, პ. შელიამ, გ. სანიკიძემ, მ. ჭოჭუამ, ლ. დიმელაშვილმა, ს. მდინარაძემ, კ. შარტავამ, ბ. მალაზონიამ, ქ. აბაშიძემ, თ. ურუშაძემ, ი. ცქვიტინიძემ, ი. თუშიშვილმა, თ. ჯაიანმა, გ. ჯანტურიამ, გ. როგავამ, თ. მამალაძემ, ლ. დგებუაძემ, თ. ტაბატაძემ, რ. კაკაბაძემ, ზ. გოცირიძემ, თ. მუჯირიშვილმა, ვ. ბერიძემ, დ. ჭინჭინაძემ და შ. ჭედიამ (თბილისი), ნ. და თ. სიჭინავებმა (გალი), ქ. ქურციკიძემ, ს. ჭიკაძემ, მ. ჩობანოვამ,, ი. ბორძიკულმა, ხ. ოდიშვილმა და ნ. ჩერქეზიშვილმა (დუშეთი), ხ. გურგენიძემ (რუსთავი), გ. ბერძენიშვილმა (გორი).

თავსატეხი



ჩაწერეთ მსოფლიოს დიდი მდინარეების სახელწოდებანი ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ ნობელის პრემიის პირველი ლაურეატის გვარი.

ნინო დათუკაშვილი,
თბილისის 68-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

№ 6-ში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხი.

თარაზულად: 1. ფორინტი; 6. არტერია; 10. ვიოლინო; 11. იადონი; 12. ენძელა; 14. კობრა; 16. ინდაური; 19. სტაფილო; 20. კრატერი; 24. როსტოვი; 25. ავსტრია; 26. მარსი; 29. იბერია; 32. ერეკლე; 33. დიკენსი; 34. იაგუარი; 35. ენდოკია.

შვეულად: 1. იადონი; 2. იტრია; 3. ირანი; 4. არშინი; 7. კრაზანა; 8. ალგებრა; 9. ბალზაკი; 13. კანტატა; 15. არარატი; 17. ირისი; 18. ამალა; 21. კოლიბრი; 22. ფარადეი; 23. ჰიმალაი; 27. ნიანგი; 28. არტეკი; 30. კიტრი; 31. ისანი.

გამოცანები

ვერვინ შესძლო მათი დათვლა,
ლურჯ ბუდეში ჩიტებია,
დღისით არა, ღამე ჩანან,
ისე მიამიტებია,
ვერც ქორი, ვერც მონადირე
ვერასოდეს მისწვდებიან.

გ. მარცვალაშვილი.

ხის ტანი აქვს,
რკინის თავი,
მუდამ სხვებს სცემს,
არასოდეს
მას არა სცემს არავინ.

გ. შეთეკაური.

ოთხი ცოცხალი მარაო
ირხევა წარამარაო.

ლურჯ ცხენს ადგას უნაგირი,
ცხენი მუდამ გარბის,
უნაგირი ადგილზე დგას,
მასზე ხალხი დადის.

არც ბამბა ვარ,
არცა თოვლი,
თეთრი ვარ,
თქვი, რა ვიქნები?
ყველასათვის
საჭირო ვარ,
ცეცხლში ვსკდები,
წყალში ვდნები.

პ. ლეჟავა.

მთვარემ
ტახტი გამიბრწყინა,
მზემ
მიქცია ტალახ-წვიმად.

შ. შუბლაძე.

შეცდომის გასწორება

№ 6 „პიონერში“ დაბეჭდილი კროსვორდის ნახაზი უნდა იყოს ასეთი:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

b 62/115

ფერწერული ენიმ

ნანეიშვილ ბაბანინ